CMYK

# საერთო გაზეთი

№08 (192) ● 22-24.II, 2012 წელი ● გამოდის ოთხშაბათს და შაბათს ● www.saertogazeti.net; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი



## politikuri koalicia `qarTuli ocneba~ dafuZnda

**გიორგი მარგველაშვილი:**



biZina ivaniSvilma kargad icis, rom mitingis mowyoba politikuri struqturebis gareSe, avanturistuli, rikoSetuli nabijia

**ირაკლი ბათიაშვილი:**



dRes politikuri procesebis mTavari flagmani biZina ivaniSvilia

**თემურ მირიანაშვილი:**



yvela Cemi `winaswarmetyveleba~ axda da esec axdeba _ ivaniSvili gaimarjvebs, amaSi eWvi ar mepareba

**გურამ ოდიშარია:**



patara Jurnalistma gogo-biWebma ar unda maswavlon afxazeTis siyvaruli!

**მერაბ შათირიშვილი:**



unda Seiqmnas gaerTianeba_ `biZina ivaniSvili da opozicuri koalicia~ _ sxva alternativas ver vxedav

**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

Cven ar gvaqvs ufleba saqarTvelo iranuli raketebis `abas 1~-is, `abas 2~-is Tu `abas 3~-is samizned gavxadoT



## maina kiai

anu ratom uCmaxeben `Savi kacebi~ mixeil saakaSvils?





## kako boboxiZe jer saakaSvilma, merekimisma dacvam scema?!

## es mxolod dasawyisia!

am statias nu waakiTxebT aramyari fsiqikisa da susti nervebis mqone adamianebs



## რედაქტორის სვეტი

ჩინელებმა და ინდოელებმა მოახერხეს თავიანთი მილიარდნახევრიანი მოსახლეობის დათვლა, ქართველებმა კი ვერაფრით შევძელით გაგვეგო, რამდენი ადამიანი ცხოვრობს საქართველოში და აქედან რამდენია ამომრჩეველი?

თითქმის ზუსტად ვიცით, რამდენი ვიყავით დავით აღმაშენებლის თუ თამარის დროს, მაგრამ ვერავინ გეტყვით, რამდენი ვიყავით შევარდნაძის დროს და რამდენი დავრჩით სააკაშვილის „მეფობის“ ეპოქაში?

ჩინელები და ინდოელები თავიანთი მილიარდების დათვლას ახერხებენ, ჩვენ კი ვერა და ვერ დავთვალეთ რამდენი ვართ – 5 მილიონი, 4 მილიონი თუ სულაც 3,5 მილიონი?



ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას სხვა ციფრს ვღებულობთ, საპარლამენტო არჩევნების დროს – სხვას, საპრეზიდენტო არჩევნებზე ხან ნახევარი მილიონით მეტი ვართ, ხან ნახევარი მილიონით ნაკლები.

არადა, იმდენი ფული გვაქვს გადაყრილი ამ დათვლაზე, იმ ფულით მთელი პლანეტის მოსახლეობას დავითვლიდით.

ამასწინათ საარჩევნო სისტემის ბნელ ლაბირინთებში კარგად ჩახედულ ერთ ექსპერტს ვუსმენდი, რომელმაც ფაქტებზე და დოკუმენტურ მონაცემებზე დაყრდნობით დაამტკიცა, რომ შეუძლებელია ამ ხელისუფლებას არჩევნები მოუგო, ისე გენიალურად აქვთ აწყობილი გაყალბების სისტემა, სააკაშვილს და მის გუნდს, გაყალბების მთავარი წყარო კი ის გახლავთ, რომ არ არსებობს ამომრჩეველთა ზუსტი სია ანუ საგულდაგულოდ არის დამალული, რამდენი ვართ სინამდვილეში და აქედან რამდენს აქვს უფლება საარჩევნო ყუთთან მივიდეს და თავის რჩეულს მისცეს ხმა.

**ვახტანგ ხარჩილავა**



# ratom aqtiurobda `qdp~ `tyved ayvanili~ valeri gelbaxianis gasaTavisuflebad?

მომაკვდავი დედის სანახავად სამშობლოსკენ მომავალი ვალერი გელბახიანი საქართველო-სომხეთის საზღვარზე დააკავეს.

მიუხედავად იმისა, რომ ვალერი გელბახიანს მრავალი ცნობილი ადამიანი დაუდგა თავდებად, რომ ის არაფერს დააშავებდა და ამასთან ერთად სამართალდამცველებს ნებისმიერ კითხვაზე ამომწურავ პასუხს გასცემდა, გელბახიანი მაინც აიყვანეს „ტყვედ“ და საგამოძიებო იზოლატორში უკრეს თავი.

როგორც ჩანს, ამ ხელისუფლებას ცუდად ესმის, ან საერთოდ არ ესმის ცივილიზებულ მსოფლიოში საყოველთაოდ გავრცელებული და მიღებული თავდებობის ინსტიტუტის არსი და მნიშვნელობა, ამიტომაც არ ენდობა იგი არავის, რითაც შეურაცხყოფას აყენებს საზოგადოებისთვის პატივსაცემ საკუთარ მოქალაქეებს.

ხელისუფლება, რომელიც არ ცნობს ავტორიტეტებს, ხელისუფლება, რომელთაც ფეხებზე ჰკიდია მწერალი, მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი, არქიტექტორი, მიუხედავად მათი დამსახურებისა ქვეყნის წინაშე, თვითონვე უთხრის ძირს საკუთარ ავტორიტეტს და თვითონვე ირჩევს იზოლაციის გზას საკუთარი ხალხისა და საკუთარი სახელმწიფოსგან.

რაც შეეხება შვილისთვის მომაკვდავი დედის ნახვის აკრძალვას, ამ ხელისუფლებამ დიდი ხანია დაამტკიცა, რომ ისიც დოქსოპულოა, რომელსაც დედა არ ჰყოლია და დედის გარეშე, ხელოვნური განაყოფიერების გზით მოევლინა ამ ქვეყანას.

* * *

ვალერი გელბახიანის გასათავისუფლებლად განსაკუთრებულად აქტიურობს ქრისტიან-დემოკრატიული პარტია, რომლის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე მრისხანე განცხადებებს აკეთებს ხელისუფლების მისამართით და კატეგორიულად მოითხოვს გელბახიანის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას. „ქრისტიან-დემოკრატების“ ეს ხაზგასმული აქტიურობა, რომელიც მათი მხრიდან კეთილშობილურ ჟესტად შეიძლება აღვიქვათ, საზოგადოების ერთ ნაწილში გარკვეულ ეჭვებს ბადებს, რომლებიც თუ გელბახიანისა და „ედპ“-ს თავმჯდომარე, აწ უკვე პარლამენტარი გიორგი თარგამაძე თავის დროზე ბადრი პატარკაციშვილის ღალატში იყო ეჭვმიტანილი და იმ მძიმე ბრალდებას პატარკაციშვილის შტაბის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ვალერი გელბახიანი ღიად ახმოვანებდა.

გელბახიანს სწორედ პატარკაციშვილთან თანამშრომლობის და მისი ერთგულების გამო მოუხდა საქართველოდან გაქცევა, თარგამაძემ კი დროის უმცირეს მონაკვეთში პარტიაც შექმნა და თავის გუნდთან ერთად პარლამენტშიც შეგრიალდა.

ვალერი გელბახიანი, რამდენადაც გვახსოვს, პირდაპირ ხელს ადებდა გიორგი თარგამაძეს, რომ მან ურცხვად და უსინდისოდ უღალატა თავის კეთილისმყოფელს, ბადრი პატარკაციშვილს. ღალატის სანაცვლოდ კი ხელისუფლებამ მას დიდი წყალობები უბოძა – დაწყებული ქამა სოკოსავით უცებ ამოფეთქილი სოლიდური პარტიით და დამთავრებული საშინაო ოპოზიციური პარტიის სტატუსით.





ეტყობა, ქრისტიან-დემოკრატი გიორგი თარგამაძე დიდი ქრისტიანია და თავის ძველ მტერს, როგორც ქრისტიანს შეჰფერის, ყველაფერი მიუტევა ან კიდევ რაღაც ბნელ და უზნეო თამაშთან გვაქვს საქმე.

ალბათ გახსოვთ, სანამ საზღვარს გადმოკვეთავდა, ვალერი გელბახიანი რამდენიმე გაზეთში სისტემატურად აქვეყნებდა ინტერვიუებს, რომლებშიც მწვავედ აკრიტიკებდა ბიძინა ივანიშვილის შემოსვლას ქართულ პოლიტიკაში.

ლამის პირად მიმომხილველად და სპეცკორად ქცეული ემიგრანტი გელბახიანი ამ ინტერვიუებით, შეიძლება ითქვას, ხელისუფლებას ფხანდა გულს, მაგრამ უმადურმა ხელისუფლებამ გელბახიანს შრომა და ცდა არ დაუფასა და ვირის აბანოში უკრა თავი.

ორი ვარიანტია, გელბახიანი შეცდომაში შეიყვანეს და ჩამოიტყუეს, ან მან შესანიშნავად იცოდა რაზეც მიდიოდა და წინასწარ დაგებულ ხაფანგში თავისი ნებით გაება.

„ქდპ“-ს თავდადება და აქტიურობა შეიძლება ასეც გაიშიფროს – მერაბიშვილი გულთან ახლოს მიიტანს „ქდპ“-ს თხოვნას, გელბახიანის თავს „ქდპ“-ს „აჩუქებს“, თარგამაძისგან დავალებული გელბახიანი „ქდპ“-ს თავკაცს ბრალდებებს მოუხსნის, შემდეგ კი „ქდპ“-ს ქოლგის ქვეშ საჩხერეში იყრის კენჭს და ბიძინა ივანიშვილს და მის კანდიდატს სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს, რითაც, ცხადია, „ქდპ“-სთან ერთად ხელისუფლების საქმესაც გააკეთებს.

მოვლენათა ამგვარი სცენარით განვითარება სამი კურდღლის ერთდროულად დაჭერის საშუალებას იძლევა – ერთი კურდღელი „ნაცმოძრაობას“, ერთი „ქდპ“-ს და ერთიც გელბახიანს, საკუთარ ბოსტანში გასაშვებად.

**P.S. ეს წერილი ასაწყობად რედაქციას დღის 12.00 საათზე ჩაბარდა, სულ მალე კი ყველაზე ჰუმანურმა ქართულმა სასამართლომ გელბახიანი 50 000 ლარის საფასურად საპროცესო შეთანხმებით გაათავისუფლა.**

**დასკვნის გამოტანა თქვენთვის მოგვინდვია, ძვირფასო მკითხველო!**

# kako boboxiZe jer saakaSvilma, mere ki misma dacvam scema?!

ხონში, საავადმყოფოს გახსნაზე ჩასულ სააკაშვილს, ადგილობრივი მოსახლეობა კაკო ბობოხიძის ძმაზე საჩივრით შეხვედრია თურმე – მოგვაშორეთ ეს ბობოლა ბობოხიძე, ცოცხლად შეგვჭამა და შევახრამუნაო.

მოგვიანებით, სუფრაზე, სააკაშვილს კაკოსთვის საყვედური უთქვამს – რა იყო, საკუთარ ძმას ვერ უნდა მოუარო, „პალაჟენიას“ რომ გვიფუჭებსო?

კაკო ძმას გამოქომაგებია – ტყუილებს უგონებენ, თორემ ჩემი ძმა ბროლივით სუფთააო, რაზეც გულმოსულ სააკაშვილს კაკოსათვის სილა უთავაზებია, მერე კი კოკასა და მისი ძმის მშობლისთვის ცხრასართულიანი მოკითხვა გაუგზავნია დესერტად.



თავმოყვარეობაშელახულ კაკოს პასუხი დაუბრუნებია პრეზიდენტისთვის და ირაკლი იმნაიშვილის და პეტრე მამრაძის ცემაში გაწაფული მუშტი მრისხანედ მოუღერებია.

მოღერება ეგრე არ უნდაო და სააკაშვილის დაცვას ფეხქვეშ გაუდვიათ საწყალი კაკო და მაგრად მიუბეგვიათ. ნაცემ-ნაბეგვი კაკო სააკაშვილის მიერ ნაუცბათევად გახსნილ საავადმყოფოში გაუქანებიათ.

ჭორად გაგონილი ეს ამბავი თუ მართალია, დამთავრებულა კაკოიე ბობოხიძის მრავალწლიანი პოლიტიკური კარიერა და ეგ არის!

ქუთაისში პარლამენტის გადატანის ინიცატორ ბობოხიძეს ამ ხელისუფლებისგან ცემა ეკუთვნოდა?

ეეხ, უსამართლო წუთისოფელო!

**გიორგი გამეზარდაშვილი**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტრაციის №202375349

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

თავმოსულელებულნი.

# ar Cevani me, aradani Sen...



რატომ არწმუნებს ბიძინა ივანიშვილს ასე დაბეჯითებით მისი გარემოცვის ზოგიერთი წევრი, რომ არჩევნები არავითარ შემთხვევაში არ შედგება მაის-ივნისში და კოკი იონათამიშვილის მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი ინიციატივა“ ტყუილად ტეხს განგაშს — არჩევნების ჩატარების კონსტიტუციური ვადა დარღვეულია და, წესით და რიგით, არჩევნები ოქტომბერში კი არა მაისში ან ივნისში უნდა ჩატარდესო.

**— არ მიაქციოთ ყურადღება, ბატონო ბიძინა, ცრუ განგაშს ტეხენ ესენი, ახალი თემა შემოაგდეს სადისკუსიოდ, თორემ არჩევნები შემოდგომამდე არ იქნება, თქვენ არხეინად იყავითო, — ირწმუნებიან ბიძინა ივანიშვილის პოლიტპარტნიორები და, ჰოი, საოცრებავ, იგივეს იმეორებენ ნაცმოძრაობის ცნობილი სახეები — კუბლაშვილი, გაბაშვილი, თაქთაქიშვილი, წიკლაური და სხვები.**

მიუხედავად ამისა, კოკი იონათამიშვილის, ვიმეორებ, კოკი იონათამიშვილის, კიდევ ვიმეორებ, კოკი იონათამიშვილის არასამთავრობო ორგანიზაცია კონსტიტუციურ სასამართლოში აპირებს ჩივილს, კოკის ა-ს-ო (არასამთავრობო ორგანიზაცია) კი ნაცმოძრაობის უერთგულესი და ნაცადი პარტნიორია. კოკიც ის არის, რაც არის აკო, გნებავთ, კაკო.

**ე.ი. რა გამოდის, პოლიტმეგობრები („ნაცმოძრაობა“ და კოკის „ა-ს-ო“) ერთმანეთს უჩივიან, ხოლო ივანიშვილის კოალიციის წევრთა ერთი ნაწილი ამაში საეჭვოს ვერაფერს ხედავს?**

**ბიძინა ივანიშვილს და მთლიანად ქართველ ხალხს ივანიშვილის კოალიციის მოწინავე ფრთა იმაშიც არწმუნებს, რომ ბატონ ბიძინას საქართველოს მოქალაქეობას სულ რაღაც ერთ თვეში დაუბრუნებენ, ამასობაში პარტიაც დაფუძნდება და ოქტომბრის თვემდე ყველაფერი მოგვარდება.**

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვის აქვს გარანტია, რომ ეს ყველაფერი მართლაც ასე მოხდება და ივანიშვილზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ნაცმოძრაობა ბატონ ბიძინას და მის კოალიციას სულ ია-ვარდებს დაუფენს გამარჯვებისკენ მიმავალ გზაზე?

სხვანაირად რომ შეტრიალდეს საქმე და ეს ოხერი არჩევნები მართლაც მაის-ივნისში დანიშნონ, ხოლო ბიძინა ივანიშვილს მოქალაქეობა არ დაუბრუნონ, მაშინ რა ვქნათ?

— არა უშავს, არა უშავს... თუნდაც ხვალ დანიშნონ არჩევნები, ჩვენ მზად ვართ — ირწმუნებიან მავანნი და მავანნი.

თქვენ კი, კაცო, თქვენ სულ მზად ხართ, ოღონდ მთელი უბედურება ისაა, რომ თქვენი „მარადიული მზადყოფნით“ 2-3 პროცენტზე ზევით ვერასოდეს ქაჩავდით...

თქვენზე არც არავინ დარდობს, ბიძინა ივანიშვილზე გვაქვს საუბარი, თორემ თქვენ რომ მაგრები ხართ, ვიცით...



— ჩვენ და ივანიშვილი... ჩვენ და ივანიშვილმა... — ისეთი ტონით, ისე თავმომწონედ და ამაყად ამბობენ ხოლმე კოალიციონერი ამხანაგები, თითქოს ისინი იყვნენ უმთავრესნი და უპირველესნი, ივანიშვილი კი მათ პარტიულ ორგანიზაციებს სამადლოდ მიკედლებული ვინმე ყარიბი.

მოვლენები თუ სხვაგვარად წარიმართა, შეიძლება ივანიშვილი საერთოდ ამოაგდონ სათვალავიდან და მხოლოდ „ჩვენ“ დატოვონ — ჩვენ! ჩვენ! ჩვენ!

**კი, მაგრამ, ვინ ხართ თქვენ და საერთოდ რას წარმოადგენთ ივანიშვილის გარეშე?**

**არ შეიძლება ერთხელ მაინც თქვენი ცხოვრების და არსებობის მანძილზე, ერთხელ მაინც უკან გადასწიოთ ეს თქვენი მოჭარბებული ამბიციები, თქვენი პირადული თუ პოლიტიკური ინტერესები და თქვენს მიერვე მრავალგზის გაუბედურებული და გაბახებული სამშობლოს ინტერესები დააყენოთ წინ?**

ბიძინა ივანიშვილმა ყველაფერი სასწორზე შეაგდო, თქვენ კიდევ მხოლოდ თქვენს თავზე ფიქრობთ და სხვის ხარჯზე საკუთარი პოლიტიკური დივიდენდების მოხვეჭას ცდილობთ?

ღმერთმა ნუ ქნას, მომავალ არჩევნებში საქმე ისე არ წავიდეს, როგორც ქართველ ხალხს სურს, დამერწმუნეთ, ქართველი ხალხი, პირველყოვლისა, თქვენ მოგთხოვთ პასუხს.

აცნობიერებთ თუ არა თქვენ ამას და თუ აცნობიერებთ, სათანადო დასკვნები რატომ არ გამოგაქვთ?

**რაც შეეხება ცხოვრების წესად ქცეულ თავმოსულელებულობის თემას, დავილალეთ ამდენი თავის მოსულელებით და ამდენი თავმოსულელებულებით, რომლებიც თითქმის ოცი წელია თვალში ნაცარს გვაყრიან და თვალებიდან ნაცრის ამოწმენდის მცდელობასაც კი დიდ ცოდვად გვითვლიან**

— ეგრე თვალებდავსებულნი უნდა ვიყოთ თურმე, რომ თეთრისა და შავის ერთმანეთისგან გარჩევა ვერ შევძლოთ და ხელის ცეცებით ვიაროთ ბნელ გვირაბში, რომელიც არა და არ მთავრდება...

# ratom aris iverT mxareSi mkvdrulisiCume?

— მე თქვენ ახლა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტი უნდა გაგაცნოთო — უთხრა სტუდენტებს ამერიკის საზღვაო აკადემიის შეფმა და, ჰოი, საკვირველებავ, აუდიტორიას მიხეილ სააკაშვილი წარუდგინა.

მითუმეტეს, რომ ამ ოპოზიციური პარტიებიდანაც არავის მოაფიქრდა, სააკაშვილის ვაშინგტონში გამგზავრებასთან დაკავშირებით ერთი ხალხმრავალი საინფორმაციო მიტინგი ჩაეტარებინა — ვინძლო, ბევრ ხალხს რომ დაინახავდა, იქნებ



ეტყობა, აკადემიის შეფი თავისი პრეზიდენტის ბარაქ ობამას შეფასებებს ეყრდნობოდა, რომელმაც სააკაშვილი რეგიონში დემოკრატიის შუქურად გამოაცხადა.

რა ქნას ამ ობამამ, ოპოზიციურ ტელეარხებს ეგ არ უყურებს, ოპოზიციურ ქართულ გაზეთებს ეგ არ კითხულობს და საიდან უნდა იცოდეს, დემოკრატია კი არა რა ცოდვის კალო რომ ტრიალებს საქართველოში?

დაინტერესებულიყო პატივცემული ობამა — რა ხდება, რა უნდათ ამ ქართველებს, ჩემს შუქურას მიტინგს რომ უწყობენო?

თქვენც არ მომიკვდეთ, მიტინგი კი არა ერთი საპროტესტო სიო არ შექანებულა, ერთი ტრანსპარანტი არ გაკანკალებულა.

მშვიდობა, კაცთა შორის ძმობა, მეგობრობა და სტაბილურობა სუფევს ივერთ მხარეში და ობამას რა უნდა ვუსაყვედუროთ?

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

თავმოსულელებულნი.

# po l i t ikur i koa l icia `qar Tu l i ocneba~ da f uZnda



**„რედისონში" პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზენტაციის დასრულების შემდეგ "ქართული ოცნების" სადამფუძნებლო დეკლარაციას ხელი მოაწერეს: პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" წევრებმა - "ქართული ოცნება - დემოკრატიულმა საქართველომა" (ბიძინა ივანიშვილი), "რესპუბლიკურმა პარტიამ" (დავით უსუფაშვილი), "თავისუფალი დემოკრატებმა" (ირაკლი ალასანია) "ეროვნულმა ფორუმმა" (კახაბერ შარტავა)**

**კოალიცია "ქართული ოცნების" პოლიტიკურ საბჭოს თავად ბიძინა ივანიშვილი უხელმძღვანელებს, ბატონი ნოდარ ხადური კი პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი იქნება. ხოლო წევრები : ბიძინა ივანიშვილი, დავით უსუფაშვილი, ირაკლი ალასანია, კახა შარტავა, ზვიად ძიძიგური, დავით ბერძენიშვილი, ალექსი პეტრიაშვილი.**

კოალიცია აერთიანებს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც გაერთიანებული არიან თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების საფუძველზე და გამოხატავენ საზოგადოების უმრავლესობის მიზნებს", - ნათქვამია სადამფუძნებლო დეკლარაციაში. დეკლარაციის თანახმად, ლიბერალურ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ ინსტიტუტების გაძლიერებით დაიძლევა სამოქალაქო დაპირისპირების მემკვიდრეობა და განმტკიცდება ეროვნული თანხმობა.

**სადამფუძნებლო დეკლარაციაში, რომელიც 12 პუნქტს აერთიანებს, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ არჩევნების გზით "ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ "ქართული ოცნება" დაასრულებს სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ ავტორიტარულ მმართველობას და პოლიტიკურ მესიანიზმს საქართველოში,**

დაამკვიდრებს სახელმწიფო ორგანოს დაბალანსებულ და გაწონასწორებულ მო-


21 თებერვალი, 2012
პოლიტიკური კოალიცია
"ქართული ოცნების"
სადამფუძნებლო დეკლარაცია

დელს. რეალური თვითმართველობითა და მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემით უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებასა და რეგიონული პოზიციების გამყარებას., .დაიწყებს და შეუქცევადს გახდის ქვეყნის გამთლიანების პროცესს.

დეკლარაციის მნიშვნელოვანი პუნქტები ითვალისწინებს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების ხელშეუხებლობას და საგანმანათლებლო და სოციალურ-ეკონომიკური მოდერნიზაციის ხელშეწყობას.

უმუშევრობისა და სიღარიბის დაძლევა, ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლებისა და ჯანდაცვის სისტემების დანერგვა, წვრილი და საშუალო ბიზნესის, სოფლის მეურნეობის განვითარება, ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობაზე განსაკუთრებული ზრუნვა, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწყობა, საქართველოს გადარჩენისა და თანამედროვე სახელმწიფოს დამკვიდრების პრიორიტეტებია, ისევე როგორც მედიის თავისუფლების დაცვა, სამოქალაქო ინიციატივების წახალისება.

ქვეყნის უსაფრთხოება და რეგიონული პოზიციების გამყარება, რისთვისაც აუცილებელია ევროკავშირსა და ნატო-სთან ინტეგრაციის გაღრმავება, მონაწილეობა რეგიონული მასშტაბის ეკონომიკურ და სამშვიდობო პროცესებში და აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის გზების გამოძებნა, საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით რუსეთთან მოლაპარაკებებში კონკრეტული შედეგების მიღწევა - კოალიცია "ქართული ოცნების" გზავნილებია, რომელთა განხორციელებითაც საქართველო საკუთარ ადგილს დაიმკვიდრებს თანამედროვე მსოფლიოში.

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზენტაციაზე განაცხადა, მისი პარტიის ფორმირება მარტის ბოლოსთვის დასრულებული იქნება და აპრილში განსაკუთრებით გააქტიურდება. "თითოეულ მოქალაქემდე მივალთ და ოქტომბრამდე მთელ ქვეყანას ერთ მუშტად შევკრავთ და მივაღწევთ იმას, რომ "ქართული ოცნება" ავიხდინოთ", — განაცხადა ივანიშვილმა.

აღსანიშნავია ქართული საზოგადოების, მედიის მისამართით პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის **ბიძინა ივანიშვილის** გზავნილიც: "ჩვენ ახლა ერთი გუნდი ვართ და ოპონენტები ტყუილად დაშვრებიან, რათა ამ გუნდში განხეთქილება შეიტანონ. ნუ შეეცდებით ერთნი შეაქოთ და მეორეს თავს დაესხათ, რადგან ერთი გუნდი ვართ და გთხოვთ, ასეთად წარმოგვიდგინოთ. თავდასხმაში კრიტიკა არ იგულისხმება. კოალიცია მზადაა, ნებისმიერი კრიტიკა მიიღოს", - განაცხადა ივანიშვილმა.

ქართული ოცნების მაგალითს თავად **ბიძინა ივანიშვილი** წარმოადგენს, - ამის შესახებ პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნების" პრეზენტაციისას კოალიციის წევრმა, "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა.



**ალასანიას** განცხადებითვე, კოალიცია, ხელს შეუწყობს ნებაყოფლობით კოოპერაციების ჩამოყალიბებას, რაც ქვეყანაში პროდუქტის წარმოებას გააძლიერებს. "ეს საჭიროა არა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის, არამედ ძველი ბაზრების დასაბრუნებლადაც და ჩვენი პროდუქციის გასატანად პარტნიორ ქვეყნებში. მთავარია, ხელი შევუშალოთ მიგრაციულ ნაკადს, რომელმაც საქართველო დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დააყენა. სოფლის მეურნეობა, საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარება იქნება მთავარი ღერძი ჩვენი შიდა პოლიტიკური და ეკონიმიკური საქმიანობის. აუცილებელია, ბიზნესმენებს ჰქონდეთ უსაფრთხო კრედიტის მიღების შესაძლებლობა, რადგან წელსაც და გასულ წლებშიც, მათი ყველაზე დიდი პრობლემა საგადასახადო სამსახურების ჩასაფრებაა. გარდა ამისა, საგადასახადო კოდექსი ჯარიმების კოდექსია", — განაცხადა ალასანიამ და აღნიშნა, რომ ამ ყველაფრის შეცვლით ისინი ხელს შეუწყობენ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

"რესპუბლიკელების" ლიდერმა **დავით უსუფაშვილმა** "ქართული ოცნების" ისტორიულ წარსულთან სიმბოლური კავშირის შესახებ ისაუბრა — 1921 წლის 21 თებერვალს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია მიიღო. "ეს იყო პირველი გაცხადებული ქართული ოცნება დემოკრატიულ საქართველოზე. ეს ოცნება გაცხადდა იმ პირობებში, როცა საქართველო პრაქტიკულად ოკუპირებული იყო რუსეთის არმიის მიერ, ბრძოლა კოჯორში მიმდინარეობდა. ამის მიუხედავად, ჩვენს წინაპრებს არ უთქვამთ, რა დროს კონსტიტუცია და დემოკრატიააო. სწორედ მათმა ასეთმა ქმედებამ, ხალხის ნების გამომხატველმა, მრავალპარტიულმა ორგანომ შეძლო ერთიანი ქართული ოცნების გაცხადება", - აღნიშნა უსუფაშვილმა.

„ეროვნული ფორუმის" ლიდერმა კახა შარტავამ ისაუბრა საქართველოს რეგიონული ფუნქციის შესახებ, სადაც საქართველო დიდი სტრუქტურების გეოპოლიტიკურ დანამატად ან საკუჭნაოდ არ უნდა განიხილებოდეს.

„საქართველო უნდა იყოს არა საჯილდაო ქვა, არამედ — მრგვალი მაგიდა იმ პრობლემების მოგვარებისა, რომლითაც დაინტერესებულია რეგიონის ყველა სახელმწიფო, თუ ჩვენი პარტნიორები ევროკავშირსა და აშშ-ში. თანამედროვე გამოწვევები უამრავ კრიზისსა და კონფლიქტს უმზადებს კაცობრიობას, რომელთა მართვა მხოლოდ ბრიუსელიდან ან ჟენევიდან გართულდება, თუ არ მოხდა ამ პრობლემების პრევენციისა და მართვის ცენტრების დაახლოება კონფლიქტებისა და კრიზისების წყაროებთან. ერთ-ერთი ასეთი სივრცე შეიძლება იყოს საქართველო, სადაც უნდა დაფუძნდეს კრიზისების პრევენციისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტები.



**ნინო ფირცხალავა**

*გვესაუბრება „ქართული ოცნების“ საინიციატივო ჯგუფის წევრი, მწერალი* **გურამ ოდიშარია**

# patara Jurnalistma gogobiWebma ar unda maswavlon afxazeTis siyvaruli!

**— ბატონო გურამ, რატომ მიიღეთ პოლიტიკაში მოსვლის და ივანიშვილის გუნდთან შეერთების გადაწყვეტილება?**

— როდესაც შემომთავაზეს ქართულ ოცნებასთან თანამშრომლობა და საინიციატივო ჯგუფში გაწევრიანება, ბევრი ვიფიქრე, ადვილი ნამდვილად არ იყო ამის გადაწყვეტა, მაგრამ ჩავთვალე, რომ ჩემი ადგილი იმ გამოცდილებით, რაც ახლა გამაჩნია, აქაა, რათა კიდევ დავეხმარო ადამიანებს. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დამთავრდეს ის დრო, როდესაც ჩვენივე მიზეზით ზარალდება საქართველო.

**— რატომ მაინც და მაინც „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი?**

— ადრე არასოდეს არცერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, თუმცა იყო ერთი-ორი პარტია, რომლებსაც უბრალოდ მხარს ვუჭერდი. სანამ ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობის თანხმობას განვაცხადებდი, მანამდე 7 თუ 8 საკმაოდ სახელოვანი და ცნობილი პარტიებისგან მქონდა შემოთავაზებები, მაგრამ არ დავთანხმდი. ბიძინა ივანიშვილი წარმატებული ადამიანია და მან ამ ყველაფერს დიდი შრომის წყალობით მიაღწია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ მისაღებია ჩემთვის მისი დამოკიდებულება იმ პრობლემებისადმი, რაც დღეს არის ქვეყანაში, ამას დამატებული მისი ტონალობა, გახსოვთ ალბათ, როდესაც მოვიდა მან განაცხადა, რომ ჩვენ ყველანი ერთად გავიმარჯვებთო, არ უთქვამს, ამას დავამარცხებთ, იმას გავანადგურებთ და ა.შ. თქვენ იცით, რომ არიან პარტიები, რომლებიც ქუჩის აქციებს ემხრობიან. კი ბატონო, აქციები ნება დართულია კონსტიტუციით, მაგრამ რაღაც დროის შემდეგ, ის უკვე უნდა გადავიდეს სხვა ქმედებებში. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ის ვერ იზიარებს ბრძოლის ასეთ ფორმას და სიმართლე გითხრათ, ვერც მე ვიზიარებ იმას, რომ რუსთაველის პროსპექტით მთავრობების შეცვლა დაგვებედა. მე ყოველთვის ვიყავი ამის წინააღმდეგი, რადგან როგორც წესი ასეთი რევოლუციებით მოსული ხელისუფლებები, შემდეგ არ არის იმ კადრებით დაკომპლექტებული, რომელიც შეესაბამება ქვეყნის წინსვლას. ბიძინა ივანიშვილს, როგორც თავის საქმეში წარმატებულ კაცს, არ მოსწონს ხელისუფლების შეცვლის ასეთი გზა და სულ ამბობს, რომ მოვა არჩევნები და თავად ხალხი აირჩევს უკეთესს. ჩემის აზრით, დღეს ახალ გზაჯვარედინზე შევდგით ფეხი ანუ ეს ჩვენი, ყველას გამოცდაა და უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების. იმიტომ, რომ მთელი ძალაუფლება მის ხელშია თავმოყრილი და მასზეა დამოკიდებული, ჯერ როგორ მივალთ არჩევნებამდე და შემდეგ როგორ ჩავატარებთ მას. - ბატონო გურამ, თქვენ რა კომენტარს გააკეთებთ ბიძინა ივანიშვილის იმ ფრაზაზე, რომელიც თქვენი წარდგენის დროს თქვა და ორი დღეა „ნაციონალური“ტელევიზიების მთავარი თემა გახდა. მართლა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში აფხაზეთის აღიარება?



— მიმაჩნია, რომ პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ტელევიზიებით ამ ორი-სამი დღის განმავლობაში, ეს არის სიტყვაზე გამოკიდება და ყველაფრის გაბერვა, თითქოსდა რაღაც საშინელება ხდება. ბატონი ბიძინა თავის გამოსვლებში ყოველთვის საუბრობს ტერიტორიულ მთლიანობაზე და მხედველობაში ქართლ-კახეთი ნამდვილად არ აქვს. თქვა ოკუპირებული ტერიტორიაო,-ესენი კიდევ გაიძახიან, არა ეგ ერთხელ თქვა, თორემ ნახეთ გულში რა აქვსო. ეს, რაც ხდება ყველაზე ცუდი ჟურნალისტიკაა. პრეზიდენტსაც კი აქვს ნათქვამი, მოდით რა, სიტყვებზე არ გამომეკიდოთო. ის ტექსტი, რაც ბატონმა ბიძინამ თქვა, დაწერილი არ ყოფილა და ვთქვათ, რომ მოხდა რაღაც სიტყვების ცდომილება, მაგრამ ასეთი ამბავი ხაზს უსვამს იმას, თუ რა სიძულვილით იღწვიან მასმედიის ზოგიერთი წარმომადგენლები. ეს თემა შემდეგ ერთმა ცნობილმა ტელეკომპანიამ გააგრძელა და თქვა, ეს მარტო ბიძინა ივანიშვილმა კი არ თქვა, გურამ ოდიშარიამაც აღნიშნაო. არადა, სინამდვილეში დამისვეს რაღაც კითხვა, სადაც ვახსენე ქართულ-აფხაზური ურთიერთობები და აფხაზეთის პრობლემა. -აი, ქართულ-აფხაზური ურთიერთობები რატომ თქვაო,-რა უნდა მეთქვა აბა? გამოყოფაა ე.ი. ეს საქართველოსა და აფხაზეთის? მაშინ გალაქტიონ ტაბიძე არც უნდა ვახსენოთ საერთოდ, რადგან მისი დაწერილია ლექსი „გამარჯობა, აფხაზეთო შენი..“. 1992 წლის სექტემბერში, როდესაც შევარდნაძე და არძინბა შეხვდნენ ელცინთან, მაშინ ხელმოწერილ დოკუმენტში და ყველა შემდეგ ხელშეკრულებაშიც ასეთი რამ წერია, „ რუსკაია სტარანა, გრუზინსკაია სტარანა, აფხაზსკაია სტარანა“. აფხაზეთი მანამდეც იყო ავტონომიური-სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც ჰქონდა თავისი კონსტიტუცია და ამ კონსტიტუციით გამოსვლის უფლებაც ჰქონდა. მე არ უნდა მასწავლოს პატარა ჟურნალისტმა გოგონამ თუ ბიჭუნამ აფხაზეთის სიყვარული. იქ არის ჩემი მშობლიური ქალაქი და ჩემი ოჯახის წევრების სასაფლაო. ახლა კი, აი ასეთები, რომ გასწავლიან ეს არის უბედურება, შენ მაინც იცი, რამდენი რამ დაგვიწერია, რა სპექტაკლები დაგვიდგამს იმ აფხაზეთის სიყვარულით, რომელიც საქართველოსგან გამოყოფილი ვერასოდეს ვერ წარმომიდგენია. ყოველთვის ვიძახდი, რომ ტანკები არ იყო შესაყვანი, უნდა გველაპარაკა მათთან, მაგრამ როცა შიდა დიალოგი გერღვევა, სხვასთანაც ვერ ილაპარაკებ. ასე რომ ამ ჟურნალისტებმა აიღონ ყველა ხელშეკრულება თუ დოკუმენტი და კარგად გამოიკვლიონ საქართველო და აფხაზეთი როგორ არის ნახსენები, ქართულ-აფხაზური ურთიერთობა რას ნიშნავს. ეს ივანიშვილის ან მისი იდეების საწინააღმდეგო კი არა, პირველ რიგში თავად ამ ადამიანებისთვისაა ანტი-პროპაგანდა. ბოლო პერიოდში ვხედავ, რომ პროპაგანდის, მასმედიის ენა ემსგავსება საბჭოთა კავშირის მასმედიისა და იდეოლოგიის ენას. ანუ რაღაც პატარა ფაქტის აღება და მისი გაბერვა. დღეს შეურაცმყოფელი ეპითეტები რომ ისმის საქართველოში, ჩონჩხები და მონსტრები მოდიან, საბჭოთა კავშირი უნდათ და ა.შ. საუბედუროდ ესაც საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის ენაა, რომლისაც მაშინაც არავის არ სჯეროდა. ეს ენა გვეუბნებოდა ჩვენ, რომ ამერიკა ცუდია, კაპიტალიზმი ცუდია, ყველაზე კარგი სისტემა ჩვენა ვართ. ჩვენ ამ დროს ვიცინოდით.





სოხუმში დაბადებული კაცი ვარ, ჯინსებს მეზღვაურებთან ვყიდულობდით, ამერიკულ სალეჭ რეზინს ვღეჭავდით, ამერიკულ მუსიკას ვუსმენდით და გვაინტერესებდა იქით რა ხდებოდა. ე.ი. ვისაც აგინებდნენ ის უფრო გვაინტერესებდა. „ვრემია“ რომ დაიწყებოდა ,აჩვენებდნენ აი, საბჭოთა კავშირში მშენებლობები მიდის, ლენტებს გაჭრიდნენ, ნახეთ საავადმყოფოები გაიხსნა, რა კარგია და შემდეგ ამერიკაში გაფიცვაა, საფრანგეთში ვიღაც ჩამოვარდა ხიდან და ფეხი მოიტეხა. აი, ასეთი პროპაგანდა მიდიოდა. დღესაც ყველაზე მეტად ამის მეშინია, რომ ეს არაპროფესიონალიზმი, სიძულვილის ენა ქვეყანას სიკეთეს არ მოუტანს. მაშინაც სწორედ ასეთი ენით ვსაუბრობდით, როდესაც ყველაზე დიდი დაპირისპირება მოხდა ქართველებს შორის.

**— თუ იცით ბიძინა ივანიშვილის შეხედულება აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, თუ გისაუბრიათ მასთან ამ პრობლემის მოგვარების გზებზე ან თქვენ როგორ აპირებთ ამ მიმართულებით მუშაობას?**

— პირადადაც რამდენჯერმე მისაუბრია ბატონ ბიძინასთან და რაც მომისმენია, ჩემს ხედვას მისი ხედვა ემთხვევა ერთი-ერთზე. მან თქვა, რომ აუცილებლად უნდა დავიწყოთ აფხაზებთან დიალოგი. დიალოგია მათი ნდობის მოსაპოვებელი საშუალება, ხოლო ნდობა ეს უკვე პირველი ნიშანია იმისა, რომ შეგვიძლია დავსხდეთ და პრობლემაზე ერთად ვიფიქროთ. მიმაჩნია, რომ სივრცეში არსებობს ისეთი წერტილი, რომელიც აფხაზსაც აწყობს და ქართველსაც, მაგრამ იმ წერტილამდე მისვლაა საჭირო. აფხაზეთის და იგივე ოსეთის საკითხი იმდენად ფაქიზია, განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, რომ ყველა ვერ იმუშავებს ამ სფეროში. ამ სიტუაციას მე ვადარებ დანაღმულ ველს და ამ ველზე იმ ადამიანმა უნდა იაროს ვინც იცის სად დააბიჯოს ფეხი ისე, რომ არ აფეთქდეს. ჩვენს კოალიციაში კი არიან ასეთი ადამიანები, იგივე ბატონი ირაკლი ალასანია, „რესპუბლიკელები“ და სხვები, რომელთაც გააჩნიათ ამის პოტენციალი. აფხაზური პრობლემის მათი ხედვაც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მე პოლიტიკაში და კონკრეტულად ამ პარტიაში შევდგი ფეხი.

**— ბატონო გურამ, არსებობს ეჭვი რომ ხელისუფლებას „ნატო“-ში შესასვლელად შესაძლოა აწყობდეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარება. თქვენთვის თუა მისაღები „ნატოს“ ფასად პრობლემის ასე გადაწყვეტა?**

— არავითარ შემთხვევაში. „ნატო“-ში შესასვლელად ერთ-ერთი პირობა თავისთავად არის ის, რომ კონფლიქტები უნდა გვქონდეს დარეგულირებული, მაგრამ ეს აბსოლუტურად არ ნიშნავს იმას, რომ დაჯდე ერთ საღამოს, აღიარო აფხაზეთის, ოსეთის დამოუკიდებლობა და მოვაგვარე კონფლიქტები, მოდით, ახლა მიმიღეთ „ნატო“-შიო თქვა. ასე არ ხდება. ამას უნდა ძალიან სათუთი მიდგომა და როგორც ვთქვი, პირველ რიგში საუბარი აფხაზებთან. სამწუხაროდ, ჩვენი პოლიტიკური ისტებლიშმენტი არც ადრე ესაუბრებოდა მათ და არც არანაირი შეთავაზება არ ყოფილა მათთვის. ერთადერთი შეთავაზება რაც მე ვიცი, ეს იყო 2006 წელს. კონცეფცია, რომელიც ირაკლი ალასანიამ ჩაიტანა აფხაზეთში. გადასცა აფხაზებს და ამ კონცეფციას დღესაც იხსენებენ იქ მაღალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებიც ამბობენ, რომ ვიწყებდით ჩვენ ამ კონცეფციაზე მუშაობასო, მაგრამ შემდეგ ირაკლი ალასანია მოაშორეს ამ სფეროს და სხვაგან გადაიყვანეს. ფაქტობრივად დიალოგი შეწყდა ჩვენი მხრიდან, რასაც შემდეგ საერთოდ ერგნეთის ბაზრობის გაუქმება და სხვა ნაბიჯები მოჰყვა ხელისუფლების მხრიდან. ასე რომ „ნატო“ ასე სულაც არ სვამს საკითხს და ეს უბრალოდ ჩვენი ეჭვია. იმიტომ, რომ ასეთ სიტუაციაში, ამდენ სატელეფონო მოსმენებში, ამდენ დაბრალებებში საზოგადოება თვითონ გახდა პარანოიული საზოგადოება და ცოდოა ჩვენი ხალხი ამისათვის. ამიტომ არ მოვდიოდით ნაბიჯ-ნაბიჯ, ამიტომ არ გამოგვივლია ამდენი ომები და დაპირისპირებები. ჩვენ არ გვაქვს ცალმხრივი პოზიცია და არ ვებახით ხელისუფლებას, რომ თქვენ საერთოდ ცუდები ხართ. კარგის დანახვაც უნდა შეგვეძლოს. მე პირადად, ქრისტიანულად ყველა მიყვარს და მინდა, რომ ყველა ქართველს შეეძლოს პატივის ცემა მაინც ერთმანეთისთვის. თორემ, ეს არჩევნები თუ ძალიან ცუდად ჩავატარეთ, განსაკუთრებულად ცუდად შემდეგ არჩევნებს ჩავატარებთ და სახელმწიფოს ვერ შევქმნით.

**ლელა არაბული**



# Cven ar gvaqvs ufleba saqarTvelo iranuli raketebis `abas 1~-is, `abas 2~-is Tu `abas 3~-is samizned gavxadoT

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე* **ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ**

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის „ერთობა სამართლიანობისთვის“ თავმჯდომარე **დიმიტრი ლორთქიფანიძე**, რომელიც დარწმუნებულია, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ ერთდღიანი ხმაური ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, ხელისუფლების მიერ საზოგადოების აზრისა და განწყობების და სასინჯი მოქმედებისთვის იყო განკუთვნილი.*

**— ბატონო დიმიტრი, გამოგიტყდებით და, ველოდი კიდეც ხელისუფლების მხრიდან მაისში ახალი პარლამენტის არჩევნების თემის წამოწევას, მაგრამ საინტერესოა, რა ინფორმაციას ფლობთ თქვენ, დეპუტატი, რომელსაც ყოველდღიურად უხდება პარლამენტში სიარული და კულუარული ინფორმაციების ასე თუ ისე მოპოვება? მართალია, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა — ახალი ინიციატივამ“ ამჯერად თავი შეიკავა საჩივრის შეტანაზე საკონსტიტუციო სასამართლოში, მაგრამ ეს თემა, როგორ ფიქრობთ, დროებით დაიხურა თუ კვლავ დადგება დღის წესრიგში?**

— მინდა გითხრათ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობა 2011 წლის დეკემბრიდან არ გამოირიცხებოდა, როცა პარლამენტის მიერ საბიუჯეტო კანონპროექტისთვის მხარის შესაძლო არდაჭერაზე იყო საუბარი.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარება შესაძლებელი იყო მთავრობის მე-6 წევრის შესაძლო გადაყენებითაც, რის შემდეგაც — მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხი უკვე პარლამენტის წინაშე დადგებოდა და მესამე — როგორც ჩანს, ხელისუფლებამ მესამე გზა — საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონსტიტუციის 50-ე მუხლის II პრიმა ნაწილის არაკონსტიტუციურად ცნობის გზა მოსინჯა და თავისი სატელიტი არასამთავრობოს „ახალი თაობა ახალი ინიციატივის“ მეშვეობით ეცადა შეეტყო საზოგადოების რეაქცია — ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ ისიც, რომ „ახალი თაობა“ — ახალი ინიციატივა“ ხელისუფლების მხრიდან მართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელმაც თავის დროზე, მუნიციპალური არჩევნების დროს ეგზიტპოლში მიიღო მონაწილეობა და ზუსტად „ის შედეგი“ დადო, რაც ხელისუფლებას აწყობდა, ანუ ამჯერადაც, ამ „ენჯეომ“ ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა და ერთი დღის განმავლობაში აკვირდებოდა რა რეაქციები წამოვიდოდა, როგორც საზოგადოებიდან, ისე პოლიტიკური ჯგუფებიდან. ამასთანავე „ნაც. მოძრაობას“ აცნობიერებს, რომ ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორები შესაძლოა, გამწვავდეს და რა თქმა უნდა, მის ინტერესებშია საპარლამენტო არჩევნების მაისის თვეში ჩატარება! ხელისუფლება საგარეო საფრთხეებს უყურებს და ხედავს, რომ 4 მარტს რუსეთის პრეზიდენტის პოსტზე ვლადიმერ პუტინის არჩევას წინ ვერაფერი დაუდგება, ხოლო პუტინის გაპრეზიდენტების შემთხვევაში საქართველოზე ზეწოლა, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად გაიზარდოს. ამიტომ, ხელისუფლებას არ სურს, ძალაუფლების განმტკიცების შესაძლებლობა შორეულ პერსპექტივაში განიხილოს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური კონგლომერატი, რომელიც პრაქტიკულად ჩამოყალიბებულია, გარკვეულ დროს მაინც საჭიროებს, რათა საკუთარი მხარდამჭერები და დამკვირვებლები დაატრეინინგოს და არჩევნებში მონაწილეობა სრულყოფილად მიიღოს.

ყველა ამ გარემოებათა ერთობლიობით კი ხელისუფლება მიდის დასკვნამდე, რომ მისთვის გაცილებით ხელსაყრელია საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაცია ვადამდელი არჩევნების გზით მოახდინოს, ვიდრე ჰიპოთეთურ „ოქტომბერს“ დაელოდოს, როცა კაცმა არ იცის, როგორი ცხელი იქნება ზაფხული და რა პროცესები განვითარდება, როცა რუსეთში პრეზიდენტი პუტინი გახდება და როცა, შესაძლოა, ჩვენს სამეზობლო ირანში, დაძაბულობის ესკალაცია ომამდე მივიდეს.

**— დიმიტრი, ორჯერ ორი ოთხივითაა ნათელი ხელისუფლების ზრახვები, შიშები და თუ გნებავთ გათვლები, მაგრამ თუკი მართლაც მაის-ივნისში ჩატარდა არჩევნები, ჩემი აზრით, დიდი ვერაფერი შველა ოპოზიციას, არ მეთანხმებით?**

— ბატონი ბიძინა ივანიშვილის პარტია ჯერ არ არის დაკომპლექტებული და სტრუქტურიზებული ბოლომდე. თავად ბატონი ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხი ღიაა. უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი, საინფორმაციო ვაკუუმის გარღვევისათვის, ანუ ტელევიზია არ არის, როგორც მოცემულობა რეალიზებული. მაჟორიტარულ ოლქებში შესაბამისი კანდიდატების წინასაარჩევნო წარდგენა ჯერ არ მომხდარა. არადა, სწორედ ამ ადამიანებმა პირადი პოლიტიკური აქტივობით უნდა მოუტანონ მთელ პოლიტიკურ კონგლომერატს კონკრეტული შედეგები. ფორსმაჟორში ჩატარებული არჩევნების შედეგები, განსხვავებული იქნება უკვე მომზადებული და ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული გუნდის მხრიდან წარმოებული არჩევნების შედეგებისა და აქ ორი აზრი არ არსებობს. მე ჩრდილს არ ვაყენებ არავის განცხადებას, პირიქით, მახარებს, რომ ასეთი ენთუზიაზმი არსებობს „ქართულ ოცნებაში“, მაგრამ ენთუზიაზმის გარდა არსებობს ის რეალობა, რომელიც განსხვავებულია დღეის მონაცემებით და რა გითხრათ, აბა?

**— როგორც ცნობილია, „ახალი თაობა — ახალი ინიციატივამ“ სარჩელი უკან გამოიტანა... „ნაც.მოძრაობამაც“ გაუსინჯა კბილი მოსალოდნელი არჩევნების შემთხვევაში რომელ პოლიტიკურ ჯგუფს რა რეაქციები ექნება და მაინც რა, რას მიაღწია ამით?**

— გარდა ამისა, რომ ხელისუფლებამ „ახალი თაობა — ახალი ინიციატივის“ მეშვეობით პულსზე ხელი დაადო საზოგადოებას, ამას გარდა შეიტყო, ისიც რომ — არავინ წინასწარ არ აპირებს ბოიკოტირებას ასეთი ტიპის არჩევნების მიმართაც კი! ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია... თუ ლეიბორისტები უკვე დღეს პარლამენტის წინ აპროტესტებენ და წინასწარ ბოიკოტს უცხადებენ ასეთ არჩევნებს,



**ბიძინა ივანიშვილის სტრატეგია, რომელსაც პირადად მივესალმები და მხარს ვუჭერ, მდგომარეობს იმაში, რომ იგი, ნებისმიერ არჩევნებს, ვადამდელი იქნება ის თუ ვადაში, არჩევნების ლეგიტიმაციას ეჭვქვეშ არ აყენებს და იცის, რომ არჩევნების შედეგების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ უნდა დადგეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც არჩევნები ჩატარდება და არა მანამდე, რათა ლეგალური საფუძვლები არსებობდეს უნდობლობის გამოცხადებისა.**

და ამ უნდობლობიდან გამომდინარე, საქართველოს კონსტიტუციის, იმ ნორმაზე დაყრდნობით როცა საზოგადოებას ართმევენ უფლებას იყოს ხელისუფლების წყარო, მაშინ საზოგადოებას რჩება პროტესტის გამოხატვის კონსტიტუციური უფლება, რაც გარდაუვლად მიიყვანს ხელისუფლების ცვლას პროტესტის ფონზე! ამას კი, გნებავთ, საარჩევნო ხმების დაცვის უფლება დავარქვათ, გნებავთ, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმით გათვალისწინებული უფლება, რომლითაც სრულიად ლეგიტიმურია, თუნდაც ხალხის აჯანყება, რადგან როგორც უკვე მოგახსენეთ, ნებისმიერი ხელისუფლების წყარო ხალხია.





**— დიმიტრი, მე ვფიქრობ, ბევრი ფაქტორია იმისა, რომ ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, არჩევნების გაყალბების გზით წავიდეს და მაგალითისთვის მოვიყვან, თუნდაც, ამომრჩეველთა დღევანდელ მაჩვენებელს...**

— გეთანხმებით და დავამატებ იმასაც, რომ არამხოლოდ დაუზუსტებელი ელექტორატის სიების მხრივ არის გაყალბების დიდი ალბათობა... საარჩევნო კოდექსით, რომლითაც უნდა დაკომპლექტდეს საარჩევნო ადმინისტრაციები, იმ საარჩევნო კოდექსით, რომლითაც გათვალისწინებულია კვლავ ძალიან ბევრი დახურული უბნები, სადაც საარჩევნო გამჭვირვალობას ვერ გააკონტროლებს ოპოზიცია და ა.შ. დიდი ალბათობით წინასწარ იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ არჩევნები მაისში იქნება თუ ოქტომბერში, მაინც იქნება არასანდო.

**— ნაც. მოძრაობა, ჩემი აზრით, საარჩევნო კამპანიას თითქმის ასრულებს და თქვენ როგორ ფიქრობთ, თუკი მართლაც ოქტომბერი აქვთ ჭკუაში, ოქტომბრამდე რესურსი, როგორც პიარის, ისე ტემპების თვალსაზრისით ეყოფათ? თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზაფხული პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით დუნეა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი მათი სირბილი ფუჭია და სექტემბრიდან ახალი მარათონის მხილველები გავხდებით?**

— საქმე იმაში გახლავთ, რომ ხელისუფლებას, თავიანთი გადმოსახედიდან, პრაქტიკულად, დათვლილი აქვს მომავალი არჩევნების შედეგები. ახლა, რას ემსახურება ეს გააფთრებული წინასაარჩევნო კამპანია, რომლის თანახმადაც პარლამენტის თავმჯდომარიდან დაწყებული, რიგითი დეპუტატებით დამთავრებული ყველა ლამისაა მოდებული არიან სოფლებსა თუ ქალაქებს... ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ღია გზავნილი საკუთარი ადმინისტრაციული რესურსისადმი (რაზეც იგი დგას), რომ „ნაც.მოძრაობაში“ არის ერთობა, რომ ისინი არ არიან შეშინებულები, პოლიტიკურ ველზე ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით და რომ „ნაც. მოძრაობა“ კვლავაც ძლიერი და შეკრული ერთობაა!

**— სად ან ვის აქვს გარანტია იმისა, რომ მაისში არჩევნების მოთხოვნით, ახლა 200 000 ხელმოწერა არ გამოაცხოს „ნაც. მოძრაობამ“?**

— ოოო, აი ეგ არის სწორედ საგულისხმო... გახსოვთ, კონსტიტუციაში 150 დეპუტატის ნაცვლად 190 დეპუტატის შესახებ ცვლილებაზე რომ იყო დიდი ვნებათაღელვა? პრეზიდენტი აცხადებდა, რომ მას არ სურდა ამ პროცესში მიეღო მონაწილეობა, მაგრამ აუცილებლად გაითვალისწინებდა საზოგადოების აზრს, გაგახსენებდათ, ხომ? აი, როგორც საზოგადოებრივი აზრის გამოყენება მოხდა დეპუტაციის კლებასთან დაკავშირებით, ისე შეიძლება, მსგავსი რამ მოხდეს არჩევნების მაისში ჩატარებასთან დაკავშირებითაც. ანუ ხელისუფლებამ 200 000 მოქალაქის „ნებით“ შესაძლოა, კვლავაც დაიწყოს მანიპულაციები და ეს ხელმოწერებიც თავად კი არ მოაგროვოს, არამედ რომელიმე თავისი სატელიტი არასამთავრობოს მიერ და რომელსაც თითქოსდა პოლიტიკური მიზნები გაცხადებული არ აქვს! ამის შემდეგ კი იტყვის — რა, ვქნა ბატონო, ხალხს მაისში უნ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

და არჩევნების ჩატარება და ხალხის ნებას წინ ხომ ვერ აღუდგებიო?! ასე, რომ აბსოლუტურად გეთანხმები ირინა შეკითხვაში და ვფიქრობ, რომ სწორედ 200 000 ხელმოწერის ვარიანტი რჩება ყველაზე სავარაუდო გზად იმისთვის, რომ ხელისუფლებამ ბოლო მომენტში მაინც მიიღოს გადაწყვეტილება – მაისში ჩაატაროს არჩევნები.

მხედველობაშია მისაღები 4 მარტის რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებიც, რომლის ბედიც პრაქტიკულად, გადაწყვეტილია და მთელი მსოფლიოც ნელ-ნელა ურიგდება იმას, რომ პრემიერი პუტინი ხდება პრეზიდენტი, რომლის ინაუგურაცია უნდა შედგეს 7 ან 8 მაისს!

**– გარდა კონკრეტულად პუტინის პრეზიდენტობისა, არსებობს საქართველოზე ზეწოლის მეორე ვარიანტიც, კერძოდ, შესაძლო ომი ირანში...**

– დიახ, გეთანხმებით, საგარეო საფრთხეები არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტში, რომელთა მიხედვითაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თემა ძალიან აქტუალური ხდება და ალბათ, ხელისუფლება ამ გადაწყვეტილების მიღებისთვის რაიმე მიზეზს აუცილებლად მოძებნის! მე ვფიქრობ, რომ ეს, შესაძლოა, სულ მალე განხორციელდეს კიდეც. რაც შეეხება ირანის ფაქტორს, ჩვენთან მიმართებაში რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ორმუზის სრუტეში სამხედრო ესკალაცია აღწევს გარკვეულ კულიმინაციას და პრაქტიკულად, უკვე ჟღერს იმ ტიპის განცხადებებიც, როგორიცაა – თუ დღეს არ დავარტყამთ ირანს, ხვალ იქნება გვიან. ჩვენ, როგორც ამერიკის მოკავშირე და პარტნიორ ქვეყანას, შესაძლოა, პრობლემები გაგვიჩნდეს!

**– დიმიტრი, თქვენი აზრით, საქართველომ როგორი პოზიციაა უნდა დაიკავოს ირანთან შესაძლო ომის შემთხვევაში? უნდა იმოქმედოს, როგორც ამერიკის პარტნიორმა თუ ნეიტრალური ქვეყნის პოზიციაზე უნდა დადგეს?**

– მე ამასთან დაკავშირებით, ჩემი მყარი პოზიცია მაქვს...

საქართველომ ნებისმიერი ფორმით, ეს პლაცდარმი იქნება თუ გაერთიანებული კოალიციის გადაწყვეტილება, ანუ საქართველო გამოიყენოს ამ მიმართულებით, თუ „აისაფის" პროგრამაში ქართული სამხედრო კონტინგენტის გაზრდა ირანის მოსაზღვრე ავღანეთში და ა.შ. – ჩემთვის მიუღებელია და გეტყვით, როგორც მოგეხსენებათ, ავღანეთში ჩვენი სამხედროების კონტინგენტი ამჯერად უკვე 1700-მდე იზრდება და თუკი კონფლიქტი დაიწყება, ირანი ამერიკულ ბაზებზე მიიტანს იერიშს და გამოდის, რომ ჩვენი ჯარისკაცებიც დაზარალდებიან, ხომ? ისიც გასათვალისწინებელია, რომ საქართველო მართალია ამერიკის მოკავშირეა, მაგრამ ამავდროულად ირანი არის ჩვენი მეზობელი ქვეყანა და მეზობლებს არ ირჩევენ. ქვეყნები ირჩევენ მეზობლებთან ურთიერთობის სტრატეგიას, ხანგრძლივვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით და ასე რომ, ჩემი პოზიცია არის ცალსახად ის, რომ საქართველო ამ კონფლიქტში არ უნდა ჩაერთოს და დაიჭიროს აბსოლუტური ნეიტრალიტეტი, რადგან

**ჩვენ არა გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ერთი მუჭა ხალხი გავხადოთ პოტენციურ სამიზნედ „აბას 1", „აბას 2", „აბას 3"-ებისა!**

**– გეთანხმებით, მაგრამ გარდა ამერიკა-ისრაელ-ირანის კონფლიქტისა, საქართველოს ამ ომის დროს ის საფრთხეც შეიძლება დაემუქროს, რაც სომხეთის ტერიტორიაზე კერძოდ, „გიუმრის" სამხედრო ბაზისკენ მიმავალი რუსული ეშელონების გადაადგილების დროს შეიძლება მოხდეს აქ, ჩვენ ტერიტორიაზე. მოგეხსენებათ, რუსეთი თავის ბაზას ომის პირობებში არ მიატოვებს და სახმელეთო კორიდორად ჩვენს ტერიტორიას გამოიყენებს. როგორ ფიქრობთ, რუსების შეიარაღებულ ძალებს აქ გადაადგილების შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებს მხრიდან, წინააღმდეგობა მოჰყვება?**

– რა თქმა უნდა, არ გამოირიცხება რუსული სამხედრო ექსპანსია ერთადერთი მოთხოვნით,



რომ რუსეთს ჰქონდეს ღია სახმელეთო გზა ფედერაციის სამხრეთ საზღვრებიდან, „გიუმრის" სამხედრო ბაზამდე. ეს კი ყველა ვარიანტში გულისხმობს ლარსის გამშვები პუნქტიდან მონაკვეთს სადახლოს გამშვებ პუნქტამდე, მათი ტვირთების ლეგალურ გადაადგილებაზე.

**– თუ მეხსიერება არ მღალატობს, საქართველოს ხელისუფლებამ ეს ხელშეკრულება რამდენიმე წლის წინ უკვე გააფორმა...**

– ეხლა შეეგუება თუ არა, ან რა ფორმით უნდა შეეგუოს ამ ლეგალურობას საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ერთის მხრივ, არის ამერიკის სტრატეგიული პარტნიორი და მეორეს მხრივ, რუსეთის ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ქვეყანა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩემი აზრით, არ შეეგუება, ფორმალურად მაინც და სამხედრო კონფლიქტი ლოკალურ დონეზე, შესაძლოა, მოხდეს კიდეც.

**ეს კი გამოიწვევს იმას, რომ საქართველოს დღევანდელი მთავრობა, შესაძლოა, დასავლეთ საქართველოში გადავიდეს და მოხდეს საქართველოს შუაზე გახლეჩა.**

ახლა დასავლეთ საქართველოში, იგივე ქუთაისსა თუ ბათუმში აქვს თუ არა ახალი ინფრასტრუქტურა მთავრობის განსალაგებლად ამ ხელისუფლებას? – მკითხველმა თავად განსაზღვროს, თავად იმსჯელოს, ოღონდაც ნუ დაივიწყებს, რომ ქუთაისში ახალი პარლამენტის შენობით დაწყებული ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოთი დამთავრებული, ყველაფერი რიკოთს იქეთაა და რაც დარჩა, იმის გადატანასაც ბევრი არაფერი უნდა პროექტირების თვალსაზრისით.

ღმერთმა დაგვიფაროს ასეთი სცენარისაგან, მაგრამ თუკი ირანზე ღიად განხორციელდება პრევენციული ხასიათის დარტყმები, რუსეთი თავის სამხედრო ბაზას „გიუმრიში" არამცთუ უპატრონოდ არ დატოვებს, არამედ უფლებაც არ ექნება დატოვოს, ვინაიდან –

**სომხეთი და რუსეთი ჩართულები არიან კოლექტიური თავდაცვის სისტემაში და ის გზა, რომელიც ლარსიდან სადახლომდე გადის, ირანთან ომის შემთხვევაში, პირდაპირ გახდება ყოველდღიური მომსახურების ზონა!**

ამას კი რას დავარქმევთ ჩვენ, ანდა რას დაარქმევენ საერთაშორისო დონეზე ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნება. როგორ შეეგუება ამას საქართველოს ხელისუფლება, როგორ დადგმულ სპექტაკლს გაათამაშებს იმისთვის, რომ ნაკლები ზიანი მიიღოს თვითონ – ამასაც ნაკლები მნიშვნელობა ექნება საზოგადოებისთვის, რადგან ეს თუ მოხდა, ძალიან სერიოზული საფრთხე იქნება ქვეყნის შუაზე გახლეჩის თვალსაზრისით.

**– დიმიტრი, ყველას კი გვახსოვს, მაგრამ რადგან შესაძლო ვადამდელ, მაისში ჩასატარებელი არჩევნების თემით დავიწყეთ ჩვენი ინტერვიუ, გთხოვთ გაიხსენოთ, რა თქვა სააკაშვილმა ქუთაისში ახალი პარლამენტის ამუშავების ვადის თვალსაზრისით? თუ არ ვცდები 2012 წლის 26 მაისი ახსენა, არა?**

– დიახ, 2012 წლის 26 მაისს ჩვენ საქართველოს პარლამენტის პირველ სხდომას ახალი პარლამენტის შენობაში ჩავატარებთო, – ბრძანა მიხეილ სააკაშვილმა, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ ირანის კონფლიქტის დროს, მსგავს სცენარს, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ და რუსეთმა შეიძლება, ეს განახორციელოს, მაშინ ბუნებრივია, პარლამენტის მთელი შემადგენლობა, სხდომების ჩასატარებლად ქუთაისში გადამისამართდება და იქ გააგრძელებს მუშაობას.

**– დიმიტრი, ხუმრობა კი გიყვარს ხოლმე, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს თუ კარგად გაიხსენებ, დამეთანხმები რომ ეს ბედოვლათი პარლამენტარებიც და მთელი ხელისუფლებაც, საზღვრებზე იყო მომსკდარი საკუთარი ტყავის გადასარჩენად და აქედან გამომდინარე, მეცინება, მათ მცირედი საფრთხის შემთხვევაში პარლამენტის სხდომების ჩატარებისა და მითუმეტეს სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის ეცალოთ!**

– (იცინის)

**– ნება მიბოძეთ, დიდი მადლობა მოგახსენოთ ძალიან საინტერესო ინტერვიუსთვის და თქვენს მიერ გაჟღერებული არაერთი მნიშვნელოვანი მოსაზრებისათვის. იმედი ვიქონიოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, გმადლობთ.**

– მადლობა „საერთო გაზეთს" და თქვენ, ჩემდამი გამოჩენილი ყურადღებისთვის. მშვიდობა გვქონოდეს...

**ირინე გოგოსაშვილი**

# facebook

# xalxis azriT

პატრიოტებო, ივანიშვილის გამოჩენაში რუსულ საფრთხეს რომ ხედავთ, იქნებ ამაზეც გქონდეთ პასუხები – 2003 წელს, სააკაშვილი რომ დადიოდა დაჯავშნული „უაზით"'ვისი ნაჩუქარი იყო?

იგორ ივანოვი რატომ ჩამოვიდა შუამავლად?- მაშინ ივანოვი რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელობდა.

როგორ მოხვდა რუსეთის თავდაცვის საბჭოს წევრი ბ-ნი ბენდუქიძე საქართველოს მთავრობაში?

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რატომ დაინიშნა რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენი ბ-ნი ვაშაძე მინისტრად?

კგბ-ს კადრის გენერალი, ბატონი თემურ ალასანია რატომ დაინიშნა საქ.საგარეო უწყებაში კონსულტანტად?

ამ კითხვებზე პასუხის არქონის შემთხვევაში რამდენად მორალურია თქვენი ბრალდებები ივანიშვილის მიმართ?

მაღალოოო, შენა ჯოოო, მართლა შიშისაგან "ყუყი" ხო არა მოგივიდა, ა?... აბა, ეს რაა არის „მხოლოდ მათ ქონდათ გენერატორები, მხოლოდ მათი ბინები იყო განათებული,მხროლოდ მათ შეეძლოთ თავიანთი შვილებისთვის რეპეტიტორების აყვანა,მხოლოდ მათ კერძო მასწავლებლებთან გაეზარდა შვილები და უცხოეთში გაეგზავნათ სასწავლებლად,კომპიუტერებიც მარტო მათ უნდა ქონოდათ და მარტო მათ შვილებს უნდა სცოდნოდათ უცხო ენები,მკურნალობა და სამკურნალოდ უცხოეთში წასვლაც მხოლოდ მათ შეეძლოთ....ახლა არ უნდა გაგინოოს კაცმა შენა ხმამაღლა და გამოთქმიით?... იმ ქვეყანაში, შენ რო ასეთი ეპითეტებით იხსენიებ, ჩემ მეზობელ ვალოდიას ბიჭმა ორი უმაღლესი დაამთავრა და ვალოდია "საპოჟნიკი" იყო საბურთალოს ბაზართან... აი, შენ "აყვავებილ" ქვეყანაში, კიდევ ხალხი სიცივით და შიმშილით იხოცება... შენა მართლა ხო არ გაჟრიალებს, ა?

ამ ლოგიკით გამოდის,რომ დღევანდელი ხელისუფლება ყოფილა იმათი შვილები. რაღაც არ გამიგია, რომელიმე მათგანს ვაჟა-ფშაველასავით ლამფის შუქზე ესწავლოს, თითო-ოროლას აქვს დამთავრებული მშობლიური ჯავახიშვილი, უმეტესობას უცხოეთში აქვს განათლება მიღებული, არტეკი და დასვენება მაგათი იყო...თუ არ ვცდები, ინდიელებმა იციან საკუთარ თავზე მესამე პირში ლაპარაკი!

ბოლო-ბოლო აეხადა ყველაფერს ფარდა!..

-ივანიშვილს აფხაზეთის საქართველოდან ჩამოცილება სურს, (თურმე ჯერ არაა ჩამოცილებული)

-ივანიშვილს საქართველოს დანგრევა სურს.

-ივანიშვილს პუტინთან ჯოკერში წაუგია საქართველო.

-ივანიშვილი 5 წლამდე ბავშვებს ჭამს.

აბა, რა ეგონა ამას, იმედს და რუსთავი-2 რამეს გამოაპარებდა?!

არ შეიძლება მოთმენა, მაგრამ ხომ ვითმენთ? უფრო მეტსაც მოვითმენთ, ოღონდაც სტაბილური იყოს საქართველო! დაკარგული გვაქვს უამრავი ტერიტორია, გაქანებული დიქტატურაა ქვეყანაში, ირღვევა ადამიანის უფლებები, , მაგრამ დესტაბილიზაცია არ უნდა დავუშვათ, .აბა მე მკითხონ, 20 წლის წინ სამშობლოდან ომით გამოგდებულ კაცს, როგორი სტაბილურია ჩემთვის დღევანდელი საქართველო!

ეკატერინე ხვედელიძე მორალური ზიანის ანაზღაურებას თხოვს სააკაშვილს 20 000 ლარის ოდენობით. მოქალაქეობა რომ ჩამოართვა უკანონოდ, აბა, რა ეგონა მიშიკოს? მოუწევს ჯიბეების ამოქექვა :)

თუკი გაქვთ ინფორმაცია, რომ ესა და ეს პოლიტიკური პირი ზღვარგადასულ ფიზიოსიმსუნაგეს ამჟღავნებს და ქრონიკული დაუკმაყოფილებლობით ხასიათდება (ქალაქის ცენტრალურ ან პერიფერიულ უბნებში, რაიონში თუ რაიონს გარეთ), გთხოვთ, დაუყოვნებლივ აცნობოთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს. რისკზე წასვლა ნამდვილად ა{ღა}რ ღირს.




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

*გვესაუბრება მწერალი*
***მერაბ შათირიშვილი***



# merab SaTiriSvili: unda Seiqmnas gaerTianeba_ `biZina ivaniSvili da opozicuri koalicia~ _ sxva alternativas ver vxedav

**— ბატონო მერაბ, როგორ შეაფასებთ შექმნილ სიტუაციას?**

— წარმოიდგინეთ, რომ დღეს საქართველო ისეთ მდგომარეობაშია, როგორც დიდგორის ომის დროს — ბრძოლის ველზე ვართ და უკან ჩახერგილია გასაქცევი. ასე ვართ ყველა, ვინც სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანდასახევი გზა არ დავიტოვეთ და უკომპრომისოდ ვებრძვით მათ. ასეთ მდგომარეობაში ვიმყოფები, ისევე როგორც, ბევრი ჩემნაირი და დარწმუნებული ვარ, სააკაშვილი სამაგიეროს გადაგვიხდის, თუკი საშუალება მიეცემა. თუმცა არ უნდა დავიხიოთ უკან, სხვანაირად გამარჯვება არ იქნება.

**წინ სერიოზული ბრძოლა გვაქვს და ამ ბრძოლაში გულზე ხელს ნუ დავიკრეფთ. მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის იმედად ნუ ვიქნებით.**

სააკაშვილი ცდილობს არჩევნები მოიგოს არჩევნებამდე. ისინი ათასგვარი მეთოდებით იპყრობენ ამომრჩეველს, მოულოდნელი კომპენსაციებით, დახმარებებით, მოსყიდვებით ხალხს თავისკენ მიითვლის, რაც კიდევ უფრო აბრკოლებს ოპოზიციას. ძალაუფლება მის ხელშია და არ დათმობს იოლად ამ ძალაუფლებას. მეტიც, ის არწმუნებს დასავლეთს, რომ აქ არჩევნები დემოკრატიული იქნება.

**— თქვენ ამბობთ, რომ მოსალოდნელი არჩევნებიც უწინდებურად გაყალბებებით, დარღვევებით და ძალადობის ქვეშ ჩატარდება? ე.ი. ველარ ველირსეთ დემოკრატიულ არჩევნებს?**

— რა თქმა უნდა, ეს არჩევნებიც არ იქნება დემოკრატიული. ამის ნიშნები აშკარაა. მომავალი არჩევნები ფასადურად დემოკრატიული იქნება, თუმცა ეს ძალადობა, რასაც ესენი ამომრჩევლებზე ატარებენ, მაინც არ დაიმალება, ხალხის განწყობაზე აისახება და ამომრჩეველი ქუჩაში გამოვა.

**— ესენი დოკუმენტურად ყველაფერს სწორად გააკეთებენ, ისე, რომ გაყალბების ნიშნები თვალნათლივი არ იყოს.**

— ხალხი ახლაც ხედავს ყველაფერს, მაგრამ ჯერჯერობით, ითმენს ბატონი ბიძინას მოიმედენი და მომლოდინენი. მოთმინების ფიალა არჩევნების დღეს აივსება. თუ ნაციონალები ძალაუფლებას არ დათმობენ, ხალხი ქუჩაში გამოვა.

**— ბატონო მერაბ, არის მოსაზრება, შეიძლება არჩევნები მაის-ივნისში ჩატარდესო. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვერ მოითმენს სააკაშვილი შემოდგომამდე და ოპოზიციას მოულოდნელ დარტყმას მიაყენებს გაზაფხულზე არჩევნების გამოცხადებით?**

— ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სააკაშვილი არ დანიშნავს გაზაფხულზე არჩევნებს. მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოში საჩივარი შევიდა არჩევნების ვადებთან დაკავშირებით. მიმაჩნია, რომ მიშა არჩევნებს მაინც შემოდგომაზე ჩაატარებს. რატომ? ამით ის თავისი ძალის დემონსტრირებას მოახდენს და კიდევ ერთხელ დაანახებს დასავლეთს, რომ არის დემოკრატი და ოპოზიციას „ამოსუნთქვის“ საშუალებას აძლევს. ამით ის ეცდება გადაფაროს ის უხეში საარჩევნო კანონმდებლობა, ამომრჩეველთა მოსყიდვები, დაშინება-დატერორება. ეს იქნება მისი პიარის ნაწილი და არავითარ შემთხვევაში სააკაშვილი არ დააფიქსირებს შიშს ბატონი ივანიშვილისადმი დაჩქარებული არჩევნებით.

**— რა ხდება ამ დროს ივანიშვილთან?**

— რაც ხდება, ყველა ვხედავთ, მაგრამ ბატონმა ბიძინამ უნდა შეცვალოს ტაქტიკა. ბოლოს და ბოლოს ის უკვე არის ოპოზიციის ლიდერი და უნდა ჩამოყალიბოს პარტია.

**რეგიონებში უნდა შეიქმნას შტაბები, სადაც კოალიციაში გაერთიანებულ პარტიებთან ერთად პრიორიტეტული იქნება „ქართული ოცნება“.**



ხალხი ითხოვს ამას. თუ ეს პროცესი მალე არ დაიწყება, ხალხი თანდათან დაკარგავს აქტიურობის სურვილს და ინერტული გახდება.

ამით იმის თქმა მინდა, რომ ბიძინა ივანიშვილი პარტიული ლიდერი უნდა გახდეს, ისეთი, როგორც სააკაშვილია თავისი პარტიისთვის. ჩვენ, ფაქტობრივად, სააკაშვილს ბიძინა ივანიშვილი უნდა დავუპირისპიროთ, საპირწონე მხოლოდ და მხოლოდ ის უნდა იყოს. ხშირად გვისაუბრია მე და თქვენი გაზეთის რედაქტორს, ბატონ ვახტანგ ხარჩილავას იმაზე, რომ მნიშვნელობა არ აქვს, დაუბრუნდება თუ არა მოქალაქეობა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, უნდა ჩამოყალიბდეს სტრუქტურა „ოპოზიციური ალიანსი და ბიძინა ივანიშვილი“. ამის არ უნდა ეშინოდეს ბატონ ბიძინას, ვერავინ დასწამებს მას დიქტატორობას, ახლა ასეა საჭირო. ამ სიტუაციაში ზედმეტი დემოკრატიულობა თვით სააკაშვილისავე თვალში არის ღიმილის მომგვრელი, რადგან თვითონვე თამაშობს დემოკრატიულობანას.

აბსოლუტურად არა მაქვს ამ ეტაპზე პრეტენზიები ივანიშვილის ირგვლივ გაერთიანებულ ძალებთან, მაგრამ, როცა მე ივანიშვილის პარტიაზე ვლაპარაკობ, შეიძლება, ვინმემ იფიქროს, რომ აქ სხვა პარტიების იგნორირებას ვგულისხმობდე. ასე არ არის. ყველა პარტიულ სტრუქტურას უფლება აქვს გაძლიერდეს და თავისი ინტერესები იქონიოს. კი, ბატონო, გაძლიერდნენ, მაგრამ მოსახლეობას გზა არ უნდა დაუხშონ „ქართული ოცნების“ პარტიული ორგანიზმისკენ.

დავუშვათ, თბილისის რომელიმე რაიონში ოპოზიციური კოალიციის პარტიამ დაასახელა მაჟორიტარი კანდიდატი. ცხადია, ეცდებიან იმ კანდიდატს დაუჭირონ მხარი, მაგრამ სადაა აქ „ქართული ოცნება“? გამოდის, რომ ესა თუ ის პარტია თავის „ოჯახს“ აძლიერებს და ეს ლოგიკურიცაა, ამიტომ „ქართული ოცნების“ პარტიული ორგანიზმი უნდა შეიქმნას. ეს აუცილებელია და მოვლენებს არ უნდა გავუსწროთ, ვიდრე „ქართული ოცნების“ პარტიული სტრუქტურა არ გაძლიერდება, სხვა კანდიდატების დასახელებისგან თავი უნდა შევიკავოთ.

დასახელდა საორგანიზაციო საბჭოს წევრები. ეს ნიშნავს, რომ ნაბიჯი გადაიდგა პარტიული სტრუქტურისკენ, მაგრამ წინასწარ მაჟორიტარების დასახელება და ერთობლივი მოქმედებები კოალიციონერებთან მოსახლეობის დაბნეულობას გამოიწვევს და ამიტომაცაა საჭირო „ქართული ოცნების“ პარტიის ჩამოყალიბება.

წელან ვლაპარაკობდი ძველი პარტიული სტრუქტურების დამაბრკოლებელ ფაქტორებზე „ქართულ ოცნებაში“. ეს ის პარტიები იყვნენ, რომლებსაც ელექტორატი არ ჰყავდათ, და ივანიშვილის გარეშე პარლამენტში ვერც მოხვდებოდნენ, ამიტომ ნუ აქვთ საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენა და ნუ აღიზიანებენ ხალხს.

ყველამ რეალურად შეაფასოს თავისი შესაძლებლობები. თუ ამ რეჟიმის დამარცხება მართლა სურთ, უკომპრომისო უნდა იყვნენ ამ ბრძოლაში და ბატონ ბიძინას დაუთმონ პრიორიტეტი.

**ანა ბადაჭკორია**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

## გუგული მაღრაძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ პარტიაში წევრიანდება



„ქალთა პარტიის“ ლიდერი გუგული მაღრაძე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ პარტია „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოში“ წევრიანდება.

როგორც მან „მედიანიუსს“ განუცხადა, იგი ამჟამად „ქალთა პარტიის“ თავმჯდომარეა, თუმცა პარტიის ყრილობა მარტის თვეში გაიმართება, სადაც ახალი თავმჯდომარე უნდა აირჩიონ და მისი ივანიშვილის პარტიაში გადასვლის შესაძლებლობა უკვე იურიდიულადაც გაფორმდება.

მისივე თქმით, თავის მხრივ „ქალთა პარტია“ ოთხი პოლიტიკური სუბიექტისგან შემდგარ პოლიტიკურ კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არ შედის, თუმცა მისი მხარდამჭერია.

„კოალიციის სუბიექტები ერთმანეთთან სხვა საკითხებით არიან დაკავშირებულნი, ეს არის საარჩევნო კომისიაში წევრების გადანაწილება, ფინანსები და სხვა რესურსები. „ქალთა პარტია“ არის ამ კოალიციის მხარდამჭერი. ის კოალიცაში შევა ყველა იმ საქმიანობით, რაც საარჩევნო პროცესის წარმართვას სჭირდება, იქნება ეს მაჟორიტარები, თუ პროპორციული სია“, — განაცხადა გუგული მაღრაძემ.

## კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ნოდარ ხადური იქნება

ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს წევრები დაასახელა.



როგორც მან დღეს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, კოალიციის პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ექსპერტი ნოდარ ხადური იქნება, საბჭოში ასევე შედიან კონსერვატორი ზვიად ძიძიგური, რესპუბლიკელი დავით ბერძენიშვილი და თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი ალექსი პეტრიაშვილი. საბჭოს კიდევ ერთ წევრს ბიძინა ივანიშვილი მოგვიანებით თავისი პარტიიდან დასახელებს.

შეგახსენებთ, რომ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნება“ დღეს ოფიციალურად დაფუძნდა. მისი ლიდერები კოალიციის ოთხი სუბიექტის თავმჯდომარეები: ბიძინა ივანიშვილი, ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი და კახა შარტავა არიან.

**„მედიანიუსი“**



# irakli baTiaSvili:

# dRes politikuri procesebis mTavari flagmani biZina ivaniSvilia

*მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე „საერთო გაზეთს“ „სახალხო კრების“ ერთ-ერთი ლიდერი **ირაკლი ბათიაშვილი** ესაუბრა.*

**— ბატონო ირაკლი, ფაქტობრივად, პოლიტიკური სიტუაცია პოლარიზებულია. „სახალკო კრება“ რამდენიმე პოლიტიკურ პარტიასთან ერთად პროცესის მიღმა აღმოჩნდა და პოლიტიკურ კოალიციაში ვერ მოხვდა. მოცემულ სიტუაციაში რა ფორმით აპირებს „სახალხო კრება“ ბრძოლის გაგრძელებას?**

— ბოლო დროს სულ ამ კითხვაზე მიწევს პასუხის გაცემა, თუ რატომ ვერ მოხვდა კოალიციაში „სახალხო კრება“ და ეს, ერთის მხრივ, უკვე მომაბეზრებელიც გახდა. კრება პოლიტიკური პარტია არაა, ამიტომ ვერანაირ პოლიტიკურ კოალიციაში ვერ გაწევრიანდება და ამის სურვილი არც აქვს. თავის დროზე „სახალხო კრება“ მიესალმა ბიძინა ივანიშვილის გამოჩენას პოლიტიკურ ასპარეზზე, მის მიერ „ქართული ოცნების“ ჩამოყალიბებას, პოლიტიკური პარტიის მშენებლობას კვლავაც მხარს დაუჭერს. ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს და მის პარტიას რაც შეეხება, მართებული იქნება კითხვებით მას მიმართოთ, თუ რატომ ვერ მოხვდა კოალიციაში „დემოკრატიული მოძრაობა- ერთიანი საქართველოსთვის“. თუმცა ვერანაირ აუცილებლობას ვერ ვხედავ ყველა პარტია ერთ კოალიციაში იყოს თავმოყრილი.

**— ბატონო ირაკლი, მოცემულ სიტუაციაში რას აპირებს „სახალხო კრება“, რა გეგმები გაქვთ?**

— ბოლო პერიოდში კრება გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. „სახალხო კრება“ 26 მაისის შემდეგ ხელისუფლების მხრიდან ტერორის და შანტაჟის მთავარი სამიზნე გახდა. შეიძლება ითქვას, ხელისეუფლებამ ჩვენი მხარდამჭერების მისამართით არნახული რეპრესიები განახორციელა. მაისის მოვლენების შემდეგ კრების 300-მდე მხარდამჭერს ადმინისტრაციული სახდელი დაეკისრა, 40 ადამიანი კი სისხლის სამართლის მუხლით გაასამართლეს და 4-5 წლიანი სასჯელი დაუწესეს. ხელისუფლებას კრების მისამართით სერიოზული შიში და აგრესია ჰქონდა, სანაცვლოდ პროცესების შესასუსტებლად, მათ მთელი თავისი სახელისუფლებო ბერკეტი აამუშავეს.

„ნაცმოძრაობის“ წინააღმდეგობის მიუხედავად, „სახალხო კრება“ მუშაობის ყოველდღიურ რეჟიმზეა გადასული, მაგრამ ამ ეტაპზე სავსებით ლოგიკურად ვარჩიეთ დამკვირვებლის როლში ყოფნა, რადგან პარალელური აქტივობების წამოწყება მოცემული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, არამართლზომიერად მიგვაჩნია. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, ვგეგმავთ გარკვეული მოქმედებების დაწყებას და სწორი სტრატეგიის შემუშავებას.

**— ბატონო ირაკლი, „სახალხო კრების“ მიერ ერთგვარი პასიურობა როდემდე გაგრძელდება. თქვენი მხრიდან რა ტიპის აქტივობას უნდა ველოდოთ. შესაძლებელია, ხალხს კვლავ ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდოთ?**

— ჩვენი მხრიდან ამ ტიპის მუშაობა როდემდე გაგრძელდება, ამას თავად პოლიტიკური პროცესები დაგვანახებს. ქუჩის აქციებს რაც შეეხება, პოლიტიკური თვალსაზრისით, ქუჩის აქციები არასწორი ტერმინია და იგი პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანის მიერაა დამკვიდრებული.

**პოლიტიკაში არსებობს მასობრივი აქციების ცნება, რომელიც მუდმივად იარსებებს 21,-ე 23-ე საუკუნეშიც, ევროპაშიც და აზიაშიც. მასობრივი აქციები პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი მთავრი მეთოდია, მით უფრო ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, ამიტომ პოლიტიკოსი ვინც უარს ამბობს მასობრივ აქციებზე, ის უარს ამბობს თავად პოლიტიკაზეც. თუმცა პოლიტიკოსისთვის აქციები, მიტინგები, მანიფესტაციები თვითმიზანს არ უნდა წარმოადგენდეს.**

**— ბატონო ირაკლი, ბოლო დროს ოპოზიციის უმრავლესობა თანხმდება, რომ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს ხელისუფლება. როგორ ფიქრობთ, არსებული საარჩევნო გარემოს პირობებში რა შანსები აქვს ოპოზიციას?**

— არსებულ საარჩევნო პირობებში, არც ერთ ჭკუათმყოფელ და მოაზროვნე ადამიანს, არჩევნებს გზით ხელისუფლების შეცვლა შესაძლებლად არ მიაჩნია. ის ადამიანი კი, ვისაც ამის სჯერა, შეიძლება ითქვას, საკუთარი ილუზიების ტყვეობაში ცხოვრობს. დღევანდელი საარჩევნო ვითარებითა და ოპოზიციის აქტივობის დონით თუ ვიმსჯელებთ, ფაქტობრივად, ოპოზიციას არჩევნებზე გამარჯვების შანსი არ აქვს.

**ხელისუფლებამ არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე რეპრესიები უკვე დაიწყო. არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე უკვე დააკავეს „თავისუფალი დემოკრატების“ წევრები, წარმოგიდგენიათ, ხელისუფლება რას გააკეთებს არჩევნების ზღვარზე? ფაქტობრივად, ხელისუფლებამ თუ ასე გააგრძელა, ოპოზიცია კვლავ არათანაბარ პირობებში აღმოჩნდება და საბოლოოდ „ნაცმოძრაობა“ არჩევნებზე მისთვის სასურველ შედეგს მიიღებს. ამიტომ წინასაარჩევნოდ ოპოზიციას ასეთი ნელ-თბილი აქტივობა არ წაადგება.**

**— ბატონო ირაკლი, როგორც თქვენ ამბობთ, არსებულ პირობებში არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ აქვს. შესაბამისად, რისი იმედი აქვს ბიძინა ივანიშვილსა და მის ირგვლივ გაერთიანებულ ოპოზიციას?**

— ბიძინა ივანიშვილი გამოცდილი და ნიჭიერი ადამიანია, ვფიქრობ, ის კარგად შეაფასებს მოცემულ პოლიტიკურ მდგომარეობას.



**კოალიციაში შემავალ პარტიებს რაც შეეხება, ისინი შეიძლება საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრითაც დაკმაყოფილდნენ და მთავარ წარმატებად ეს მიიჩნიონ. მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილმა აშშ-ში ყოფნისას აღნიშნა, რომ 2012 წლის არჩევნები ყველაზე ლიბერალური იქნებოდა, ამიტომ სანაცვლოდ ხელისუფლება გარკვეულ ულუფას გადაუგდებს ოპოზიციას. შესაბამისად, ოპოზიციის ნაწილმა რაც არ უნდა იყვიროს — „ქდმ“, „ედპ“, „მემარჯვენეები“, „ევროპელი დემოკრატები“ ფსევდოოპოზიციური პარტიები არიან, აშშ-ის ეს გადამწყვეტი საკითხი არ იქნება, რადგან მთავარი-პარლამენტში ოპოზიციური სპექტრის მრავალფეროვნება იქნება. პარლამენტშიც ამ შემთხვევაშიც სრული კონტროლი კვლავაც „ნაცმოძრაობას“ ექნება. შესაძლოა, ხელისუფლებამ პარლამენტში მოხვედრილი სატელიტი პარტიების წარმომადგენლებს სხვადასხვა თანამდებობებიც შესთავაზოს და ამ ფორმით შეფუთონ მსოფლიო თანამეგობრობის თვალში, თუ როგორი თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნები ჩაატარეს.**

**— თუმცა ბიძინა ივანიშვილი აცხადებს, რომ უნდა გახდეს პარლამენტის თავმჯდომარე, ან პრემიერ-მინისტრი.**

— არსებულ პირობებში თვითგამარჯვებაზე ფიქრი წარმოუდგენლად მიმაჩნია. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიცია აირჩევს სწორ სტრატეგიასა და ტაქტიკას, შესაძლებელია სახელისუფლებო გუნდის დამარცხება.

**— ბატონო ირაკლი, თქვენ როგორ ფიქრობთ, რითაა განპირობებული ოპოზიციის პასიურობა?**

— მოცემულ სიტუაციაში პოლიტიკური პროცესების მთავარი ფლაგმანი ბიძინა ივანიშვილია, ამიტომ მან და კოალიციაში შემავალმა პარტიებმა უფრო მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინონ. მანამდე სანამ ოპოციზია საკუთარ ქვაბში „იხარშება“ ქვეყნის გარეთ მნიშვნელოვანი პროცესი ვითარდება, რამაც, შესაძლოა, სერიოზული ასახვა ჰპოვოს მთლიანად კავკასიის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზე.

**— ირან-ისრაელის კონფლიქტს გულისხმობთ?**

— ამ ორი ქვეყნის კონფლიქტი ბოლო დროს მწვავე ესკალაციას განიცდის, თუმცა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არის მუდმივი მცდელობა განმუხტონ სიტუაცია. მაგრამ პარალელურ რეჟიმში ირანი აგრძელებს ურანით გამდიდრების პროცესს. მდგომარეობა, შესაძლოა, პატარა შემთხვევამაც უკიდურესად დაძაბოს. კონფლიქტის გაღვივება დადებითად რომ არ აისახება საქართველოზე-ცალსახაა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოცემულ სიტუაციაში აქტიურადაა ჩართული რუსეთის ფედერაციაც. ამიტომ ასეთ არასტაბილურ ვიათარებაში ყველა დაინტერესებული უნდა ვიყოთ, რაც შეიძლება დროულად შევცვალოთ არსებული მანკიერი რეჟიმი და ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლების სათავეში რაციონალურად მოაზროვნე მთავრობა მოვიდეს. მიხეილ სააკაშვილი საკუთარი სკამისა და ძალაუფლების შესანარჩუნებლად ნებისმიერ ავანტიურაზე წავა, არ აინტერსებეს, ამით რა შეიძლება დაკარგოს ქვეყანამ, რა საფრთხე შეიძლება დაემუქროს ქართველ ხალხს, ამიტომ აუცილებელია ოპოზიციის კორდინირებულად მუშაობა. მით უფრო, როცა ბიძინა ივანიშვილის სახით პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ფიგურა გამოჩნდა.

**მირანდა ნაბახტეველი**

## კობა დავითაშვილი: პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეც ვმონაწილეობ



„ხალხის პარტიის“ ლიდერის კობა დავითაშვილის მტკიცებით, მიუხედავად კოალიცია “ქართული ოცნების” პოლიტიკურ საბჭოში ვერ მოხვედრისა, იგი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას მაინც მიიღებს.

როგორც მან დღეს სასტუმრო “რედისონ ბლუ ივერიაში” ჟურნალისტებს განუცხადა, იგი კოალიციაში იმ საქმით დაკავდება, რაც კარგად ესმის.

“ეს არის საზოგადოებასთან ურთიერთობა, პიარი და ვმუშაობ ამ მიმართულებით. თუმცა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მეც ვმონაწილეობ”, — აღნიშნა “ხალხის პარტიის” ლიდერმა.

როგრც ცნობილია, დავითაშვილი კოალიცია “ქართული ოცნების” პოლიტიკურ საბჭოში ვერ მოხვდა. საბჭოში კოალიციის ოთხი სუბიექტის თავმჯდომარეებთან ერთად დავით ბერძენიშვილი, ალექსი პეტრიაშვილი, ზვიად ძიძიგური და ნოდარ ხადური წევრიანდებიან. პოლიტიკური საბჭოს აღმასრულებელი მდივანი ექსპერტი ნოდარ ხადურია, ხოლო თავმჯდომარე — თავად ბიძინა ივანიშვილი.

ზემოხსენებულ კოალიციაში ბიძინა ივანიშვილის პარტია, თავისუფალი დემოკრატები, რესპუბლიკელები და “ეროვნული ფორუმი” ერთიანდებიან.

„მედიანიუსი“

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# rogor emzadeba xelisufleba arCevnebisTvis?

## რა იყნოსა ბენდუქიძემ, რომ საქართველოდან 400 მილიონი საბერძნეთში გაიტანა?

სანდო წყაროს ინფორმაციით, სააკაშვილს ველარაფერი უშველის, რადგან მას მარტო აშშ-მა კი არა მთლიანად დასავლეთმა აქცია ზურგი. მოგეხსენებათ, წელს მარტო აშშ-ში კი არა რამდენიმე ევროპულ ქვეყანაშიცაა საპრეზიდენტო არჩევნები. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო მუდმივად უჩიჩხინებს რუსეთს, ხოლო ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელობა ძალზე არასწორი ფორმებით ახდენს სააკაშვილის ხელისუფლების ლეგიტიმაციას, საბოლოოდ იმას ღებულობენ, რომ რუსეთი თავად მათ უქმნის პრობლემებს თუნდაც ენერგომატარებლებთან დაკავშირებით. დასავლეთისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტორიც, რომ ნაბუქოს პროექტი ჩავარდა, რაც იმიტომ მოხდა, რომ რუსეთმა დაბლოკა ერთის მხრივ „ცისფერი ნაკადით“, ხოლო მეორეს მხრივ, უკრაინაში პროამერიკული ხელისუფლების შეცვლით. საეჭვოა, ნაბუქოს პროექტი უახლოესი 20-30 წლის განმავლობაში განხორციელდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ევროპა ამ წლების განმავლობაში ისევ რუსეთის ენერგომატარებლებზე იქნება დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, ცხადია, ევროპის ქვეყნების მოსახლეობაში ის ლიდერები უფრო მეტი რეიტინგებით ისარგებლებენ, რომლებიც მათ ეტყვიან, რუსეთთან ურთიერთობები დავალაგოთ და ჩვენ გვჭირდება დემოკრატიული საქართველოო, ვიდრე ისინი, ვინც იტყვის, რუსეთი არ გვჭირდება და ამ ტირანული ქვეყნის, — საქართველოს ხელისუფლებას დავუჭერთ მხარსო. დასავლეთში ყველამ კარგად იცის, რა პოლიტიკური მდგომარეობაა საქართველოში, როგორ დევნიან განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს, როგორ იჭერენ ხალხს და კლავენ. მითუმეტეს, რომ პატიმრების რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე ვართ. მოსახლეობის ინტელექტუალური მასა, რომელიც ძალზე დიდია ევროპასა და აშშ-ში დიდ ყურადღებას აქცევს თავის საგარეო პოლიტიკას. სწორედ ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რის გამოც დასავლეთმა ზურგი აქცია საქართველოს ხელისუფლებას.

საქართველოში რომ დემოკრატია არ არის, ეს სამომავლოდაც შეიძლება ძალზე საშიში გახდეს. თუ აქ არჩევნების შემდეგაც იგივე ხელისუფლება დარჩა ეს ნიშნავს, რომ 2023 წლამდე ხელისუფლება აღარ შეიცვლება. აქედან გამომდინარე, საქართველოში შეიძლება იმაზე გაცილებით უფრო რადიკალური პროცესები განვითარდეს, ვიდრე 2007-2011 წლებში იყო, რაც საგრძნობლად შეარყევს დასავლური ღირებულებების სიმყარეს კავკასიაში. ეს ძალზე არ აწყობს ევროპასა და ამერიკას, რადგან საქართველოა მათი იდეოლოგიის დასაყრდენი და გამავრცელებელი. ამ ქვეყანაში მოსახლეობის რადიკალური გამოსვლები, თუნდაც იგივე პროცესების განვითარება, რაც ლონდონსა და საფრანგეთში ხდებოდა, ნიშნავს იმას, რომ დასავლეთი კარგავს პერსპექტივას საქართველო მათი გავლენის ქვეშ მყოფი სახელმწიფო იყოს. ასე რომ, ძალზე ბევრი ფაქტორია, რის გამოც სააკაშვილის ხელისუფლებას აღარ ენდობიან და ის უნდა წავიდეს.



სწორედ ამიტომაა, სააკაშვილი ტყავიდან რომ ძვრება ხალხის გულის მოსაგებად. სულ ახლახან რწმუნებულებს ხელფასები გაუზარდეს. მათ პრეზიდენტის 2012 წლის 30 იანვრის ბრძანებულებით მნიშვნელოვნად გაეზარდათ ხელფასები. მუნიციპალიტეტების რწმუნებულებს, რომელთაც 400-ლარიანი ხელფასი ჰქონდათ, გაუორმაგდათ, ხოლო სოფლის რწმუნებულებს 700 ლარი გაუხდათ. სააკაშვილის „გულმოწყალება“ ამით არ ამოწურულა, სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს ენერგოვაუჩერებსაც დაურიგებენ. საინტერესოა, იმ ხალხმა რა დააშავა, რომელთა ოჯახები, მართალია, სოციალურად დაუცველთა ბაზაში არ მოხვდნენ, მაგრამ ნამდვილად არ ულხინთ? ვასიკო ოდიშვილის არ იყოს, მართლაც, მეტი რა ჰქნას ჩვენმა პრეზიდენტად წოდებულმა სააკაშვილმა, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლადაც ხომ დაგვირიგა 30-ლარიანი ვაუჩერები. მერე რა, რომ ეს ფული ერთი ტომარა სასუქის ან 20 ლიტრი დიზელის საწვავის შესაძენადაც არ კმაროდა? ისიც საინტერესოა, ამ ვაუჩერებმა ყველა ადრესატამდე თუ მიაღწია. ალბათ, გეხსომებათ, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის მოტივით ასეთი „ჰუმანური“ აქცია ნაცებს რამდენიმე წლის წინაც ჰქონდათ. როგორც კარგად ინფორმირებულმა წყარომ „საერთო გაზეთს“ აცნობა, მაშინ ზოგიერთ რაიონში გამოყოფილი 20-20 ლიტრი საწვავი ყველა ოჯახს არ მიუღია, ზოგს თურმე წილში ჩასხდომიან ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ზოგისთვის კი საერთოდ არ მიუციათ. ადგილობრივმა ჩინოსნებმა მორჩენილი საწვავის ნაწილი თვითონ გამოიყენეს, ნაწილი კი გაყიდეს და სანამ ეს ფული ეყოთ, რესტორნებიდან არ გამოსულანო.



ალბათ, საარჩევნო მზადების კონტექსტში უნდა განვიხილოთ ის ფაქტიც, რომ ადგილობრივ მმართველობებში მნიშვნელოვნად გაუზრდიათ თანამშრომელთა რაოდენობა, ანუ ყველა საჯარო სამსახურში შტატები გვარიანად გაუბერავთ. 300-500-ლარიანი ხელფასები მშვენიერი სატყუარაა ნაციონალების მხარდასაჭერად. კიდევ ერთი პროგრამა, — დასაქმება ახალგაზრდებისთვის ზაფხულში, კერძოდ, 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე პერიოდში განხორციელდება. დასასაქმებლებს სოლიდურ ანაზღაურებას (500 ლარი) ჰპირდებიან. დედაქალაქში ამ პროგრამის ფარგლებში ლიმიტები ყოფილა გამოყოფილი, თითო რაიონზე და უმაღლეს სასწავლებელზე 40-50 ადგილი. მაგრამ, სავარაუდოდ დასაქმებულ ახალგაზრდებს „გადააგდებენ“, ყოველ შემთხვევაში მათ მთლიან თანხას არ მისცემენ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტში (კუდი) მისაღები ახალგაზრდების ლიმიტებიც უკვე გამოყოფილი ყოფილა. დედაქალაქის თითო რაიონიდან 4-5 ახალგაზრდა ნაციონალს დაასაქმებენ დათა ახალაიას უწყებაში.

სანდო წყაროს ინფორმაციით, სპორტული დარბაზებიდან უკვე დაიწყო ამ კონტინგენტის შეგროვება. მოგეხსენებათ, მოჭიდავეებისა და სხვა ძალოსნების სიმცირეს არ ვუჩივით, მაგრამ ისინი სპორტული ასპარეზისთვის ველარ იცლიან (სხვათა შორის, ბევრი კომპეტენტური ადამიანი აღნიშნავს, რომ ათენის ოლიმპიადის შემდეგ ქართველ მოჭიდავეებს თავი დიდად აღარ გამოუჩენიათ — მ.ს.), ნაცების ხელისუფლება ჰყავთ დასაცავი, აბა, ფულს ტყუილად ხომ არ გადაუხდიან? მსგავსი მობილიზაცია გასულ წელს, საპროტესტო აქციების დაწყებამდეც ყოფილა. იმ აბჯარასხმული, ნიღბიანი რობოტების უმეტესობა, რომლებმაც სასტიკად დაარბიეს რუსთაველის გამზირზე აქცია, ზუსტად ეს სხვადასხვა სპორტული დარბაზებიდან აყვანილი დაკუნთული ბიჭები იყვნენო. ისინი ძირითადად, რაიონებიდან ჩამოიყვანეს, რომლებსაც საერთოდ არაფერი აინტერესებდათ, რადგან ფული მისცეს, ვალები გაუსტუმრეს, ავტომანქანები უყიდეს და ამიტომ მზად იყვნენ ყველაფერი გაეკეთებინათ. ამ ყველაფრიდან კარგად ჩანს, რა მდგომარეობაშიცაა სააკაშვილი და მისი გუნდი. ეს სიტუაცია აუცილებლად გამოსაყენებელია, თუ ხალხი მოინდომებს და სწორ ნაბიჯებს გადადგამს, ყველაფერი კარგად იქნება, ანუ ერთხელ და სამუდამოდ გავისტუმრებთ სააკაშვილის რეჟიმს პოლიტიკურ მოუსავლეთში. სხვათა შორის, საპროტესტო აქციების დაწყებას თურმე ბევრი რიგითი ნაციონალიც სულმოუთქმელად ელოდება. ამ აქციების მხარდასაჭერად ისინიც აუცილებლად გამოვლენ, მათაც ხომ ისევე უჭირთ, როგორც დანარჩენ მოსახლეობასო.



კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ჩვენმა წყარომ მოგვაწოდა, მძიმეწონიან ნამინისტრალ კახა ბენდუქიძეს ეხება. იგი რომ ძალზე ოდიოზური ფიგურაა და მისი პოლიტიკური თუ მორალური მნიშვნელობა რომ ნულს უტოლდება, ყველას კარგად მოეხსენება, მათ შორის „ვარდოსნებსაც“. ამის გამო თუ იმის, რომ

**ბენდუქიძემ რაღაც მოყნოსა, თავისი კაპიტალის უდიდესი ნაწილი, სავარაუდოდ, 400 მილიონი დოლარი საბერძნეთში გაუტანია და იქ დაუბანდებია. „ეს, პრაქტიკულად, დაზუსტებული ინფორმაციაა. ვფიქრობ, მარტო ბენდუქიძე კი არა სხვებიც მოახერხებდნენ თავიანთი ქონების წაღებას. მას შემდეგ, რაც ბენდუქიძე აღარ იყო პოლიტიკური ფიგურა და ის, უბრალოდ, ბიზნესმენი გახდა, გარკვეულწილად მაინც ინარჩუნებდა და ახლაც ინარჩუნებს გავლენიან მდგომარეობას და საზოგადოებისთვის მეტნაკლებად საინტერესო სახეა.**

მთავრობიდან წასვლის შემდეგ მისი ბიზნესი და ფინანსები უფრო კარგად ჩანდა, ამიტომაც კარგად გამოჩნდა, რა წაიღო, მაგრამ რა ქონება გაიტანა იგივე გიგი უგულავამ, ამის დანახვა ძალზე ძნელია. ისე, მმის ერთ-ერთ ბოლო ქონებრივ დეკლარაციას თუ დავუჯერებთ, დედაქალაქის მერი ძალზე მოკრძალებული ქონების პატრონია, ანგარიშზე სულ 300 აშშ დოლარი ჰქონია. გულდასაწყვეტი ის არის, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები და მათთან დაახლოებული ბიზნესმენები მას შემდეგ, რაც გარკვეულ კაპიტალს დააგროვებენ, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ აქედან გარბიან და ეს კაპიტალიც გააქვთ. შევარდნაძის მმართველობის დროსაც ასე იყო და ახლაც იგივე მეორდება. ეს ყველაფერი კი ძალზე ცუდად მოქმედებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაზე. ერთის მხრივ, დღეს საქართველოში პოლიტიკურად ძალზე კარგი სცენარი ვითარდება, თუმცა ფინანსურად დიდი პრობლემები შეიქმნება. თუკი სააკაშვილის რეჟიმის მაღალჩინოსნები და კარის ბიზნესმენები მილიონობით და მილიარდობით თანხის ქვეყნიდან გატანას შეძლებენ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად კიდევ რამდენიმე წლით უკან დაიხევს“, — აცხადებს ჩვენი წყარო.

**მანანა სუხიშვილი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# Temur mirianaSvili:

# yvelaCemi `winaswarmetyveleba~ axda da esec axdeba _ ivaniSvili gaimarjvebs, amaSi eWvi ar mepareba

*გვესაუბრება*
***თემურ მირიანაშვილი***

**— ბატონო თემურ, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამ ქართულ პოლიტიკაში ზოგიერთს ძველი ეროვნული მოძრაობის პერიოდი გაახსენა. თუმცა, სამწუხაროდ, ეროვნულმა მოძრაობამ კრახი განიცადა.**

— 11 წელიწადი ზვიად გამსახურდიამ და მე ერთად ვიმუშავეთ ლიტერატურის ინსტიტუტში და შეიძლია ვილაპარაკო მის ხასიათზე, მაგრამ, მიმაჩნია, რომ ახლა არ არის ამაზე ლაპარაკის დრო, თუმცა უნდა გითხრათ, მე ვიყავი ერთ-ერთი იმ ადამიანთაგან, რომლებიც ზვიად გამსახურდიას მთავრობას კარგს არაფერს უწინასწარმეტყველებდა. შემდეგ ისევ მე ვპროგნოზირებდი შევარდნაძის ჩამოსვლას საქართველოში.

არავითარი განსაკუთრებული უნარი არ სჭირდებოდა ყოველივე ამის წინასწარ დანახვას, რადგან გარემოებები, რაც ჩვენს ირგვლივ ხდებოდა, გვაფიქრებინებდა იმას, რომ გამსახურდიას მთავრობა დიდხანს ვერ იარსებებდა და ქვეყნის ახალ მეთაურად ვინც შეიძლებოდა მოვლენილიყო, ესეც ცხადი გახლდათ.

იმ პერიოდში რუსების უსაზღვრო გინებას, ლანძღვასა და წყევლის ისტერია სუფევდა საქართველოში. „ახალგაზრდა ივერიელი" კი წერდა: რუსები თავიანთი შვილების ხორცს ჭამენო, შემაძრწუნა იმ სტატიამ. დავჯექი და დავწერე საპასუხო წერილი, რომელიც, ფაქტობრივად, პირველი პრორუსული სტატია იყო ქართულ სინამდვილეში.

მოკლედ, ეროვნულ მოძრაობას ხომ დამარცხება ვუწინასწარმეტყველე, შევარდნაძის დაბრუნების შესაძლებლობაზეც მე ავლაპარაკდი პირველად, ის კი არა, 1988 წელს ვთქვი, აფხაზეთსა და ცხინვალში ომი იქნება-მეთქი, **ახლა ვამბობ: ბიძინა ივანიშვილი გაიმარჯვებს**.

**— თქვენ წინასწარმეტყველი ყოფილხართ...**

— ეს ჩემი ინტუიციაა, თუ გინდათ, ანალიზი დაარქვით, სხვა მონაცემები არ მაქვს.

**— იქნება ძალიან დიდი სურვილი გალაპარაკებთ, და ამიტომაც გგონიათ ასე?**

— ამ ხელისუფლების წასვლის დიდი სურვილით ნამდვილად მაქვს, მაგრამ ასე არასდროს მითქვამს არც ებრალიძეზე, არც გიორგაძეზე, არც პატარკაციშვილზე. საქმე ისაა, რომ მე ყურადღებით მაქვს წაკითხული ბიძინა ივანიშვილზე ბევრი პუბლიკაცია, მისი განცხადებები, ინტერვიუები. 2005 წელს „ვედომოსტისათვის" მიცემული ინტერვიუ. ყოველივე ამაზე და არა მხოლოდ ამაზე დაყრდნობით ვაცხადებ, რომ ივანიშვილი გაიმარჯვებს, ამაში ეჭვი თითქმის არ მეპარება.

**— გასაგებია, რომ დასკვნებს პრესაზე დაყრდნობით აკეთებთ, მაგრამ თქვენ წელან ბრძანეთ, შევარდნაძე რომ საქართველოში დაბრუნდებოდა ზუსტად ვიცოდიო. იმ ხანებში, რამდენადაც მახსოვს, საქართველოში ანტიშევარდნაძისტული ისტერია სუფევდა, ხოლო ზვიად გამსახურდიას მომხრეთა რაოდენობა დაუჯერებელ პიკს აღწევდა.**

— ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური გამოცდილება საერთოდ არ ჰქონდა. ეს კიდევაც ეტყობოდა მის საქმიანობას, მაგრამ ძალიან აღიზიანებდა შენიშვნები. ამ დროს მოსკოვში იყო გამოცდილი პოლიტიკოსი — ედუარდ შევარდნაძე.

**— შევარდნაძე ის კაცია, შენიშვნები რომ უყვარს? ცოტა გულუბრყვილო განცხადებაა, ბატონო თემურ.**

— შევარდნაძეს არ ჰქონდა შენიშვნებზე ემოციური რეაქცია, ამიტომ ვერ მიხვდებოდი მას მოსწონდა და რა — არა. ეს არის პოლიტიკოსისთვის დადებითად დასახასიათებელი თვისება.

ახლა ყველა ვხედავთ, როცა სააკაშვილს უწოდებენ გიჟსა და არანორმალურს. ის არის ერთი მხრივ, აბსოლუტურად უგუნური პოლიტიკოსი და ამასთანავე ანტიპატრიოტი.

**ამ გიჟმა და არანორმალურმა ამდენი ხნის განმავლობაში შეინარჩუნა ძალაუფლება, მაგრამ დღეს გეუბნებით: დიდხანს ველარ შეინარჩუნებს. რა მაფიქრებინებს ამას? ის, რომ აშშ-ი, რომელიც მას პრეზიდენტის ტახტს უძლიერებდა, მკვეთრად შეიცვალა, ახლა იქ სხვა სიტუაციაა.**

აშშ-ში ეგონათ, რომ მთელ მსოფლიოში რასაც უნდოდათ, იმას იზამდნენ და ყველაფერი შერჩებოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა, ამერიკა მძიმე კრიზისშია. ეს კარგად იცის რუსეთმა და ჩინეთმა.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ სააკაშვილი რუსეთის კაცია". ეს არაა სიმართლე, რუსეთს არ აწყობს აქ სააკაშვილისნაირი პრეზიდენტი. მიშას, მოქმედებები არაპროგნოზირებადია და მუდმივად საფრთხის შემცველი, არ შეიძლება ეს მოსწონდეს რუსეთს. მათ აქ სტაბილური ქვეყანა უნდათ, ქვეყნის სათავეში კი ჭკვიანი კაცი, მაგალითად, ისეთი, როგორც არის ბიძინა ივანიშვილი. იგი არეულ-დარეულობას და ქაოსს არ შექმნის.

**— გასაგებია, მაგრამ მას ახლა არ აქვს შანსი, ის არაა საქართველოს მოქალაქე.**

— გასაგებია, მაგრამ

**მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჭკვიანი კაცია, არ არის ლაქლაქა და დარწმუნებული ვარ, იმის ნახევარსაც არ ამბობს, რაც იცის და რას გეგმავს. არ გამოვრიცხავ, რომ მას საერთაშორისო გარანტიებიც ჰქონდეს ამ ბრძოლაში.**

ზემოთ გითხარით, აშშ-ში მკვეთრად შეიცვალა პოლიტიკური ამინდი, ახლა სააკაშვილისთვის იქ აღარავის სცხელა, ასე ვთქვათ. ის კი არა შეიძლება, საერთოდ აიბარგოს აქედან ამერიკა.

**— ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი?**

— ნატო დაივიწყეთ. იგი ჩვენთვის არ არსებობს.

**— მოდით, კვლავ ივანიშვილს დავუბრუნდეთ. ზოგი ამბობს, რომ ის დიდი ხანი არ არის, რაც პოლიტიკაშია და ვერ იქნება გამოცდილიო, თქვენ კი საპირისპიროს აცხადებთ და ამტკიცებთ, ის ჭკვიანია, არაა ლაქლაქა, შესაძლოა, ბევრი რამ იცოდეს და არ ამბობდესო. ეს მართლაც არის პოლიტიკოსის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი.**

— ბიძინა ივანიშვილი უკვე არის ძალიან კარგი პოლიტიკოსი. დააკვირდით მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. მაგრამ რაც უნდა გააკეთოს ადამიანმა, ყველას ყველაფერს ვერ მოაწონებს თუმცა მის პოლიტიკურ სვლებს ეტყობა შინაგანი გათვლა, პოლიტიკური ლოგიკა, რაც სხვა პოლიტიკოსებში არასდროს შემიმჩნევია. სხვა სიტუაცია შექმნა ბიძინა ივანიშვილმა. სააკაშვილი ველარ შეძლებს ისე პარპაშს, როგორც ადრე იყო. ის ველარ მოახერხებს არჩევნების გაყალბებას. ჩემი ვარაუდით, ბატონ ბიძინას აქვს საერთაშორისო გარანტიები იმისა, რომ სააკაშვილი არჩევნების გაყალბებას ველარ გაბედავს.

**ერთი სიტყვით, ბატონი ბიძინა პიროვნულად ძალიან გაწონასწორებული, სერიოზული ადამიანი და პოლიტიკოსია.**

**— იცნობთ ივანიშვილს მის პიროვნულ თვისებებზე რომ ლაპარაკობსო?**

— პიროვნულად არც სტალინს იცნობდნენ და არც ჰიტლერს, მაგრამ მათ პიროვნულ თვისებებზე მთელი მსოფლიო ლაპარაკობს.

ბატონი ბიძინას პიროვნებაზე „ვედომოსტის" ინტერვიუ ნათელ შთაბეჭდილებას გვიქმნის. იქ იგი მთელ თავის ცხოვრებაზე ლაპარაკობს და აცხადებს: ცხოვრებაში პატიოსანი გზით ვიარეო. ამ ინტერვიუს შემდეგ 7 წელიწადი გავიდა, მაგრამ ვერავინ დაადგა პირზე, თუმცა თვითონ ხშირად მწვავედ ლაპარაკობს ბევრ გავლენიან პირზე. იგი მართალი რომ არ იყოს, არავინ შეარჩენდა ამ ლაპარაკს. ე.ი. ფაქტია, რომ ამ კაცს მართლაც პატიოსნად აქვს გავლილი ცხოვრების გზა.

**— ე.ი. საქართველოს პატრონი გამოსჩენია ბოლოს და ბოლოს.**

— მე ასე ვარ დარწმუნებული

**მართალია, ზოგიერთი ამბობს, რადიკალურობა აკლიაო, მაგრამ, მოქმედების ოპტიმალური ტემპი აქვს შერჩეული, მეტად ენერგიული მოქმედების პერიოდი არაა ახლა. ხომ ხედავთ, ხელისუფლება დეპრესიაში რომ არის?! ყოველნაირად ცდილობენ ბიძინას შავი პიარი აუგორონ. საქართველოს ტელევიზიაა მას ცდილობს უკვე დიდი ხანია, მაგრამ რა გამოუძებნეს? რუსული ფული და ა.შ. რომ გაიძახიან: მათ რომ აძლევდა, მაშინ არ იყო რუსული ფული? სისულელეა, ამაზე ლაპარაკი.**



# biZina ivaniSvili ukve aris Zalian kargi politikosi

**— ბატონო თემურ, ივანიშვილი ამბობს, რომ ამ ხელისუფლებას არჩევნებში დაამარცხებს და „გაუშვებს სახლში". ხალხს ამ კრიმინალური რეჟიმის დასჯა სურს.**

— ჯერ ერთი, რომც აპირებდეს ამათ დასჯას — არ იტყვის და მეორე, ჩვენ ქვეყნის აშენება გვინდა თუ გულის ფხანა? ილია ჭავჭავაძე გავიხსენოთ, „ფხანა ქეცმა იცის, ნუ გავიქეციანებთ გულს და ფხანაც აღარ იქნება საჭირო".

თქვენ იცით, მკვეთრად უარყოფითი განწყობა მაქვს სააკაშვილის მიმართ, მაგრამ ჩემთვის მთავარი არაა მისი დასჯა, ოღონდ საქართველოს თავი დაანებოს და სადაც უნდა იქ წავიდეს.

**ირანდა კალანდაძე**



სითამამე და ღირსება. თითოეული ჩვენთაგანი როგორც ამომრჩეველი, ასევე დამკვირვებელიცაა. დარღვევის ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში მას შეუძლია კომისიას მიმართოს.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თუ ვამბობთ, რომ არსებული ვითარებიდან გამომდინარე არჩევნები სამართლიანი, დემოკრატიული არ იქნება, მაშინ რისთვის მივდივართ ასეთ არჩევნებზე?**

ეტაპზე, ერთმნიშვნელოვნად ლიდერად ივანიშვილის კოალიცია განიხილება. ჩვენთან ჩატარებულ კვლევებს არ ვენდობი, თუმცა ვაკვირდები არა იმ პროცენტებს, რომელსაც ამა თუ იმ პოლიტიკოსს უწერენ, არამედ იმას, რომელიც გამოკითხვაში მონაწილეობას არ იღებს. ანუ,

**პრინციპულად ორ მონაცემს ვაკვირდები. ეს იმ გამოკითხულთა პროცენტია, რომელიც კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს და არჩევნებში ხმის მიცემას აპირებს. ეს ორი მონაცემი ხელისუფლების ცვლის საკმაოდ დიდ წინა-**

**თუმცა, გამოცდილ პოლიტიკოსებს პლუს პირადად ივანიშვილის მხარდაჭერის რეიტინგი, ძალიან საინტერესო და პერსპექტიულ კომბინაციას ქმნის.**

ერთი მხრივ, რეალური ძალა, რომელიც ივანიშვილმა პოლიტიკაში მოიტანა და მეორე მხრივ გამოცდილება, რაც „რესპუბლიკელებმა“, ალასანიამ და „ფორუმმა“ მოიტანეს, ძალიან სერიოზულ კომბინაციას ქმნის. საინტერესოა, რა ფორმით იქნება ეს ყველაფერი წარმოდგენილი. ვვარაუდობ, ივანიშვილი შეეცდება წარმოდგენილი პოლიტიკური სპექტრი დააბალანსოს.

# giorgi margvelaSvili:
# biZina ivaniSvilma kargad icis, rom mitingis mowyoba politikuri struqturebis gareSe, avanturistuli, rikoSetuli nabijia

*გვესაუბრება ფილოსოფოსი* ***გიორგი მარგველაშვილი:***

**— ბატონო გიორგი, ვენის კომისიამ ჩვენს საარჩევნო კანონში 90-მდე შენიშვნა შეიტანა, რომლის უმეტესობა გათვალისწინებული არ არის. არსებულ საარჩევნო გარემოს ფონზე რამდენად იქნება ეს არჩევნები სამართლიანი და რამდენად მზადაა ოპოზიცია ხელისუფლებასთან დასაპირისპირებლად?**

— ხელისუფლება, როგორც ყოველთვის საარჩევნო კოდექსს საკუთარ თავზე ირგებს. პრობლემა შემდეგშია — ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებას, გარკვეულწილად ადმინისტრაციული რესურსი გააჩნია. ჩვენთან ეს ადმინისტრაციული რესურსი დაშვებულ დემოკრატიულ პრინციპებს სცილდება — ხელისუფლება ამომრჩეველზე მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად ცდილობს არა უბრალოდ გამოიყენოს თანამდებობა, არამედ საარჩევნო კანონმდებლობა თავის სასარგებლოდ შეცვალოს. ამ შემთხვევაში, ხელისუფლების ხელში, რეალური ბერკეტია პარლამენტი, რომელიც ისეთ კანონებს იღებს, რითაც ერთი მხრივ, ოპოზიციას მაქსიმალურად ერთმევა ის შესაძლებლობები და უნარები, პლუსები, რაც მას საარჩევნო პროცესში გააჩნია. პარლამენტის მიერ დეკემბრის ბოლოს მიღებული კანონმდებლობა საშუალებას გვაძლევს არსებული პოლიტიკური ვითარება შევაფასოთ. რა გააკეთა ხელისუფლებამ? — იგი შეეცადა პოლიტიკური თამაშიდან გამოეყვანა ფული და ე.წ. „ოფინიან-მეიქერები“ - ფიგურები, რომლებიც პოლიტიკაზე საუბრობენ. ანუ, მივიღეთ კანონები, რომლებიც საარჩევნო კამპანიის პროცესში ფულის მოძრაობას და პოლიტიკური აზრის გამოთქმას კრძალავს. აქედან ნათელია, რომ ოპოზიციის პრიორიტეტებია: ბიძინა ივანიშვილის რესურსიდან გამომდინარე, ფული და ე.წ. „ოფინიან-მეიქერების“, ანუ არასამთავრობო სექტორის მხარდაჭერა. ხელისუფლება საკანონმდებლო ცვლილებებით ორივე რესურსის პოლიტიკიდან ამოგდებას შეეცადა. პარალელურად აღმოჩნდა, რომ გუბერნატორებს, ანუ იმ ადმინისტრაციულ რესურსს, რომლითაც საარჩევნო კამპანია რეალურად უნდა ხორციელდებოდეს, ბევრად უფრო მეტი უფლება მიეცათ. კანონმდებლობაში ცვლილებები განხორციელდა არა თამაშის წესების დასადგენად, არამედ იმისთვის, რომ დადგენილიყო თამაშის ის ფორმა, რომელშიც ხელისუფლება უფრო ძლიერია. ასეთია, დღევანდელი ვითარება. თუმცა ყველაფერი ამაზე როდია დამოკიდებული, საბოლოოდ, ყველაფერი მაინც ხალხის ნებაზეა დამოკიდებული. ჩვენი ისტორიის ამ ეტაპზე ხალხის ნება ყველაზე მეტად თავისუფალია გარე ზეგავლენისგან. ვფიქრობ, არსებობს იმედი, რომ 2012 წლის არჩევნებში ხალხის ნება განხორციელდება.

**— თუმცა, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანმა არჩევნებმა“ დადო დასკვნა, რომლის მიხედვითაც, თითქმის შეუძლებელია არსებულ საარჩევნო გარემოში ოპოზიციამ ხელისუფლებას მოუგოს. ვგულისხმობ, ყალბ მოწმობებს, მკვდარი სულების, საზღვარგარეთ წასული მოქალაქეების ხმების გაყალბებას. ამ ფონზე ხალხის ნების აღსრულება როგორ გესახებათ?**

— ყოველ მსგავს ხრიკზე ადეკვატური პასუხი არსებობს. როცა ხალხის ნების განხორციელებაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ არა მხოლოდ არჩევნებზე მისვლას, არამედ სამოქალაქო აქტივობასაც. საბჭოთა კავშირი დაინგრა მიუხედავად იმისა, რომ იქ ბევრად უფრო ძლიერი სისტემა იყო. ასეთი ტიპის პროცესებს საარჩევნო დამკვირვებლები აკონტროლებენ. თუ ეს მექანიზმიც მოიშალა, მაშინ არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს, აბსურდი იქნება. თუ გვეყოლება საარჩევნო დამკვირვებლების კვალიფიციური, დიდი არმია და ამას ხალხის აქტივობაც დაემატება, მაშინ არჩევნების, ამ ფორმით გაყალბების რეალურ შესაძლებლობას ვერ ვხედავ. თუ დამკვირვებლების თვალწინ მოხდება გაყალბება, მაშინ ეს იქნება არა არჩევნები, არამედ სულ სხვა პროცესი.

**— ერთ-ერთმა ექსპერტმა ჩემთან საუბრისას აღნიშნა, — დადასტურებულია, რომ ყველა საარჩევნო უბანზე დამკვირვებელს ვერ დააყენებენ, არ არსებობს დამკვირვებლების ის რაოდენობა, რომელიც ყველა უბანს ეყოფაო. ამ ლოგიკით, გამოდის, რომ არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს?**

— ლაპარაკია 4 ათას უბანზე, ეს გარკვეული ოდენობის ადამიანებზე რომ გადავამრავლოთ, მივხვდებით, რომ ამდენი ადამიანი საქართველოს ნამდვილად ჰყავს. დამკვირვებელი ბიო-ქიმიის პროფესორი ხომ არ არის, 10 წლის მომზადება რომ სჭირდებოდეს? დამკვირვებლისთვის საკმარისია რამდენიმე საათიანი ტრენინგი, სამოქალაქო

— როგორც მოგახსენეთ, ხელისუფლება მაქსიმალურად შეეცადა ოპოზიციის ძლიერი მხარეები კანონით შეესუსტებინა, აეკრძალა, რის შედეგადაც აკრძალა ფული, აზრის გამოხატვა, პოლიტიკური აქტივობა. მან თავისი ადმინისტრაციული რესურსი გააააქტიურა. ეს თამაშის დასაწყისია. თქვენ მეუბნებით — ვერ მოიგებ თამაშს, რომელშიც ვიღაცას ფორა მიეციო. მე ასე არ ვფიქრობ. თუ ძლიერი გუნდი ხარ, რაც არ უნდა ფორა მისცე, თამაში თამაშია და მოგების უნარი გაქვს.

**ქუჩა, ისევე როგორც არჩევნები, გაფიცვა, შიმშილობა, მანიფესტაცია, აჯანყება — ყველა დემოკრატიული საზოგადოების თვითგამოხატვის ფორმაა, რომელიც კონტექსტიდან გამომდინარე უნდა შევაფასოთ. კონკრეტულ ვითარებაში ყველა პოლიტიკოსი კონკრეტულ გადაწყვეტილებას იღებს. პოლიტიკა არ არის არც მხატვრობა, მეცნიერება ან კარატე რომ ამა თუ იმ სკოლის მიმდევარი იყო, არამედ კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე აყალიბებ, თუ რა არის საჭირო კონკრეტულ ვითარებაში.**

ნებისმიერი პოლიტიკოსი, რომელიც ხისტად, რადიკალურად ამბობს უარს დემონსტრაციაზე, არჩევნებზე, საკანონმდებლო ბრძოლაზე, უაზროდ, უმიზნოდ იზღუდავს საკუთარ თავს. ამიტომ, როცა ქუჩას ვახსენებთ, ეს პროცესი კონკრეტულ მომენტს უნდა მივუსადაგოთ. ისე, როგორც არ შეიძლება თქვა წითელი ფერი კარგია თუ ცუდი, გააჩნია კონტექსტს.

**— როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს ბიძინა ივანიშვილის კოალიციას არჩევნებში გასამარჯვებლად. გარეთ დარჩენილი ოპოზიცია, შესაძლოა მესამე ძალად ჩამოყალიბდეს. გამოდის, რომ ოპოზიცია ხელისუფლების კი არა ერთმანეთისთვის ხმების წასართმევად იბრძოლებს?**

— დიახ, მესამე ძალა არის ის ძალა, რომელიც იქმნება იმისთვის, რათა არჩევნებში ხმების გარკვეული რაოდენობა აიღოს. ბუნებრივია, ყველა პოლიტიკური ძალა ერთმანეთს ხმებს უყოფს. მაგრამ ამ

**პირობას ქმნის იმიტომ, რომ რეალურად ადამიანების დიდი ნაწილი, რომელიც კვლევის პასუხების გაცემაზე უარს ამბობენ, შეშინებულები და შესაბამისად ანტისახელისუფლებო აზრის მატარებელნი არიან (სწორედ ამიტომაც არ აფიქსირებენ აზრს).**

ეს ერთი და მეორეც — როდესაც ადამიანების მაღალი პროცენტი არჩევნებზე წასვლას ადასტურებს, ე.ი. ისინი მზად არიან თავიანთი პოლიტიკური პოზიციის გამოსახატად. ამ ორი პარამეტრიდან გამომდინარე, მჯერა იმის, რომ საარჩევნო უბნებთან ოპოზიციური ამომრჩეველი უნდა დადგეს.

**— რაც შეეხება კოალიციას, ბიძინა ივანიშვილმა „ასავალ-დასავალში“ მიცემულ ინტერვიუში თავის ფავორიტ პარტიებს („რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“) არაპოპულარული და ურეიტინგო უწოდა. მალევე კოალიციას ახალი წევრები, მათ შორის „ფორუმი“ შეუერთდა. როგორ ფიქრობთ, რას ნიშნავდა ეს, ვისზე დებს ბატონი ბიძინა ფსონს?**

— ეს ძნელი სათქმელია. თუ ეს პარტიები ურეიტინგო არიან, მაშინ რატომ გამოარჩია თავიდანვე ეს ორი პარტია ბატონმა ბიძინამ პოლიტიკური სპექტრიდან? რეალურად, ივანიშვილის ირგვლივ შეკრული კოალიცია გამოცდილი პოლიტიკოსებისგან შედგება, რომელთაც სამწუხაროდ, რეიტინგი აღარ ჰქონდათ გამომდინარე იქედან, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრება მკვდარი იყო.

**2011 წლის მაისის შემდეგ, ფაქტობრივად დასრულდა დემოკრატიული პოლიტიკური ცხოვრება.**

**— ბატონო გიორგი, არჩევნებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ მწვავე საკითხს დავუბრუნდეთ. სააკაშვილმა წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყო, ამ მარათონმა ძნელი წარმოსადგენია, რომ ოქტომბრამდე შეინარჩუნოს ეს მუხტი. როგორ ფიქრობთ, სააკაშვილი გაზაფხულზე ხომ არ აპირებს არჩევნების დანიშვნას?**

— რთულია ამ კითხვაზე პასუხი, თუმცა მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ არჩევნები შემოდგომაზე გაიმართება. საარჩევნო კამპანია დაიწყო არა სახელისუფლებო გუნდმა, არამედ სააკაშვილმა პირადად. მან პოლიტიკური აქტივობა დაიწყო, რაც აუცილებელი არ არის მაინცდამაინც საარჩევნო კამპანიით აიხსნას. სააკაშვილს ივანიშვილის გამოჩენის მერე რეალურად



სჭირდება თავისი გუნდის კონსოლიდაცია. იმიტომ, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენა და ის მოუმზადებლობა, როგორც იდეოლოგიური, ისე ქმედებების თვალსაზრისით, რითაც ხელისუფლება ამ პოლიტიკურ მოვლენას შეხვდა, ერთმნიშვნელოვნად მოითხოვდა ხელისუფლების შესუსტებული და შერყეული რიგების განმტკიცებას. ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლებმა კარგად უწყიან, თუ რა მნიშვნელოვანია ივანიშვილის გამოჩენა და რამდენად სერიოზული ფიგურაა იგი. შესაბამისად, ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლით, ამ სისტემას სერიოზული დარტყმა მიადგა. თავდაპირველად, სააკაშვილი ნახევრად კრიმინალური ფორმით მოქმედებდა — ივანიშვილს ჩამოართვა მოქალაქეობა, თავდასხმა განხორციელდა „ქართუ“ ბანკზე.

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე

ახლა, სააკაშვილმა პოლიტიკური ქმედებები დაიწყო. ეს ძალიან კარგია, რომ სააკაშვილი ისევ პოლიტიკოსი გახდა. მაგრამ, ჩემი აზრით, პოლიტიკოსი გახდა არა იმისთვის, რომ ხალხის მხარდაჭერა მოიპოვოს, არამედ იმისთვის, რომ თავისი რიგები განამტკიცოს.

**— ერთი შეხედვით, ჩანს, რომ სააკაშვილი რაღაცას მაინც აკეთებს — ხსნის საავადმყოფოებს, აგებს ხიდებს, გზებს და ა.შ. რაც შეიძლება სახელმწიფოებრივი მშენებლობისთვის მეორე ხარისხოვანია, თუმცა ხალხი ამას ყურადღებას აქცევს. მეორე მხრივ, კი ივანიშვილის გუნდის მხარეს დუმილია და ჯერჯერობით არაფერი კეთდება, რაც ხალხში გაღიზიანებას იწვევს. ამას ხელისუფლება, ალბათ სათავისოდ გამოიყენებს.**

— ბუნებრივია, გამოიყენებს. მოწინააღმდეგე მხარე ყოველთვის ცდილობს მეორე მხარის სუსტი წერტილების აღმოჩენას და გამოყენებას. თუ ეს სუსტი წერტილი აქტიურ ქმედებებში არ გადაიზრდება, ბუნებრივია, ხელისუფლება ამას გამოიყენებს. საქმე ის გახლავთ, რომ პოლიტიკური კალენდარი არჩევნებისკენაა მიმართული. ამ ფონზე, ივანიშვილის სიმშვიდე ერთი მხრივ, შეიძლება მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს აღიზიანებს, მაგრამ მეორე მხრივ, ზოგისთვის ძალიან იმედის მომცემია. ხელისუფლების შიგნით, ეს გაღიზიანებას იწვევს იმიტომ, რომ ჯერჯერობით ასეთი სიმშვიდით ქართულ პოლიტიკაში არავის უმოქმედია. სხვა შემთხვევაში, სააკაშვილს დეკემბერ-იანვრის აქტივობებს ოპოზიციონერები აუცილებლად ანალოგიური აქტიური ქმედებებით უპასუხებდნენ. როცა ივანიშვილი მშვიდად ადევნებს ამ პროცესებს თვალ-ყურს და ასე ვთქვათ, თავის საშინაო დავალებას ასრულებს, რაც პარტიული და კოალიციური სტრუქტურების მშენებლობას გულისხმობს, ეს ერთი მხრივ, საზოგადოების გარკვეულ ნაწილს აღიზიანებს, თუმცა მეორე ნაწილისთვის ეს ძალიან საინტერესო, ახალი პოლიტიკური გზავნილია, რომელშიც გეგმა, მისი განხორციელების ეტაპები და მთლიანი პროცესის ხედვა ჩანს. ასე, რომ ეს მაშინ შეფასდება, როცა არჩევნები გამოცხადდება. თუ არჩევნები მაისში გამოცხადდა, მაშინ ივანიშვილის პასიურობის ფაქტორი შეიძლება მისთვის მაინცდამაინც კარგი არ იყოს. თუმცა, არჩევნების მაისში ჩატარების შემთხვევაშიც რჩება დრო გააქტიურებისთვის.

**— ივანიშვილის პარტიის პრეზენტაცია აპრილის შუა რიცხვებში იგეგმება. მაისში არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში რა პერსპექტივა ექნება აპრილში შექმნილ პარტიას?**

— არჩევნებზე გავა კოალიცია, მის 90 პროცენტს ქართველი ერი კარგად იცნობს დაწყებული ივანიშვილით, იმ პოლიტიკოსებით დამთავრებული, რომლებიც წლების მანძილზე ოპოზიციაში იყვნენ. ეს არის ძალა, რომელიც არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება ივანიშვილის მიერ შესასრულებელ საშინაო დავალებას — პარტიული სტრუქტურების გაძლიერებას, საარჩევნო კოალიციის გაკეთებას, ახლო მომავალში ვნახავთ, თუ როგორ გაართმევს იგი თავს დაკისრებულ მოვალეობას. ჯერჯერობით, ჩვენ — საზოგადოება „ვზივართ“ იმ კალენდარში, რომელიც ივანიშვილმა გამოგვიცხადა — სისტემის მშენებლობისთვის მომზადება და მისი რეალურ ცხოვრებაში „გაყვანა“.

**— ვფიქრობ, საშინაო დავალების შესრულებისთვის ცოტა დრო რჩება გამომდინარე იქედან, რომ მუსირებს აზრი სააკაშვილის გადადგომასთან და მისი პარლამენტის თავმჯდომარედ მოვლინებასთან დაკავშირებით. რამდენად შეცვლის ეს არსებულ პოლიტიკურ რეალობას?**

— აბსოლუტურად არ მაქვს წარმოდგენა. სააკაშვილი ჩემთვის იმდენად უცხო ადამიანია, რომ მის რაციონალურ აზროვნებას, სურვილებს, ინტუიციის დონეზეც კი ძნელი წარმოსადგენია ჩასწვდე, თუ რა შეიძლება უნდოდეს მას. ცხადია, რომ პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების კუთხით სერიოზული პრობლემებია, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარედან.

**— თუმცა, სააკაშვილმა თავად განაცხადა, რომ პუტინის გზით არ წავა, ამიტომაც შეიძლება რომ ძალაუფლება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტით შეინარჩუნოს. გარდა ამისა, არ გამორიცხავენ მისგან კონფლიქტის პროვოცირებასაც.**

— ერთი რამ ვიცი — როგორც მოქალაქე, ჩემს ხმას არ დავთმობ. სააკაშვილი დათმობს თუ არა პოსტს, სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია თითოეულმა ქართველმა დაიცვას საკუთარი ხმა.

**— ივანიშვილის გუნდისგან ხშირად გვესმის — ქვეყნის სწორი შენება უნდა დავიწყოთო. რა არის ის, რითაც ამ გუნდმა სახელმწიფოს შენება უნდა დაიწყოს?**

— პირველ რიგში, ეროვნული სახელმწიფოს შენება ამ ქვეყნის ხალხის ნება-სურვილის შესაბამისად უნდა მოხდეს. ეს არის თანამედროვე ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის საფუძველი. თანამედროვე სახელმწიფოები იმ სქემებით და იმ სურვილებით შენდება, რაც ამ ქვეყნის მოსახლეობას გააჩნია. ივანიშვილის კოალიციის წევრებს („რესპუბლიკელები“ და „თავისუფალი დემოკრატები“) სერიოზული გამოცდილება აქვთ საკანონმდებლო და იურიდიულ საკითხებში. რაც შეეხება, ბიზნესსა და ეკონომიკას, ამ კუთხით ივანიშვილზე წარმატებული ფიგურა თანამედროვე ქართულ რეალობაში ცოტა მოიძებნება. ასევე, სახელმწიფოებრივ პროცესებთან და ეროვნულ იდეოლოგიასთან მიმართებაში სერიოზული სიტყვა აქვს სათქმელი „ფორუმს“. ასე, რომ



**კოალიცია ცალ-ცალკე კომპონენტებად აღებული ქმნის იმის ინტელექტუალურ წინა პირობას, რათა ყველა მიმართულებით საკმაოდ სერიოზული ხედვა გააჩნდეს, მაგრამ ერთია თეორიული ცოდნა და მეორეა პრაქტიკაში განხორციელება. სწორედ იმაშია ჩვენი ცხოვრების მშვენიერება, რომ ყოველთვის არ ხარ დარწმუნებული იმაში, რაც მოგელის, არამედ იმედით ცხოვრობ.**

ყველა ქართველი უნდა იყოს ჩართული პოლიტიკურ პროცესებში და ჰქონდეს უფლება საკუთარი აზრი და შეხედულება დააფიქსიროს და ცოდნა და უნარები საკუთარ თავს, ოჯახს, ქვეყანას მოახმაროს. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში პრობლემა სწორედ ისაა, რომ რეალურად, ეტაპობრივად სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ამოვარდა პოლიტიკური პროცესებიდან. ხშირად მინისტრებიც კი ამოვარდნილნი არიან პოლიტიკური პროცესიდან. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა, ამის გამოსწორებაა ჩემთვის მნიშვნელოვანი. ასევე არის ათასი ადამიანური ტრაგედია, რომელიც არსად არ ჩანს, მუდმივი დაძაბულობა და ხვალინდელი დღის მუდმივი ექსპერიმენტის შიში, რაც უნდა მოიხსნას.

**— ეს შიში როგორ უნდა დავძლიოთ, სახლში ჯდომით? საზოგადოება უკმაყოფილოა იმით, რომ პოლიტიკოსები სახლში ჯდომას ურჩევენ და თავად ჰპირდებიან დემოკრატიის შენებას. პროტესტი მარტო რევოლუციას ხომ არ ნიშნავს, განა არ შეიძლება ხალხმა საკუთარი ნება მშვიდობიანი ფორმით დააფიქსიროს?**

— როდესაც მოწინააღმდეგეს რინგიდან აგდებ იმიტომ, რომ ის შენზე ძლიერია, ეს შეიძლება მსაჯებთან „ჩააწყო“ და ფორმალურად კანონიერი სახე მისცე, მაგრამ არსობრივად უკანონო, უსამართლო იქნება. ეს უსამართლობა გამოიხატა იმ ქმედებებში, რაც ივანიშვილის მიმართ განხორციელდა. ამაზე პროტესტი დაფიქსირდა ხელმოწერების სახით და ბანკში ანაბრების გახსნით. რაც შეეხება კითხვას, ეს უნდა გამოხატულიყო თუ არა ქუჩის პროტესტით? — პირადად მე სიამოვნებით გავიდოდი იმ მიტინგზე, რომელიც გაიმართებოდა ამ უსამართლობის დასაფიქსირებლად, მაგრამ

**მე ვხედავ სერიოზულ არგუმენტს, თუ რატომ ამბობს ივანიშვილი ამ პროცესებზე უარს — იგი არის ადამიანი, რომელიც მარტო მოვიდა პოლიტიკაში**

და თქვა — მჭირდება დრო იმისთვის, რომ პოლიტიკური სტრუქტურები შევქმნაო.

**ბიძინა ივანიშვილმა კარგად იცის, რომ მიტინგის მოწყობა პოლიტიკური სტრუქტურების გარეშე, ავანტურისტული, რიკოშეტული ნაბიჯია.**

ამიტომ, ნოემბერ-დეკემბერში ივანიშვილის მხრიდან ძალიან რისკიანი ნაბიჯი იქნებოდა მარტო გასულიყო ქუჩაში და რეალურად არ ჰქონოდა ის მექანიზმები, რითაც მიტინგი იმართება. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი — რეალურად, საქართველოს მოსახლეობა იბრძვის არა ივანიშვილის დასაქმებისთვის, არამედ თავისი უფლებებისთვის. ამ უფლებებს ისინი იცავდნენ გუშინაც, იცავენ დღესაც და დაიცავენ ხვალაც. თუ არჩევნები გაყალბდება, საზოგადოება ყველა მიღებული ფორმით იბრძოლებს.

**— ბოლოს მინდა გკითხოთ საზოგადოების როლზე პოლიტიკურ პროცესებში. როგორც ამბობენ, ამინდს ჯანსაღი საზოგადოება განსაზღვრავს. რამდენად მზადაა დღეს ჩვენი საზოგადოება არსებული ამინდის შესაცვლელად?**

— შემიძლია ვისაუბრო იმაზე, რაც ისტორიული ფაქტების სახით გვაქვს. ქართული საზოგადოება, ბოლო 20-წლიანი პოლიტიკური ცხოვრების არცერთ ეტაპზე ხელისუფლების უზურპაციაზე თანახმა არ იყო და მუდმივად თავისი უფლებებისთვის იბრძოდა. რამდენად იყო მზად პოლიტიკური სპექტრი, ელიტა, რათა ამ ბრძოლისთვის ადეკვატური ფორმა მიეცა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ

**საზოგადოება ყოველთვის მზად იყო ის ძირითადი ღირებულებები დაეცვა, რაც ფაქტობრივად თანამედროვე ცივილიზაციას ქმნის — ეს არის მოქალაქის უფლება იყოს თავისუფალი და აშენოს თავისუფალი ქვეყანა.**

ამ ვითარებაში, ჩვენ არა მარტო საკუთარ თავს, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობასაც დავანახეთ მუდმივი მზადყოფნა. ხალხი დღესაც აფიქსირებს, რომ მზად არის დემოკრატიისა და თანამედროვე ცივილიზებული სახელმწიფოს ასაშენებლად.

**თამარ შველიძე**

---

# xa l xis az r iT

იქ სადაც უზნეობა ჩვეულებრივ ამბავად ითვლება და შემთხვევით აღზევებულ ვიგინდარებს მათი აღზევებული მდგომარეობის გამო მეზობელ-სანათესაო თუ უბრალო გამვლელები ხელებს უკოცნიან, იქ ნურავის გაუკვირდება რაიმე...

8 წლის უზნეო და უსუსური მთავრობისგან რას უნდა ელოდეთ მეტს, მაგიდაზე რომ არ ახტა და ფეხები არ აბაკუნა, არ გიკვირთ? მადლობა თქვენ, ბატონო ირაკლი, რომ ასეთი ღირსეული იყავით მართლა "უსინდისოდ" მატყუარას წინაშე ეს ერთი და რაც მთავარია, მეორე მიტევების დღეა და შეუნდოს ბარამიძეს ცოდვები უფალმა, რაც მან, კერძოდ თუნდაც ერთი გვარის ადამიანებს მოუტანა და სრულიად საქართველოს იმ პირებს, რომელთაც ამიერიდან პოლიტიკაში მოუნდებათ წასვლა, წინასწარი კონსულტაციის გავლა მოუწევთ სექსოპათოლოგთან.

სავალდებულო იქნება მცირე კითხვარის შევსებაც, რომელსაც შესაბამისი სამედიცინო კომისია გადაამოწმებს.

პოლიტიკოსებმა შემდეგი საბუთები უნდა წარმოადგინონ:

1. ცოლის\ ქმრის ფიზიოანატომიური კომენტარი\ დახასიათება; 2. ლიბიდო – CV; 3. ყოფილ\ ამჟამინდელ სექსუალურ პარტნიორთა ე. წ. შავი სია; 4. დედის დახასიათება; 5. სატელეფონო მესიჯთა უკანასკნელი ექვსი თვის ამონაწერი;

6. ნოტარიუსის მიერ დამოწმებული ექიმის ცნობა, რომ გარდატეხის ასაკიდან ოფიციალურად ხართ ან არ ხართ გამოსული (ასაკს მნიშვნელობა არა აქვს).

ანონიმურობა დაცული არ იქნება!

პოლიტიკოსებს სულ 10 შეკითხვისთვის მოუწევთ პასუხის გაცემა:

1. რა ასაკიდან (და რატომ) დაიწყეთ სექსუალური ცხოვრება?

2. გქონდათ თუ არა მუდმივი დაუკმაყოფილებლობის განცდა ყმაწვილკაცობაში? (იხ. სექსუალური რევანშის სურვილი ზრდასრულობაში)

3. საშუალოდ რამდენჯერ გინდებათ სექსი მავანთან (ხუთ წელიწადში ერთხელ, კვარტალურად, სეზონურად, ბუნიობისას, სავსემთვარობისას, პოსტსამარხვო პერიოდებში, უქმეებზე, წლისთავებზე, ყოველდღე, დილა-საღამოს, საათობრივად თუ ყოველწამიერად)?

4. აქვს თუ არა თქვენთვის მნიშვნელობა პოლიტიკური პარტნიორის სქესს, ასაკს, გარეგნობასა და ტანწყობას?

5. არის თუ არა ვინმე, ვინც ნოტარიალურად დაადასტურებს თქვენს მონოგამიურობას?

6. რა ასაკში შეწყვიტეთ (თუკი შეწყვიტეთ) ონანირება? ჩანართი: სიხარულით ონანირებთ თუ მელანქოლიურად? ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

7. ისარგებლებთ თუ არა ოფიციალური მივლინების დროს მსუბუქ. ყოფ. ქალ.\ ჟიგოლოს შეწევნა-დახმარებით? გახარჯავთ თუ არა მათზე თქვენი სამივლინებო ხარჯის ნაწილს? თუ კი, მაქსიმუმ, რამდენს?

8. გიმკურნალიათ თუ არა ვენერიული დაავადებების გამო? თუ კი, სად (აკრძალული ქვეყნები: რუსეთი, ნაურუ, ნიკარაგუა, ვენესუელა)?

9. რა მუსიკას ეტრფით? მოგწონთ თუ არა ესტრადა?

10. შეძლებთ თუ არა ხუთი წელი (ორი ვადის შემთხვევაში, ათი წელი) რევ-მართალივით ასკეტურ ცხოვრებას? თუ არა - ახსენით, რატომ; თუ კი - როგორ.



# `palmis rtoo~, mixeil is rtoo, ras gviSvrebi, unamuso droo?

მოგეხსენებათ, სააკაშვილმა თავისი პოლიტიკური პიარი სწორედ “ხალხოსნობის როლის შესრულებით”, მეტროებსა და ბაზრობებზე სირბილით დაიწყო. რამდენადაც დღესაც ძირითადად, “ხალხოსნობითა” და სოფელ-სოფელ წანწალითაა დაკავებული, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის ნებსით თუ უნებლიედ, თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ფინიშისკენ მიდის, რადგან რითიც “გამარჯვებას იწყებ”, “ჩაფლავების დროსაც”, ავტომატურად,



ძველ მეთოდებს მიმართავ. ისიც გეხსომებათ, “ხალხოსნური მოძრაობის დასაწყისში” ისევ და ისევ პიარისთვის “თავის მშობლიურ” ცხრუკვეთს — “ბებულეთს” რომ სტუმრობდა და ისიც, კეთილი სახის ჩია ტანის მოხუცი ოსიკო რომ გაგვაცნო— ეს ჩემი ბიძიაცაა და ბაბუაცო. მართალია თავად აიბნა ბატონი ოსიკო — ბიძად ეკუთვნოდა, თუ ბაბუად. ყოველ შემთხვევაში, “ბიძია-ბაბუა” ოსიკოს საზოგადოებისთვის გაცნობით, სააკაშვილმა მოხუც თაობასა და “წინაპარზე მზრუნველი შთამომავლის როლი” კარგად გაითამაშა. მას შემდეგ სააკაშვილმა სხვისი ბებია-ბაბუები, საქართველოს მხცოვანი ასაკის მეცნიერები და პროფესორები “ჩარეცხა”, “საქართველოს ყველა უნივერსიტეტის მთავარი პროფესორის” სტატუსი მხოლოდ საყვარელ დედას მიანიჭა და საპენსიო ასაკში მუშაობის უფლებაც მხოლოდ თავის საყვარელ ბებია მზიას დაუტოვა. ძნელი დასაჯერებელია, ამ “მოუცლელ და საქმიან” კაცს ეს კეთილი სახის “ბიძია-ბაბუა” ოსიკო ერთხელ მაინც გახსენებია. თუმცა, როგორც უბადლო პიარისტმა (და ამას ვერ დაუკარგავ), ცხრუკვეთი, მიშასთან კავშირში ხალხის მეხსიერებაში მაინც ჩაიბეჭდა.

როგორც იქნა, ამერიკის შეერთებულ შტატებში სააკაშვილის მოპატიჟებისა და ძვირად დაფინანსებული პიარ-კომპანიების დამსახურებით, ობამასთან შემდგარი შეხვედრა საყოველთაო განსჯა-გარჩევის საგანი გახდა. თუმცა მე, როგორც გალაკტიონის გენიის თაყვანისმცემელს, ამაზე ჩემი ასოციაცია გამიჩნდა. კერძოდ: “ცხრუკვეთიდან ვოშინგტონში მიმავალო ქარო, თუ თებერვლის ვოშინგტონმა გკითხოს ვინა ხარო? —უპასუხე, რომ ჭირი ხარ, არ კი უთხრა ვისი, ამას თავად მიგიხვდება ბარაკ —მონა ღვთისი”, „ვოშინგტონი ქალაქია, მიშას დამაშვენებელი, ცხრუკვეთი კი მხარე არის “მიშა გადამშენებელის”. იმედია, ამ ხუმრობას ცხრუკვეთელები საწყენად არ მიიღებდენ. რა მათი ბრალია, ამ ულამაზეს მხარეს სანათესაოში ერთი ასეთი უვარგისი თუ გამოერია?! ქართველებსაც რითმის შეგრძნება ღვთისგან დაგვყვა და ამ გაუბედურებულ ყოფაში ხუმრობის თავი თუ კიდევ შეგვრჩა, იმის ნიშანია, რომ სააკაშვილმა მისთვის დავალებული ჯერ კიდევ ვერ შეასრულა და ვერ გადაგვაჯიშა.

ორი დღის წინ გავრცელდა ხმები, რომ დუბაიში ხელოვნურად, პალმის ფორმით აშენებულ მიწაზე, პალმის ერთი რტო (მიწის ნაკვეთი) სააკაშვილს შეუძენია. სად მიდის ჩვენი ფულებიო ხალხი რომ კითხულობს, სად მიდის და აგერ, ბატონო... საქართველოს გაღლეტით: გადასახადებით, დენზე მიბმული ნაგვით, ახლა სააბონენტოდან და მობილური კავშირების ნომრებიდან 20-20 თეთრის ჩამოჭრით ნაშოვნი თანხები, დენის, გაზის წყლის გადასახადის გაზრდილი ტარიფით ნაშოვნი მილიონები, დუბაის ბანკებში აქვს გადაზიდული და იქ საცხოვრებელად მიწებსაც ყიდულობს. ასე, რომ „ცხუკვეთიდან მონაბერი ქარი” ახლა დუბაისკენ გაიქროლებს და „ჩვენი ჩამოქროლებელ-ჩამომქროლებულიც” მას გაჰყვება. ამ ინფორმაციის წყარო იმასაც ადასტურებს, რომ დუბაიში ლამის კვირაში ორჯერ ფრენიდან, თითო რეისი სააკაშვილს 40 000 ევრო უჯდება. „რტოების” მიმართ თავისი განსაკუთრებული დამოკიდებულება პოეზიის სიყვარული და „დიდი ერუდიცია” კი სააკაშვილმა დიდი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის გარდაცვალების გამო წარმოთქმულ სიტყვაში დააფიქსირა. განაცხადა რა, რომ „ბავშვობიდან ძალიან მოსწონდა ანა კალანდაძის ლექსი “ატმის რტოო, დაღალულო რტოო”. ატმის ვერა, მაგრამ “პალმის რტო” სააკაშვილს გაუნაღდებია და ალბათ კაკალაშვილიც “პალმის რტოო, დაღალულო რტოოოს” დაუწერს “დიდ მთავარსარდალს”. “პალმებისადმი” სააკაშვილის სიყვარულზე კი, დუბაიდან ბათუმში ჩამოტანილი 200 000 პალმითა და მეჩეთების აღმშენებლობით უნდა მივმხვდარიყავით. აბა მართლმადიდებლური ტაძრების მშენებლობის, ბზისა და ჯვარის მაგას ისევე ეშინია, როგორც „შეპყრობილს“ნაკურთხი წყლის. თანაც „სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილის შეიხობის“ როლიც ხომ დიდი ხანია მორგებული აქვს მასაც და მის ოჯახსაც. ამ „პალმის რტოზე” გადაბარგებულ „მხედართმთავარს” კი „ლეღვისფოთლებამფარებელი თანაგუნდელები” ბლომად ეყოლება. ეს იმ შემთხვევაში, თუ სააკაშვილი „თავის პალმის რტოზე” ადგილს მათაც გამოუნახავს. მით უფრო, გილაურის გადამკიდე, „ფოთლებითა და რტოებით მისალმება” ნაციონალებმა კარგად შეისწავლეს. გეი-აღლუმების ჩასატარებლად ხელისშემშლელიც აღარავინ ეყოლებათ და „სექსუალურ ნეტარებასაც მიეცემიან”. განსაკუთრებით ახლა, როდესაც რუსეთის პარლამენტში ჰომოსექსუალიზმისა და პედოფილიის პროპაგანდის საწინააღმდეგო კანონის მიღებას აპირებენ. სააკაშვილმა კი “ოკუპანტის საწინააღმდეგო” პოლიტიკა “პალმის რტოზეც” ხომ უნდა გაატაროს. მიშას კუთვნილ “პალმის რტოზე” კი



თანაგუნდელები უნდა დაკბენენ, უნდა დაჩქმეტენ ერთმანეთს. ან სულაც ბოკასას მსაგავსად, ერთმანეთს გემრიელადაც “მიათოხლავებენ”. ერთია, გადასახადების ამოღებაში შეთანხმებას როგორ მიაღწევენ და “მტრის ხატის როლს “ამ პალმის რტოზე” ვინ შესარულებს? მართლაც ჭკვიანური გადაწყვეტილება მიუღია “ჩვენს მხედართმთავარს”, რადგან “პალმის რტოს” ნაცვლად, საქართველოში, დარჩენის შემთხვევაში, მთელი მისი გუნდიანად, ხალხის გამწარებისა და გაუბედურების გამო, აქ “სოლზე გასმის” კანდიდატები გახდებიან. იქ კი პალმებზე მაინც იძრომიალებს და ბანანებსაც შეჭამს.

უცნობია ისიც, საცხოვრებლად “რამდენი ცოლი” გაჰყვება ამ “პალმის რტოზე” “მთავარსარდალს”. აი, თურმე რისთვის სჭირდებოდა ამ უბედურ დღეზე გაჩენილს მრავალცოლიანობის კანონის პარლამენტში გატანა — არაბულ სამყაროსთვის ”თქვენიანი ვარო” რომ დაემტკიცებინა. ან იმ “მორბენალი ტრიბუნით” როგორ ირბენს და ყვითელ ავტობუსებში ვის ჩასვამს იქ? რაც არ უნდა იყოს, დუბაი მუსულმანური ქვეყანაა და ასე „ვილაცების” ხუშტურზე, იქ არავინ დარბის. არც იმ გარყვნილებას მიესალმებიან იქ, რაც აქ გასდის და კოკაინის ხმარებაც თურმე დიდად არ მოსწონთ. ტაშის დაკვრას, ქებადიდებასა და ორგიების მოწყობას მიჩვეულისთვის, ამის გადაჩვევა ძნელი იქნება. საწყალი დუბაელები, ამან იქ „თავისი დემოკრატიის” დამყარება, შადრევნებისა და სათხილამურო ტრასების გახნა რომ მოინდომოს? ალბათ, „პალმის რტოზე”, რომელიმე პალმის ძირში ერთ ტრიბუნასაც დაიდგამს და „ჰაიდ-პარკსაც” მოიწყობს. ჰო, ჰო, ჰო, რას დაახოლებს იქაურებს: როგორ „ააშენა საქართველო”, დაამარცხა კორუფცია და რუსეთის ჯარი, „მდგრადად ააყვავა ეკონომიკა” და ბიზნესი. როგორ იცავდა ადამიანის უფლებებს? ერთი ორი ტელევიზიაც — “იმედისა” და “რუსთავის” სახით აუცილებლად უნდა გაიყოლოს. “პალმის რტოს ადგილობრივი ტელევიზიით” საკუთარ გამოსვლებითაც ხომ უნდა დატკბეს ყოვლდღიურად. ადგილობრივი ზოოპარკის მოწყობასაც თუ მოიდომებს, პირველ რიგში, ბედნუქიძეს და შემდეგ ბევრსაც სიამოვნებით გავატანთ. ჩვენ კი, დროდადრო, ახლა უკვე “პალმის ტროს მიწაზე” ტურიზმის ასაყვავებლად, ექსკურიებზე ჩავუყვანოთ ხოლმე ტურისტები. მაგრამ იქაც თუ აურია და “პალმის რტოს ბედუინობა”, სხვისი ფულების ხარჯვა, უკიდეგანო გართობა და აღვირახსნილობა მოინდომა, ასეთ მუსულმანურ ქვეყნებში სხვისი ქონების დაუკითხავად აღებაზე ხელის მოჭრა სცოდნიათ! თანაც იმ ხელის, რომელსაც არ იცი რა მოუხერხო. ან ცხვირზე ისვამ მოსაწმენდად, ან ისეთ ბრძანებებს აწერ ხელს, რომელსაც ადამიანებისთვის დიდი ზიანის მოტანა შეუძლია. დუბაიშიც, პირველ რიგში დუბაის მოქალაქეს სცემენ პატივს. კაფეში ჯერ თავისიანს ემსახურებიან და ამის შემდეგ სხვას. მე კი სულ მაინტერესებდა, რატომ ეწოდებოდა აღმოსავლეთს “ბნელი და ფუნდამენტალისტური” და დასავლეთთან მიმართებაში ეპიტეტად, “ველური” რატომ გამოიყენებოდა? ალბათ, იმიტომ, რომ მეცნიერება, ფაიფურისა და ქაღალდის წარმოება, მედიცინა და ცივილიზაციის მიღწევის ბევრი სხვა რამ, თავად მაცხოვარიც კი, ბიბლიაში აღმოსავლეთთან ასოცირდება!

იმის მიხედვითაც თუ ვიმჯელებთ, რომ სააკაშვილის დედას ახლა უკვე ბათუმში უყიდია უნივერსიტეტისთვის შენობა, თავის საყვარელ პირმშოსთან ერთად, “პალმის რტოზე” ცხოვრებას ქალბატონი გიული სრულებითაც არ ფიქრობს. ქალბატონი მზია თუ არ მიატოვებს და გაჰყვება თავის გამოზრდილ პირმშოს, თორემ ოჯახის სხვა წევრებს, ალბათ, უკვე ისე ჰყავთ მობეზრებული, რომ „პალმის რტოზე” კი არა აისბერგზეც გაუშვებენ საცხოვრებლად. დიდი ალბათობაა იმისაც, რომ ქართველი ხალხის ხარჯზე გამდიდრებული „რულოვსების ოჯახის ქალმაც” არ ისურვოს ამ „პალმის რტოზე” ცხოვრება. ასე რომ ეს ჩვენი „ნეტარებაში გარეკილი” „მთავარსარდალი” თუ „მომღერალ პარასკევას” არ წაიყვანს თან, შესაძლოა, დეფოს „რობინზონ კრუზოსავით” მარტოსული აღმოჩნდეს ამ თავის „პალმის რტოზე”. იქ კი, რომელი რელიგიის მიმდევრობასაც მოისურვებს, იმის მიმდევარი გახდება. თუმცა, სატანიტური მიმდინარეობა, ქართველი ხალხის მსხვერპლშეწირვით — უკვე აქაც არჩეული აქვს.

ეჰ, ჩემო მიხეილ, „აღმაშენებლობის” რა შანსი გაუშვი ხელიდან, მაგრამ როცა „ადამიანი” შენს თავს არ ეკუთვნი, „უცხო ქვეყნის მამონას” მიჰყიდი სულს და ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს წინააღმდეგ წახვალ — მეტის ღირსიცა ხარ. ამ ხელოვნურად აშენებულ “პალმის კუნძულს” კი გლობალური დათბობის ტენდენციებით, ერთ მშვენიერ დღესაც წყალი თუ თან ჩაიტანს, რას გაიხარებენ დუბაის ზვიგენები? ასეთი მოსუქებული და ნაპატიები დიქტატორის ხორციც, ალბათ დიდი ხანია არ მიურთმევიათ? ასე რომ, “პირველად საქართველოს და ალბათ, ემირატების ისტორიაშიც”, “დუბაის ერთ-ერთი რტოს” შეიხობისთვის მართლმადიდებლური საქართველოს გვარგადაკეთებული პრეზიდენტყოფილი ემზადება. იქ კი უნდა “სინგაპურს მოიწყობს” (რაც, ფაქტიურად “ბაბილონის გოდოლია”), უნდა იხოხებს, იფორთხებს და უნდა სულაც დუბაის უდაბნოს მიწას წაიყრის თავზე. მე კი, მთელი სერიოზულობით ვუთანაგრძობ და ვიზიარებ იმ “დუბაელი მილიონერების უბედურებას”, ვისაც სააკაშვილის მსგავსად ამ “პალმის რტოში” მშვიდი ცხოვრებისთვის მილიონები აქვთ ჩაყრილი. იმ განსახვავებით, რომ ამ შეიხებს, საკუთარი ხალხისთვის ეს მილიონები არ წაურთმევიათ. პირიქით, დუბაიში, ყოველ ახლადდაბადებულ მკვირდ მოქალაქეს ანგარიშზე, ავტომატურად, სოლიდური თანხა ერიცხება. რა “მშვიდ ცხოვრებასაც” მოუწყობს სააკაშვილი, ეს კი კიდევ ჩვენზე კარგად ვინ იცის?!

**ბაია ამაშუკელი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# maina kiai

## anu ratom uCmaxeben `Savi kacebi~ mixeil saakaSvils?

საქართველოში ერთკვირიანი ვიზიტით იმყოფებოდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი მაინა კიაი, მაგრამ ისე წავიდა, სიტყვა არ დაუსველებიათ ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათზე მიბმულ მედიას. მიზეზი მარტივია, ფაქტია, სააკაშვილს, მისივე ლექსიკით რომ ვთქვათ, „გაუჩმახეს შავმა კაცებმა“.

გასაგებია, სწორედ ამიტომ აღმოჩნდა, რომ ჩვენი თანამემამულეების დიდ უმრავლესობას წარმოდგენა არ აქვს, რომ ვინმე მაინა კიაი ჩამოსულა და უკვე წასულა კიდეც, არათუ, რა მისიით იყო ჩამოსული და რა „გაუჩმახა“ სააკაშვილის ხელისუფლებას.



მაინა კიაი შეხვდა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისე, ოპოზიციისას, უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებს და პროფკავშირების წარმომადგენლებს, მოუსმინა, შეაჯამა და წარმოადგინა დასკვნა, რომელიც ვრცელი ანგარიშის სახით ივნისში წარედგინება გაეროს ადამიანთა უფლებათა დაცვის საბჭოს.

მაინა კიაიმ იმდენი „გააჩმახა“, რომ ისიც კი დაუკარგეს, ხელისუფლება რომ შეაქო გარკვეული კუთხით წარმატებებისთვის. ფაქტია, მაშინ, როდესაც იგი გაეროში წარსადგენი ანგარიშის მონახაზს ღიად წარადგენდა „ქორდიარდ მარიოტში“, საქართველოს პრეზიდენტი ახალციხე-ახალქალაქი-ნინოწმინდის გზებზე აწყობდა გადარბენებს, ზოგან სამთოსათხილამურო სკოლას ხსნიდა, ზოგან — საჯარო სკოლას, ზოგან პოლიციის სამმართველოს ახალ შენობას. შესაბამისად, პრეზიდენტზე „შეყვარებული“ ყველა ტელე-არხიც ამ სიუჟეტებს უშვებდა, — ტყუპისცალებად ასოცირდებოდნენ. უიტნი ჰიუსტონის გარდაცვალების მიზეზიდან დაწყებული „ლილო მოლის“ განვითარებით დამთავრებული, ყველა არხმა ყველა მეორეხარისხოვანი ინფორმაცია გაუშვა, რასაც წითელ ზოლად გასდევდა თემა — „პრეზიდენტის ერთი სამუშაო დღე“, მაგრამ მკვდარი დუმილი გაეროს მოვლინებულ მაღალი რანგის პირზე. გარდა ამისა, პრეზიდენტმა უმრავლესობას ჩააბარა ანგარიში და არც აშშ-ში ვიზიტის მოყოლა დააყვედრა იმავე უმრავლესობას, რომელთაგან, უმრავლესობა თან ახლდა...

„შეშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ საქართველოში უდანაშაულობის პრეზუმფცია აშკარად არ არსებობს, ძირითადად, მნიშვნელობა ენიჭება პოლიციისგან მიღებულ ჩვენებებს“, — ბრძანა ბატონმა კიაიმ და საკმაო ყურადღება გაამახვილა 2011 წლის 26 მაისის აქციის დარბევაზე.

რა თქმა უნდა, ხელისუფლების არცერთი წარმომადგენელი არ იზიარებს და არც გაიზიარებს კიაის მოსაზრებებს; არც იმ მოხსენებას გამოამზეურებენ ოფიციალურად, რომელიც გადმოეგზავნება საქართველოს მთავრობას ივნისში; კვლავ გაიმეორებენ, რომ გაეროში არ ესმით, თორემ ისეთ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული განვითარება საწყის ეტაპზეა, შესაძლოა, ძალის პროპორციულად გამოყენება ვერ მოხერხდეს; შეთხზავენ ვირტუალურ მაგალითებს მსოფლიო ისტორიაში, სწორედ ამგვარად ხდებოდა დემოკრატიის დამკვიდრება; გაახსენდებათ, 2011 წლის 26 მაისის აქციის დაბევის შემდეგ გაურკვეველ ადგილსა და ვითარებაში, მაგრამ ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი გარდაცვლილი პოლიციელი, მაგრამ დაავიწყდებათ კონკრეტულად იმ დღეს, მათ მიერ დარბეული აქციის დროს გარდაცვლილები, დასახიჩრებულები, ნაწამები და დღემდე ციხეებში გამომწყვედეულები, — ეს დაინახა და გაიგო კიაიმ, ეს და სხვა ბევრი რამ...

**მაინა კიაი:** — საქართველომ ბევრ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ამ ეტაპზე იგი იმყოფება კრიტიკულ ზღვარზე, როცა მას შეუძლია შემდგომი ნაბიჯები გადადგას პროგრესის ზღვარზე, ან ადამიანთა უფლებების კუთხით უკან დასწიოს ქვეყანა. ერთადერთი გზა, რომლის მეშვეობითაც საქართველოს შეუძლია წინსვლა აყვავებისკენ, კეთილდღეობისა და უსაფრთხოებისკენ, ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა გახლავთ, თუმცა, უკანასკნელ პერიოდში მიღებული საკანონმდებლო აქტები, ასევე ქმედებები ხელისუფლების მხრიდან, როგორც ჩანს, საფრთხეს უქმნის ამ გზას.“



კიაიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კარგა ხანია არსებობს გარკვეული უკმაყოფილება რეგიონალურ ორგანიზაციებსა და გაეროში იმის შესახებ, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ზღვარის გავლება მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის, რაც განსაკუთრებით აქტუალურია მოახლოებული საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების კონტექსტში.

კიაიმ ხაზი გაუსვა იმასაც, რომ საჯარო და კერძო სექტორშიც, მოქალაქეებს სამსახურიდან ათავისუფლებენ ოპოზიციური განწყობის გამო.

კიაიმ დაჟინებით მოითხოვა საქართველოს მთავრობისგან ისეთი ბალანსი მონახოს, რომ ერთის მხრივ მოიზიდოს ინვესტიციები, მეორეს მხრივ კი, დაიცვას საქართველოს მოქალაქეების უფლებები, რომელიც პროფკავშირების შექმნას გულისხმობს.

კიაი შეეხო კანონში არსებულ პრობლემურ დებულებებს და ჩაურთო, რომ „ვარდების რევოლუციის“ დროს არ ყოფილა დაცული შენობის მისასვლელებთან 20 მეტრიანი დისტანციის მოთხოვნის ნორმა, რომ მოხდა მთელი რიგი ორგანიზაციების, საწარმოებისა და დაწესებულებების ფუნქციონირების შეწყვეტა, მაგისტრალების გადაკეტვა და ა. შ.

კიაიმ აღნიშნა, რომ ალბათ, სამართლიანი იქნებოდა პროტესტის დაუშვებლობა პოლიციის შენობის შიგნით, რადგან იქ ინახება იარაღი, მაგრამ პროკურატურის, პარლამენტის და ა. შ შენობების წინ მანიფესტაციის გამართვაში არაფერია დასაძრახი ან არასწორი, ეს საერთაშორისო სამართლითაა დაშვებული და არც საქართველოში უნდა წარმოადგენდეს პრობლემას. იგი შიშობს, რომ ხელისუფლების მიერ შემოღებული შეზღუდვები განპირობებულია იმით, რომ ხელი შეეშალოთ მოქალაქეებს მშვიდობიანი გზით პროტესტის გამოხატვაში. კიაიმ ერთი „უმნიშვნელო“ სიტყვაც თქვა, „გადაბრალება“, — „საქართველოს უშიშროების კუთხით არსებული პრობლემების გათვალისწინებითაც კი საგარეო მტრულ ძალაზე გამუდმებული გადაბრალებითაც ვერ აიხსნება ის ფაქტი, რომ საქართველოს მოქალაქეებს, შესაძლოა, მართლაც ჰქონდეთ კონკრეტული საჩივარი და რეალური უკმაყოფილება, რომლის გამოხატვა, მათ ამ ფორმით სურთ. უფრო მეტიც, მე შეშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ 15-წუთიანი გაფრთხილების წესი შეკრების ძალისმიერი დაშლის შემთხვევაში, მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთაშორისო სტანდარტებისგან, რადგან, დროის ასეთი მოკლე პერიოდი, შეიძლება, სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შეუსაბამო ძალადობის საფუძველი გახდეს.“

რაც შეეხება 2011 წლის 26 მაისს, ბატონმა კიაიმ დაასკვნა, რომ უნდა დაიწყოს დამოუკიდებელი და გამჭვირვალე გამოძიება ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით. მას აქვს დასაბუთება, რაც უჩენს ეჭვს, რომ ხელისუფლების მიზანი იყო არა აქციის დაშლა, არამედ, აქციის მონაწილეების დასჯა და საზოგადოებაში შიშის დანერგვა. მისი შემდეგი ხაზგასმა ისევ მშვიდობიან შეკრებებს უკავშირდება, 90 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობასა და სასჯელის განზრახ გამოყენებას შესაბამისი პროცედურული დამცველი მექანიზმების გარეშე, რომელიც უკავშირდება მიმდინარე გეგმებს, — კოდექსში შეტანილი იყოს ადმინისტრაციული დაკავების 12 საათიდან 24 საათამდე გაზრდა. კიაიმ ბრძანა, რომ აღნიშნული ფორმის ასეთი სიხშირით გამოყენება, განსაკუთრებით პროტესტის მონაწილეების მიმართ, აღმაშფოთებელია, რომ ეს უმნიშვნელო „დანაშაულებაა“ და ეჭვმიტანილებს მხოლოდ გამოცხადების ვალდებულება უნდა დაეკისროს.

ჩვენ ვიცით, რომ 2011 წლის 26 მაისის აქციის შემდეგ, „შეკრებისა და მანიფესტაციების კანონში“ შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით, პოლიციას შეუძლია დაშალოს სპონტანური აქცია, თუ ის გზის სავალ ნაწილს გადაკეტავს. საქართველოს ხელისუფლება ირწმუნება, რომ ეს „დემოკრატიულია“, ბატონი კიაი კი ბრძანებს, რომ საერთაშორისო კანონის მიხედვით, სპონტანური აქცია არ არის უსამართლო და ის ჯდება საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და ებადება კითხვა, თუ აქციაზე 20 ათასი კაცი გამოვიდა, ყველა როგორ დაეტევა ტროტუარზეო? — თვითონვე გასცა პასუხი, საუკეთესო გამოსავალია, აქცია დაშვებული იქნას გზის სავალ ნაწილზეცო.

აი, ასე „გააჩმახა“ ბატონმა კიაიმ და ისე გაემგზავრა საქართველოდან, არათუ მისი საუბრის თუნდაც მცირე მონაკვეთი, („იუ-თუ-ბიზედა“ დარჩა „სამახსოვროდ“ თვითმფრინავის კუდზეც არ მოგვაკვრევინეს ტელევიზიებმა თვალი...

**მაია ჭელიძე**

### ირაკლი ალასანია: „მეამაყება, რომ ასეთ პარტნიორებთან ერთად ნაციონალური მოძრაობისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლას ვაგრძელებთ“




თავისუფალი დემოკრატების ლიდერის, ირაკლი ალასანიას განცხადებით, ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნების“ ნათელ მაგალითს თვითონ წარმოადგენს.

როგორც ალასანიამ დღეს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივარიაში“ პოლიტიკური კოალიციის სადამფუძნებლო პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ივანიშვილი არის ადამიანი, რომელიც ქვეყნიდან ძალიან ადრეულ ასაკში წავიდა. ერთადერთი სიმდიდრე რაც მას გააჩნდა, შრომისმოყვარეობა და ნიჭი იყო. დღეს კი ივანიშვილი მსოფლიოს წარმატებულ ბიზნესმენთა მოწინავე რიგებშია.

„ასეთი ოცნების ახდენა სამართლიანი გარემოს არსებობის შემთხვევაში ყველა ქართველ შეუძლია. მე მგონია, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა არის, რომ საქართველოს თითოეულ მოქალაქეს ამის საშუალება მივცეთ. მეამაყება, რომ ასეთ პარტნიორებთან ერთად ნაციონალური მოძრაობისა და მიხეილ სააკაშვილის ერთპიროვნული მმართველობისაგან საქართველოს გათავისუფლებისათვის ბრძოლას ვაგრძელებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ მიზანს სწრაფად მივაღწევთ“, — განაცხადა ალასანიამ.

* * *

თავისუფალი დემოკრატების ლიდერ ირაკლი ალასანიას განცხადებით, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ძლიერი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა იქნება.

როგორც ალასანიამ დღეს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ზემოხსენებული კოალიციის პრეზენტაციისას სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ბიზნესის ყველა წარმომადგენელი სამართლიან, კონკურენტულ გარემოში უნდა საქმიანობდეს.

„ჩვენ დავანგრევთ ქართულ ეკონომიკაში ჩამოყალიბებულ მონოპოლიებს, რომელსაც სააკაშვილი უახლოესი გარემოცვის მეშვეობით მართავს. მთავარი ამოცანა იქნება ძლიერი ანტიმონოპოლიური სამსახურის შექმნა. ეს გახდება იმის საფუძველი, რომ ჩვენს ქვეყანაში გაჩნდეს სამუშაო ადგილები. ხელმისაწვდომი გახდეს ჯანდაცვა. ასევე იყოს ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლება“, — განაცხადა ალასანიამ.

**„მედიანიუსი“**

# benzinis mafias mTlianad xelisufleba akontrolebs

***დღეს, როდესაც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა პიკს მიაღწია, საქართველოში ბენზინის ფასის მომატება უფრო გააძლიერეს მისმა მესვეურებმა ისე, რომ ხალხის ბედი სულ არ ანაღვლებთ. საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრებით პარტია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრს ბატონ ლევან იზორიას***



**— ბატონო ლევან, თქვენ ჩაატარეთ პრეზენტაცია, სადაც ხელისუფლება დაადანაშაულეთ ელიტური კორუფციის შექმნაში, რაში მდგომარეობს ეს ყოველივე?**

— ჩვენ ჩავატარეთ პრეზენტაცია და ხელისუფლება დავადანაშაულეთ იმაში, რომ მათ შექმნეს ქვეყანაში ელიტური კორუფცია, რომლის თვალსაჩინო მაგალითი გახლავთ ნავთობის ბიზნესში არსებული სიტუაცია. ეს გამოიხატება იმაში, რომ თუ ადრე ჩვენს ქვეყანაში იყო ასამდე ნავთობის იმპორტიორი, დღეს არის მხოლოდ ხუთი, რომელთაც უკავიათ მონოპოლიური მდგომარეობა ბაზარზე და ერთმანეთში აქვთ დადებული კარტერული შეთანხმება, რაც იმას გულისხმობს, რომ ფასები იყოს წინასწარ განსაზღვრული და ასევე გაკონტროლდეს, ვის, რა რაოდენობის ნავთობი შემოაქვს, ანუ ელიტური ჯგუფი აკონტროლებს ამ ბაზარს. უფრო დავაკონკრეტებ.

რას ნიშნავს ბაზარზე ფასების მომატება ან შეთანხმება. ამის საუკეთესო მაგალითია ის, რომ 13 თებერვალს საწვავის ფასი ყველა ბენზინგასამართ სადგურზე ერთდროულად აიწია? სად არის აქ კონკურენცია? თითქმის ყველა კომპანიამ მოუმატა 5 თეთრით, ხოლო „გალფმა“ — 3 თეთრით. ეს ბადებს კითხვებს, ნუთუ ამ კომპანიებს არ ჰქონდათ მარაგი? ჩანს, რომ ისინი წინასწარ შეთანხმდენ, დღეც დათქვეს და ერთდროულად მოუმატეს ფასები! — ამას ჰქვია, კარტერული შეთანხმება —რაც დანაშაულია! მეორე დანაშაული კი გახლავთ ის, რომ ბოლო თვეებია ბენზინის ფასი საქართველოში არ იცვლება. მაგალითად „რეგულარის“ ფასი მერყეობდა 2 ლარს და 5 თეთრსა და 2 ლარსა და 10 თეთრს შორის. აქედან ორ კომპანიას ჰქონდა 2 და 5, ორს 2 და 7 თეთრი, ხოლო ერთს – 2 და 10 თეთრი.

დღეს ეს კომპანიები იმით აპელირებენ, რომ საერთაშორისო ბაზარზე ბენზინის ფასმა მოიმატა. გასაგებია, მაგრამ დეკემბერში რომ 200 დოლარით ნაკლები იყო საერთაშორისო ბაზარზე ბარელი ნავთობის ფასი მაშინ რატომ არ იაფდებოდა ის ჩვენთან? მომატებაზე რომ რეაგირებას ახდენენ, ფასდაკლებაზე რატომ არ რეაგირებენ? საქმე იმაშია, რომ ფასები მათ მიერ ხელოვნურად არის გაზრდილი, რაც ძალიან დიდ მოგებას აძლევს ნავთობის იმპორტიორებს. ეს კონკრეტულად ასე ვლინდება საერთაშორისო ფარს ჩვენ ვიღებთ ე.წ. „ფლაქსის“ მიხედვით — ეს არის ერთი ტონა საწვავის ფასი, რაც უდრის 1300 კილოგრამ საწვავს, ის ყოველდღიურად იცვლება. აქედან გამომდინარე მთელ ევროპაში საწვავის ფასი თითქმის ყოველდღე იცვლება იმის მიხედვით, თუ რა ღირს ის იმ დღეს საერთაშორისო ბაზარზე. ასევე, იქ ყველა სხვადასხვა კომპანიებს სხვადასხვა ფასები აქვთ. ჩვენთან ეს საერთაშორისო წესი არ არსებობს ის მუდმივად თვეების მანძილზე ერთია ან იმატებს დაკლებით არ იკლებს მომატებული რჩება და მას მუდმივად ემატება.

ნებისმიერ ნორმალურ შემთხვევაში საწვავის ფასი ასე გამოიანგარიშება. ჯერ არის მისი საბაზრო ფასი, მერე აქციზის ფასი და ამას ემატება ასევე დამატებითი ღირებულების გადასახადი 18 პროცენტი და შიდა ხარჯები. ჯამში როცა ამას ვაჯამებთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ. ის გამოცდილება, რომელიც ჰქონდათ ქართველ იმპორტიორებს. დღეს, როდესაც კომპანიებს ამას ვუხსნით და მათ ვეკითხებით თუ რა ფასში ყიდულობენ ბენზინს, ისინი ამას გვიმალავენ და გვპასუხობენ, რომ ეს მათი კომერციული საიდუმლოებაა. ისინი ყოველივეს მალავენ! რატომ არ უნდა იცოდეს სახელმწიფო სტრუქტურამ რა ფასად იძენენ ბენზინს? რა დაჯდა მისი შიდა ტრანსპორტირება? — ეს ყველაფერი დაფარულია ჩვენში. უცხოეთში კი ასე არ ხდება.

ჩვენი აზრით, ადგილი აქვს ფასების ხელოვნურად გაზრდას ლიტრაზე — 25-30 თეთრით! მაგრამ როცა ფასი ემატება, ისე როგორც 13 თებერვალს მოხდა. მაგალითად, მაშინ ეს ზღვარი მცირდება, მაგრამ თუ საერთაშორისო ბაზარზე ფასი მცირდება, ჩვენ ეს არ გვეხება, ამიტომ კომპანიები დანაკარგს მაინც ინაზღაურებენ და დიდ მოგებასაც ნახულობენ, რადგანაც საშუალოდ საწვავის ფასი 20 პროცენტით მუდამ უზრუნველყოფილი აქვთ წინასწარ. ზოგჯერ ეს ფასები რეალურ ფასსა და საცალო ფასს შორის 40 თეთრისაც კი არის. ასეთი მაგალითი იყო დეკემბერში, როცა ბარელის ფასი 200 დოლარით დაეცა.

**— დღეს, ეს მომატებული ფასი ბენზინზე ცხადია, დარჩება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ხვალ ფასი დაეცემა?**

— რა თქმა უნდა, უბრალო მოქალაქეს არ მიუწვდება ხელი იმაზე, რომ ყოველდღიურად შეამოწმოს ნავთობპროდუქტის ფასი და გაიგოს ბირჟის ფასი, ამიტომ ჩვენი მომხმარებელი ყოველთვის მოტყუებული რჩება. საქართველო თვეში მოიხმარს 60-70 მილიონ ლიტრ საწვავს. ეს 20 თეთრიანი საშუალო მომატება რომელიც მუდმივად არსებობს იცით რამხელა თანხებზე გადის?

**— რამდენია, მიანც რომ დავიანგარიშოთ?**

— ეს არის დაახლოებით 200 მილიონი წელიწადში!!!

სამწუხაროდ, არავინ არ იცის რამდენია სუფთა მოგება ან ვის ჯიბეში რამდენი მიდის!

**— ეს საქმე კონტროლის პალატის ან რაიმე რევიზიის შემოწმებას არ ექვემდებარება, ან პატრონი არ ჰყავთ?**

— პატრონი ჰყავთ, თქვენ ისეთ კითხვას მისვამთ. თითქოს ყველაფერი აწყობილი იყოს, ან სასამართლო იყოს ისეკი, სადაც შეიძლება ვინმემ პასუხი აგოს! ეს გახლავთ ელიტარული კორუფცია! ვერცერთი უწყება ვერ გაბედავს მათ გაკონტროლებას!

**— თქვით, რომ ადრე იყო 100 იმპორტიორი, დღეს არის მხოლოდ ხუთი, რომელია ყველაზე ელიტარული, რომელიც არც ერთ შემოწმებას არ ექვემდებარება? პირველ რიგში, საქართველოში ყველაზე დომინანტი პოზიცია უკავია „გალფს“ და „სოკარს“?**

**„გალფი“ კეზერაშვილისაა არა?**

— დიახ, ეს მან დაადასტურა შეხვედრაზეც, ის 2011 წელს შემოვიდა ბაზარზე და დღეს უკვე 80-მდე ბენზინგასამართი სადგური აქვს ქვეყანაში. ეს ნორმალური მოვლენა არ არის და ჩანს, რომ ელიტის რომელიღაც ჯგუფის ინტერესებია ჩართული. ასევე დომინანტი პოზიცია აქვს „სოკარს“, — ის თავის ბენზინს აქ ჰყიდის და არავის აძლევს საშუალებას სატრანზიტო გზის გავლით აქ შემოიტანონ ეს პროდუქცია. „ვისოლი“ ძმები ფხაკაძეებისაა, რაც შეეხება „ლუკოილს“ — ამ კომპანიას ბენზინი შემოაქვს, რომელსაც აქ ანაწილებს და ფასებს ადებს „უნიგრუპი“ — რომელშიც 2005 წლიდან კეზერაშვილი ფლობს 50 პროცენტიან წილს.

2012 წლის 18 იანვარს ჩატარდა ტენდერი, რომელზეც გადაწყდა, რომ გამარტივებული წესით სახელმწიფომ შესყიდვები აწარმოოს მხოლოდ „ვისოლის“, „ლუკოილისა“ და „გალფის“ კომპანიებისაგან. ესეც მეტყველებს იმაზე თუ როგორი დომინანტი პოზიციები უკავია მათ მიმართ სახელმწიფოს და როგორ მფარველობს.

**—საზღვარგარეთ არსებობს ანალოგი ბენზინის ასეთი წესით გაყიდვისა ანუ მონოპოლიური წესის დამკვიდრებისა?**

— რა თქმა უნდა არა, იქ ყველაფერი კონტროლს ექვემდებარება, და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, ფასების მონოპოლიზება არ მოხდეს. ასევე, იქ არის ანტიკარტერული სამსახური, რომელიც ამას ამოწმებს და სხვადასხვა კომპანიები პროდუქციას სხვადასხვა ფასად ყიდიან — რაც ნორმალურია, იქ ხალხს აქვს არჩევანი.

ჩვენს რეალობაში ეს არ არსებობს.

**— თუ ხელისუფლება არ შეიცვლება ბენზინის მაფია საქართველოში მუდმივად იარსებებს?**

— ცხადია, ასე იქნება, ხელისუფლებაც და ამ საქმის მიმართ პოლიტიკა უნდა შეისწავლოს. ქვეყანას უნდა გააჩნდეს ისეთი ანტიმონოპოლური სამსახური, რომელიც მიუკერძოებელი იქნება, დანაშაულს გამოავლენს და მასზე რეაგირება იქნება. ეს სისტემა უნდა შეიქმნას.

**— დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, ჩვენს ქვეყანაში კიდევ ეს ბენზინის მაფია ემატება, რაც ფასებს უსაზღვროდ ზრდის, რადგანაც პროდუქციის წარმოება თუ გასაღება მასზეა დამოკიდებული, მალე ალბათ ეს ყველაფერი ქვეყანას სრულ სიღატაკემდე მიიყვანს?**

— ცხადია, ასეა, რადგანაც პირველადი მოხმარების საგნები და ყველაფერი საწვავზეა დამოკიდებული ყველამ უნდა იცოდეს, რომ ბენზინის გაძვირება არ არის მხოლოდ ავტომფლობელის პრობლემა, ეს ნებისმიერის პრობლემაა. საწვავის ფასი აისახება ნებისმიერ პროდუქციაზე, კონტროლის მექანიზმი კი ჩვენში არ არსებობს.

ერთი რამ მინდა გითხრათ კიდევ, მაგალითად, სომხეთში იგივე „რეგულარის“ ხარისხის ბენზინი ღირს 10-15 თეთრით ნაკლები. ვიდრე ჩვენთან. თანაც იქ აზერბაიჯანული ბენზინი ვერ შედის, შეაქვთ ევროპიდან საქართველოს გავლით, ამ ბენზინს ემატება ტრანზიტის ფასიც, მაგრამ ის მაინც უფრო იაფი — რატომ? იმიტომ რომ, ზრუნავენ ხალხზე.

**— ბატონო ლევან, არჩევნების ზღვარზეა ქვეყანა, ხელისუფლება იქნებ შეიცვალოს კიდეც, რა სამსახური უნდა შეიქმნას ისეთი, რომელიც საქართველოში ბენზინის მაფიას მოსპობს?**

— ეს იქნება ანტიკარტერული სამსახური, რომელიც დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი იქნება და ქვეყნის ბედით დაინტერესებული, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ქვეყანამ როგორმე გადაიტანოს.

**ეთერ კასრელიშვილი**

## ზვიად ძიძიგური: „კიდევ ბევრ ახალ სახეს ვიხილავთ“



კონსერვატიული პარტიის ლიდერის, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრის, ზვიად ძიძიგურის განცხადებით, პოლიტიკურ გაერთიანებაში, რომელიც სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ დღეს დაფუძნდა, არჩევნების გამოცხადებამდე შესაძლოა, კიდევ ბევრი ახალი სახე ვიხილოთ.

როგორც ძიძიგურმა „მედიანიუსს“ განუცხადა, კოალიციაში პოლიტიკოსების გაწევრიანება დღეს არ დასრულებულა.

„ეს პროცესი დამთავრებული ჯერ არ არის, ნუ იჩქარებთ. სანამ არჩევნების გამოცხადების კოალიციის ჩამოყალიბების პროცესი არ დამთავრდება, იქამდე ჩვენ კიდევ ბევრ ახალ სახეს ვიხილავთ“, — განუცხადა „მედიანიუსს“ ძიძიგურმა.

## ირაკლი ცირეკიძე დოპინგის გამოყენების გამო 3-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა



ძიუდოში ქართველი ოლიმპიური ჩემპიონი ირაკლი ცირეკიძე დოპინგის გამოყენების გამო 3-თვიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ამის შესახებ ინფორმაციას ქართული სპორტული მედია ავრცელებს.

გავრცელებული ცნობით, ცირეკიძის სისხლში აკრძალული პრეპარატის აღმოჩენის და დისკვალიფიკაციის შესახებ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციამ ქართულ მხარეს დღეს აცნობა.

ამ დროისთვის საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში აღმასრულებელი კომისიის საგანგებო სხდომა მიმდინარეობს.

**„მედიანიუსი“**

*ვესაუბრებით მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ* ***ავთანდილ უნგიაძეს***

**— ბატონო ავთანდილ, ბოლო დროს წამოჭრილმა საკითხმა თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ისტორიული ძეგლების აღდგენის და სანაცვლოდ მეჩეთების რესტავრაციის შესახებ საქართველოში დიდი აზრთა სხვადასხვაობა და კამათი გამოიწვია. პარლამენტში მეჩეთების აღდგენის მოწინააღმდეგები ქსენოფობებადაც მოიხსენიეს. ერთის მხრივ, აუცილებელია გადარჩეს ქართული ეკლესიურ-კულტურული ფასეულობა, მეორე მხრივ, ეს საკითხი ფაქტიურად, სავაჭროდ გამოიყენა თურქულმა მხარემ. თქვენი აზრით, სამართლიანია ასეთი მოთხოვნა და მისაღებია ამ თემისადმი ამგვარი მიდგომა?**



და გარკვეული პერიოდის განმავლობაში და აშკარად მიზნად აქვს კვლავ დაეპატრონოს აჭარას. აზიზიეს მეჩეთი აშენდა აჭარის დაპყრობის სიმბოლოდ. ახლა საუბარია აღდგენაზე. მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ ამ მეჩეთისგან არაფერია დარჩენილი, ანუ უნდა აშენდეს თავიდან. თურქეთი რასაც აკეთებს აჭარაში, მესხეთში, ქვემო ქართლში — ეს გახლავთ უცხო ქვეყნის ხელშეწყობით რელიგიური ექსპანსია. ანუ თავისი ელემენტის გაძლიერება რელიგიური ნიშნით და შემდგომ ამ ტერიტორიების საქართველოსგან ჩამოშორება. ჩვენ არ დაგვავიწყდეს, რა ხდება დავით-გარეჯში. იქ აზერბაიჯანი ნელ-ნელა ეპატრონება ჩვენს უნიკალურ კომპლექსს. სადაა ხელისუფლების პოზიცია?

**200-მდე მეჩეთია აშენებული საქართველოს ტერიტორიაზე.**

არის ამისი საჭიროება? თქვენ იცით, რომ აჭარელი მუსულმანი ქართველების ნაწილი აღშფოთებული იყო სვამენ კითხვას. რატომ უნდა აშენდეს აქ მეჩეთი. მიზეზი ნათელია: აზიზიეს მეჩეთი არის დაპყრობის, ბატონობის სიმბოლო. ამ სიმბოლოდ აშენდა ის თავის დროზე. საერთოდ ეს ყველაფერი არის პროცესი — გეგმა საქართველოს დანაწევრება — გასხვისებისა, რაც უკვე მოქმედებაშია მოყვანილი. აფხაზეთ-სამაჩაბლოს მერე ჯერი მიდგა სამცხე-ჯავახეთზე, მერე ქვემო ქართლზე მიდგება ჯერი.

მე მინდა ერთი კითხვა დავსვა: რუსეთი ოკუპანტია, კი, ბატონო, მაგრამ თურქეთი არ არის ოკუპანტი? აჭარაში უამრავი მეჩეთია და მედრესეები, მიყავთ ახალგაზრდები სასულიერო პირებად მოსამზადებლად, მოლებად და ა.შ.

**— საბოლოო გადაწყვეტილება მიღებულია მეჩეთებთან დაკავშირებით?**

— ქართული მხრიდან გადაწყვეტილია, ჩვენი ხელისუფლება თანახმაა. რუსეთის მხარეს არ აქვს ჯერ ხელი მოწერილი. კიდევ არის ერთი საკითხი: ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებლური ეკლესია დომინანტია, არსებობს კონსტიტუციური შეთანხმება, რომლის მიხედვით ნებისმიერ მოლაპარაკებებში, რომელიც ჩვენი სულიერების ძეგლებს შეეხება, ეკლესია უნდა იყოს ჩართული. ამ დროს ეკლესიას არავინ არაფერს ეკითხება, ანუ ხდება იგნორირება. ეს იმიტომ, რომ ეკლესია ზრუნავს სულიერებაზე, მაგრამ აბრალებენ ქსენოფობიას. რა შუაშია აქ ქსენოფობია? ჩვენ ეთნიკური და რელიგიური ნიშნით არავის ვდევნით, მაგრამ როცა მიდის დაპყრობა, ექსპანსია, ვალდებული ვართ ხმა ავიმაღლოთ.

მსგავსი შემთხვევა იყო გერმანიაში, კიოლნში. თურქებმა ტერიტორია იყიდეს და მეჩეთის მშენებლობა წამოიწყეს, დავამატებ, რომ იურიდიულად ჰქონდათ უფლება, ეს კანონიერად ხდებოდა. ადგილობრივი მოსახლეობა აღუდგა წინ ამ ამბავს და მათი მოთხოვნით ხელისუფლებამ შეაჩერა მშენებლობა. ეს ამბები ხდება დემოკრატიულ ევროპაში. ჩვენ კი კანონიერ კი არა, უკანონო მშენებლობის წინააღმდეგ თუ ხმა ამოვიღეთ, მაშინვე ქსენოფობობას გვაბრალებენ. ეს არც მიკვირს, რადგან თანამედროვე მსოფლიოს წესრიგი

## iSxnis kompleqss wyali aqvs miSvebuli, oSkSi fexburTis moedania gamarTuli, SatberdSi qarTuli qvaa gamoRebuli da imis magivrad somxurwarweriani qvaa Cadebuli

— ასეთი მიდგომა მიუღებელია, არაფრით არ შეიძლება, ჯერ ერთი დავიწყოთ იქიდან, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სულიერების ძეგლების მოვლა-პატრონობა არის თურქეთის ვალდებულება.

**— ჩვენს ხელისუფლებაზეც ხომაა დამოკიდებული?**

— ჩვენს მთავრობას არც ერთხელ არ მიუმართავს თურქეთის ხელისუფლებისთვის, რომ აი, ჩვენი ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია და მიხედეთ. ეს უნდა გაკეთებულიყო. მე მაქვს იმის დოკუმენტური კადრები თუ როგორ ინგრევა იშხანი, წყალი აქვს საძირკველზე მიშვებული, ერთი სიტყვით — მიზანმიმართულად ინგრევა. ამის შესახებ მივმართეთ ადგილობრივ ხელისუფლებას, კულტურის სამინისტროს, მაგრამ რეაქცია არ მოჰყოლია. ეს იყო 2007 წელს.

**— ანუ მაინც, პირველ რიგში, თურქულ მხარეს აკისრია ამ ძეგლების მოვლის ვალდებულება?**

— ყველა ქვეყანა ვალდებულია მოუაროს თავის ტერიტორიაზე მდებარე სულიერ ფასეულობებს; მით უმეტეს ვიცით, რომ თურქეთი პრეტენზიას აცხადებს დემოკრატიულობაზე ევროკავშირში უნდა შესვლა. იშხნის კომპლექსს წყალი აქვს მიშვებული, ოშკში ფეხბურთის მოედანია გამართული, შატბერდში ქვაა გამოღებული და იმის მაგივრად სომხურწარწერიანი ქვაა ჩადებული.

არც ისე დიდი ხნის წინ თურქეთმა გამოაცხადა, რომ საკულტო ნაგებობას მათ პატრონებს დაუბრუნებს. რამდენადაც ვიცი, ბერძნებს და სომხებს დაუბრუნდა, მაგრამ არა საქართველოს. ისმება კითხვა: რატომ? ეს ჩვენი ხელისუფლების არაპრინციპულობის ბრალია. საქმე გვაქვს კაპიტულანტურ მოქმედებასთან მისი მხრიდან. ეჭვი მეპარება ეს უანგაროდ ხდებოდეს.

თურქეთი ბათუმის მხარეში ბატონობტაო-კლარჯეთი, შავშეთი, ლაზეთი... ესენი ქართული მიწები არაა? ამ დროს გვეუბნებიან, რომ რუსეთი მტერია, ეს — მეგობარი. საქმე გვაქვს მართლმადიდებლური ერების დაპირისპირებასთან. ასევე აზერბაიჯანის ხელისუფლებასაც ვთხოვდით მეჩეთების უკანონო მშენებლობა შეეჩერებინა და ეს მოვახერხეთ. თქვენ იცით, რომ მას მერე, რაც ჩვენმა პარლამენტმა სხვადასხვა რელიგიურ კონფესიებთან დაკავშირებით კანონი მიიღო, სულ




ცოტა ხანში ორასამდე მეჩეთის რეგისტრირება მოხდა.

აჭარაში ასორმოცდაათამდე მეჩეთია. ამ ასობით აშენებულის სანაცვლოდ სთხოვა საპატრიარქომ — საშუალება მოგვეცით, ჩვენი ტაძრები აღვადგინოთო და ისინი სავაჭროდ იყენებენ ჩვენი ძეგლების სავალალო მდგომარეობას და მოინდომეს ახალციხეში ერთი აღადგინონ და ბათუმში ააშენონ (და არა აღადგინონ) აზიზიეს მეჩეთი.

ვიმეორებ: ეს არის გამიზნული პოლიტიკა რელიგიური ექსპანსიის მიზნით. იმასაც გულისხმობს, რომ მართლმადიდებლური ძეგლები უნდა განადგურდეს.

**— რატომღაც ჩვენთან კარგად გამოსდით ამ წესრიგის დამყარება, რა არის ამისი მიზეზი?**

— სამწუხაროდ ეკლესიაში მრავლადაა პრობლემები. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ხელისუფლებას აქვს გარკვეული გავლენა ეკლესიაზე, სასულიერო პირებზე, მათ შორის მაღალი იერარქიიდან. არ დაგვავიწყდეს, საიდან მოვდივართ, საბჭოთა პერიოდი გამოვიარეთ, ნელ-ნელა მივიწევთ წინ და ეკლესიას ბევრი შემთხვევითი ადამიანი შეეფარა. მიუხედავად ამისა, გადამწყვეტ მომენტში ეკლესია ყოველთვის ამბობდა პრინციპულ სიტყვას. ახლაც, ამ მეჩეთების მშენებლობასთან დაკავშირებით, საპატრიარქოს განცხადება საკმაოდ პრინციპულია. ყოვლად დაუშვებელია სავაჭრო თემა გახდეს ჩვენი ძეგლების აღდგენა. ეს მიუღებელია როგორც სარწმუნოებრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

**თამუნა ქადაგიძე**

## mainc sad iqneba Cveni adgili?

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის თემა უკავშირდება ქართულ პოლიტიკაში წარმატებული ქართველი ბიზნესმენის, მეცენატისა და ქველმოქმედის ბიძინა ივანიშვილის მოსვლას, რაც უკვე დიდ აჟიოტაჟს იწვევს. ზოგნი ფიქრობენ, რომ ის ამერიკული ან რუსული პროექტია, ზოგს სააკაშვილთან გარიგებაში მყოფად მიაჩნია, ზოგს კი — ოპოზიციის ნაწილთან. თუ დავრწმუნდებით, რომ პატივცემული ბიძინა დღევანდელი ბურჟუაზიული რუსეთის კანონის დაცვით მოპოვებულ, თავის დროზე საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილ ქონებას ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობის, მოქმედი არაადამიანური, ანტიეროვნული სახელმწიფოებრივი რეჟიმისაგან საქართველოს განთავისუფლების კეთილშობილურ საქმეს მოახმარს, მაშინ ჩვენ — ქართველი კომუნისტები მას მხარს დავუჭერთ. ამის თაობაზე საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავიდანვე გააკეთა განცხადება.



პატივცემულ ბიძინა ივანიშვილითან დაკავშირებული აურზაური გრძელდება, რაც ბევრ საინტერესოს გვპირდება ქართულ პოლიტიკაში. ყველაზე ადრე ეს გამოიკვეთება სწორედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში. უკვე არის პირველი პროგნოზები, სპეციალისტთა პირველი მოსაზრებები. მაგალითად, კვალიფიციურ პოლიტოლოგთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ წინასაარჩევნოდ შეიქმნება სამი კოალიცია:

1. სახელისუფლებო პარტიების კოალიცია მიხეილ სააკაშვილის წინამძღოლობით.
2. ბიძინა ივანიშვილის პარტიისა და იმ პარტიების კოალიცია, რომლებთანაც სურს თანამშრომლობა თვით ბიძინა ივანიშვილს მისივე წინამძღოლობით.
3. იმ პარტიების კოალიცია, რომლებთანაც არ სურს თანამშრომლობა ბიძინა ივანიშვილს.

სად იქნება ჩვენი ადგილი? რა თქმა უნდა, პირველში — არა. შესაძლოა, მეორეში ან მესამეში, თუმცა ორივე შემთხვევაში ეს უსიამოვნო და მძიმე იქნება.

ყველაზე უფრო ხელსაყრელია მეოთხე კოალიციის შექმნა მემარცხენე-პატრიოტული ძალებისაგან, სადაც იქნება ჩვენი ადგილი და ეს სასურველია, მაგრამ ჯერჯერობით ბუნდოვანია ასეთი კოალიციის შექმნის პერსპექტივა და რეალობა.

ბოლოს რჩება მეხუთე ვარიანტი: არჩევნებში საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის მარტოდმარტო, დამოუკიდებლად მონაწილეობა. ეს ყველაზე მძიმე, მაგრამ ყველაზე საპატიო, ღირსეული გზაა.

ყველა ვარიანტში უნდა დამთავრდეს ჩვენი მოკრძალება და უმაგალითო გაბედულება უნდა გამოვიჩინოთ. დიახ, უნდა დამთავრდეს ის დამოკიდებულება, როდესაც თავს არჩევნების გამო ვიმართლებდით და ვინუგეშებდით მხოლოდ. უნდა დამთავრდეს ის დრო, როდესაც თავს არჩევნების გამო ვიმართლებდით და ვინუგეშებდით მხოლოდ. უნდა დამთავრდეს ის დრო, როდესაც უაზროდ დავთმეთ ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა 1998 წელს, როდესაც არ მიგვიღია მონაწილეობა 2003 წლის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში, როდესაც არ გვყოლია ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატი 1995 წლის შემდეგ. ქვეყნიერებას უნდა გავაგებინოთ, რომ პატარა ბავშვები კი არა, სერიოზული, პატივსაცემი, ანგარიშგასაწევი ხალხი ვართ!

მანამდე კი საჭიროა თავდაუზოგავი, თავდადებული, შეუპოვარი შრომა და ბრძოლა!

**ნუგზარ ავალიანი,**
**საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი**

# socio logiuri dazRvevis sistema did britaneTsa da CrdiloeT irlandiis gaerTianebul samefoSi



### სოციალური დაზღვევის სივრცე

დიდ ბრიტანეთში სოციალური დაზღვევა ვრცელდება ყველა დასაქმებულ მამაკაცზე (16-65 წელი) და დასაქმებულ ქალზე (16-60 წელი), ვისი საკვირაო შემოსავალი შეადგენს 97-844 ფუნტ სტერლინგს, ასევე თვითდასაქმებულებზე, რომელთა წლიური შემოსავალი არანაკლებ 5075 ფუნტ სტერლინგს შეადგენს, ამ პირებზე სოციალური დაზღვევა ვრცელდება მათ მიერ სოციალური დაზღვევის ფონდში განხორციელებული შენატანების საფუძველზე. სოციალური დაზღვევის ფონდში შენატანი არ ხორციელდება უმუშევრის შემწეობიდან და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საწარმოო ტრავმატიზმის შემწეობიდან.

ნებაყოფლობითი შენატანები შედის ასაკის მიხედვით პენსიის ფონდში და მარჩენალის დაკარგვის შემწეობის ფონდში. უმუშევრობისა და ინვალიდობის შემწეობის მიღების უფლება აქვს ყველა დასაქმებულს და თვითდასაქმებულს.

სახელმწიფო სოციალური შემწეობა დიდ ბრიტანეთში ლეგალურად დასაქმებულ და თვითდასაქმებულ ყველა პირზე ვრცელდება.

### დაფინანსების წყაროები

დიდ ბრიტანეთში ვისი შემოსავალიც 100 ფუნტი სტერლინგიდან 844 ფუნტ სტერლინგამდეა, სოციალურ ფონდში ამ ყოველკვირეული შემოსავლიდან 11 პროცენტს იხდის. გათხოვილი ქალებისა და ქვრივი ქალების ზოგიერთ კატეგორია სოციალურ ფონდში იხდის შემოსავლის 4,85 პროცენტს და დამატებით კიდევ 1 პროცენტს თუ მისი კვირეული შემოსავალი 844 ფუნტ სტერლინგს აღემატება. ნებაყოფლობითი შენატანები კვირაში 12,6 ფუნტ სტერლინგს შეადგენს.

დამსაქმებელი ყოველ დასაქმებულზე, რომლის ხელფასიც კვირაში 110 ფუნტ სტერლინგს აღემატება, მისი ხელფასის 12,8 პროცენტს იხდის, აქედან 1,9 პროცენტი შედის ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ ფონდში. დამსაქმებლის შენატანიდან ფინანსდება ის შემწეობები, რომელიც გაიცემა დასაქმებულზე ავადმყოფობისას, ორსულობსას, მშობიარობისას, უმუშევრობისას და საწარმოო ტრავმატიზმისას.

სახელმწიფო ფონდებიდან ფინანსდება ის შემწეობები, რომელიც არ ფინანსდება დამსაქმებლის ან დასაქმებულის სოციალური შენატანებიდან.

### პენსიის დანიშვნის პირობები

დიდ ბრიტანეთში ძირითადი სახელმწიფო პენსია ასაკის მიხედვით ენიშნებათ დაზღვეულ პირებს მამაკაცებს 65 წლის ასაკში, ქალბატონებს 60 წლის ასაკში. 2020 წლისთვის ქალბატონთათვის საპენსიო ასაკი 65 წლამდე აიწევს. ასაკის მიხედვით პენსიის მისაღებად შესაბამის ფონდში პირს არა ნაკლებ შენატანების 30-წლიანი სტაჟი უნდა გაჩნდეს. იმ პირთთვის ვის კმაყოფაზეც იმყოფებიან ბავშვები, მოხუცები და ინვალიდები შენატანების სტაჟი მცირდება.

80 წელს გადაცილებულ დაზღვეულ პირებზე გაიცემა დამატებითი პენსია თუ მათი არსებული პენსია არ აღემატება ძირითადი სახელმწიფო პენსიის 60 პროცენტს. საზღვარგარეთ მცხოვრებ ბრიტანელებზე ასაკის მიხედვით ძირითადი პენსია გაიცემა თუ ისინი ცხოვრობენ ევროპის კავშირის ქვეყნებში ან იმ სახელმწიფოებში, რომელთანაც დიდ ბრიტანეთს აქვს სპეციალური შეთანხმება. მეორე სახელმწიფო პენსია (სსპ) გაიცემა პირებზე, ვისი წლიური შემოსავალიც 14100 ფუნტ სტერლინგზე ნაკლებია. ამავე დროს შემოსავლის წლიური ლიმიტის ქვედა ზღვარს 5044 ფუნტი სტერლინგი შეადგენს.

ინვალიდობის პენსია გაიცემა იმ პირებზე, ვისაც არ შეუსრულდა 65 წელი ინვალიდობის დადგენილან 3 თვეში იწყება პირზე ინვალიდობის პენსიის გაცემა, მისი მოცულობის დადგენისას ხდება ინვალიდის გადაადგილებისთვის საჭირო საშუალებების ხარჯების გათვალისწინება. საზღვარგარეთ ამ პენსიის გაცემა ხდება ზუსტად იმდენი წლის განმავლობაში, რამდენი წელიც დაზღვეულმა პირმა იცხოვრა დიდ ბრიტანეთში. დაზღვეულ პირს შეუძლია დიდ ბრიტანეთში წლის განმავლობაში 26 კვირა არ იცხოვროს და ინვალიდობის პენსია შეუზღუდავად მიიღოს.

ქვრივის პენსია გაიცემა საპენსიო ასაკს მიღწეველ პირებზე.

უმუშევრობის შემწეობის მოცულობა დამოკიდებულია დაზღვეულის შემოსავალზე, შრომისუნარიანობაზე, ასაკზე, მოქალაქეობაზე. იმ პირზე, ვისაც ბანკში 16 ათას ფუნტ სტერლინგზე მეტი დანაზოგი გააჩნია ან ჰყავს საქორწინო პარტნიორი, რომელიც კვირაში 24 საათზე მეტხანს არის დასაქმებული უმუშევრობის შემწეობა არ გაიცემა.

### ასაკის მიხედვით პენსიის მოცულობა

დიდ ბრიტანეთში ასაკის მიხედვით ძირითადი სახელმწიფო პენსიის მოცულობა კვირაში 97,65 ფუნტ სტერლინგს შეადგენს. თუ პენსიონერის კმაყოფაზე სხვა პირიც იმყოფება. იგი იღებს დამატებით შემწეობას კვირაში 58,5 ფუნტ სტერლინგს. ასაკის მატებასთან ერთად აღნიშნული პენსია იზრდება 0,25 ფუნტი სტერლინგი კვირაში. ყოველწლიურად ხდება პენსიის საინფლაციო ინდექსაცია. დიდ ბრიტანეთში პენსიის მინიმალური მოცულობა მუშაკის საშუალო ხელფასის 37 პროცენტს შეადგენს.

### ინვალიდთა შემწეობის მოცულობა

დიდ ბრიტანეთში ინვალიდის სტატუსის დადგენა ხდება 13 კვირის განმავლობაში. ამ პერიოდში დაზღვეულ პირზე ყოველკვირეულად 65,45 ფუნტი სტერლინგი გაიცემა, თუ მისი ინვალიდობა განსაკუთრებით მძიმე ხასიათისაა. ზემოთ აღნიშნულ თანხას ყოველკვირეულად 31,4 ფუნტი სტენრლინგი ემატება, ხოლო თუ შრომისუნარიანობის დაკარგვა ნაკლებად მძიმეა თანხას ყოველკვირეულად 25,95 ფუნტი სტერლინგი ემატება. ინვალიდობის პენსია გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, ვინც საწარმოში მუშაობის პროცესში დაინვალიდდა. მსუბუქი, საშუალო და განსაკუთრებით მძიმე ხარისხის ინვალიდების მოვლისათვის გაიცემა დანამატი 18,95, 47,4 და 71,4 ფუნტი სტერლინგი მოცულობით კვირაში. ყველა ეს დანამატი ყოველწლიურად ინდექსაციას გადის.

### შემწეობის მოცულობა მარჩენალის დაკარგვისას

დიდ ბრიტანეთში ქვრივის პენსია 97,65 ფუნტ სტერლინგს შეადგენს კვირაში, ამის გარდა მეუღლის გარდაცვალებისას გაიცემა ერთჯერადი შემწეობა 2 ათასი ფუნტი სტერლინგის მოცულობით. სხვა კატეგორიის პირთათვის, მარჩენალის დაკარგვისას, შემწეობისას, შემწეობის მოცულობა დგინდება მათი ასაკისა და გარდაცვალების დროის მიხედვით. აღნიშნული შემწეობა ყოველწლიურად ინდექსაციას გადის.

**დავით არაბიძე**
**განათლების ეროვნული კავშირის მდივანი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# evrokavSiris Tvalis asaxvevad da sakuTari xalxis dasabrmaveblad

„ნაციონალების“ ტალღაზე გადაწყობილი, მოსკოვიდან ჩამოსახლებული კახა ბენდუქიძის ინიციატივით გაუქმდა ანტიმონოპოლიური სამსახური. ის ფასების სახელმწიფო ინსპექციას შეუერთეს. შეიქმნა ახალი სამსახური ძველი წესდებით — თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის სააგენტო.

გასული წლის ზაფხულში ეს მკვდრადშობილი ორგანოც გააუქმეს და შეიქმნა კონკურენციის სააგენტო. მის ფუნქციებში შედის ჩაატაროს კვლევები კერძო სუბიექტებს შორის და შეისწავლოს არსებული კონკურენტული გარემო. მონოპოლიების არსებობისა და ხელოვნურად ფასების ზრდის მიზეზების შესასწავლად, ახლადშექმნილ ორგანოს შეუძლია დაიქირაოს ექსპერტები. ეკონომკურ საკითხებში ექსპერტი დავით ნარმანია კიდევ უფრო აკონკრეტებს სააგენტოს ფუნქციებს: ის უნდა აგროვებდეს ინფორმაციებს კომპანიების საქმიანობის შესახებ, აკეთებდეს ანალიზს, თუ რომელი კომპანია ითვლება მონოპოლისტად ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტში.

კიდევ ერთი ექსპერტი ნოდარ ხადური მიიჩნევს, რომ ახალი სახით სააგენტოს ჩამოყალიბება მხოლოდ კეთილი სურვილებია და მეტი არაფერი. რადგანაც არსებობს დებულება, მაგრამ არ ჩანს ახალი სტრუქტურის მუშაობის დამარეგულირებელი კანონი. ეკონომისტი თვლის, რომ სიახლეს „ზევით“ ბევრი მოწინააღმდეგე უნდა ჰყავდეს. არადა ამ სტრუქტურის შესახებ კანონის მიღებასა და მის ამოქმედებას მოუთმენლად ელიან ექსპერტები ევროკავშირიდან. ევროკავშირის წარმომადგენლობის ატაშე საქართველოში ვირჟინი კოსული აცხადებს, რომ შეთანხმების მომზადების სფეროში საქართველომ უნდა აჩვენოს პროგრესი რიგ საკანონმდებლო — მარეგულირებელ სფეროებში. ერთ-ერთი ასეთი კი თავისუფალი სავაჭრო სფეროა.

საქართველოში კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფისა და ევროკომისიების რეკომენდაციების შესრულებისათვის ხელისუფლება ამ ორგანოსაგან ფინანსურ დახმარებას იღებს. სწორედ ამის დაკარგვა არ უნდა მთავრობას და სასწრაფოდ შექმნა კონკურენციის სააგენტო. ყოველგვარი ფუნქციებისა და საკანონმდებლო ბაზის გარეშე. „ნაციონალებს“ მოუწევთ დანაპირების შესრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება არა მხოლოდ ევროკავშირში შესვლის, არამედ ამ სტრუქტურასთან საერთოდ ურთიერთობის საკითხიც კი, ქართველ პოლიტიკოსებს, ეკონომისტებს აინტერესებთ, დროში რამდენ ხანს გაწელავს ჩვენი ხელისუფლება ამ საკითხს.

### საკუთარი ხალხის დაბრმავება

ევროკავშირის კატეგორიულ მოთხოვნას ჩვენმა ტყუილებში გაწაფულმა ხელისუფლებამ „ეკონომიკური თავისუფლების აქტის“ შექმნით უპასუხა. ეს მას ჩაეთვალა, როგორც „თავისუფალი კონკურენციის შესახებ“ კანონის მიღების წინა პროცესი. აქტს პრემიერმა ნიკა გილაურმა გრძელვადიანი ეკონომიკური სტაბილურობის კანონი უწოდა, რომელიც დეკემბრის შუა რიცხვებიდან ამოქმედდა. ჯერ ძალაში არშესულ კანონში ექსპერტებმა უკვე აღმოაჩინეს ურთიერთგამომრიცხავი დებულებები. კერძოდ, „ეკონომიკური თავისუფლების აქტის ძალაში შესვლისთანავე, იკრძალება უკვე გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების გარდა ძალების გაცემა, იკრძალება გამოდის, რომ ძველები (პატრონიანები) მიუხედავად მათი დაარსებისა და მოქმედების პერიოდებში გამოვლენილი დარღვევებისა, ხელუხლებელნი დარჩებიან. ახლებმა (უპატრონოებმა) უფლებების მოპოვებაზე არც უნდა იოცნებონ ახალი მარეგულირებელი ორგანოების შექმნა. ეს მაშინ, როდესაც „ვარდოსნებით“ დაკომპლექტებული ხელისუფლება ევროკავშირს და საკუთარ მოსახლეობას ჰპირდება კონკურენციის სააგენტოს შექმნას და აცხადებს, რომ მიმდინარეობს მისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწა.



ამ აბდაუბდასთან დაკავშირებით საინტერესოა სააკაშვილის პოზიციაც: — იგი ამბობს, რომ „ეკონომიკური თავისუფლების აქტი“ კონსტიტუციურად ზღუდავს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაძლებლობას გადაუხვიოს ლიბერალური ეკონომიკური მმართველობიდან როგორც არსებული, ისე ნებისმიერი მთავრობის პირობებში. ჩვენი ამბიცია უნდა იყოს, რომ საქართველო ვაქციოთ ლიბერალური ეკონომიკური მმართველობის ფლაგმანად, — აცხადებს პრეზიდენტი. აქვე იმასაც აცხადებს, რომ ნებისმიერი გადასახადის შემოღება ან გადასახადის განაკვეთის გაზრდა რეფერენდუმის გზით უნდა მოხდეს. მთავრობამ ვერ უნდა შესძლოს მათი დაწესება ხალხის ნებართვის გარეშე. რამდენად რეალურია მისი სიტყვები, ჩვენი ყოველდღიურად მზარდი და ახლად დაწესებული გადასახადების მაგალითებიდანაც კარგად ჩანს.

**ზაზა ბილიხოძე**

## მსოფლიო პრესის მიხედვით

# dasav l eTis SiSi da mzadeba omisTvis

## putini, `civi omis~ Semdgom pirve l ad, SeiaraRebu l i Za l ebis yve l aze masStabur aRWurvas gegmavs

*რუსეთმა უნდა გააძლიეროს შეიარაღებული ძალები იმისთვის, რომ ხიფათით სავსე სამყაროში არსებობისთვის მოემზადოს — გამოცემა თჰე ჩჰრისტიან შციენცე მონიტორ პუტინის იმ ახალი წერილის არსს გადმოგვცემს, რომელიც რუსეთის პრესაში დაიბეჭდა. დღევანდელ მსოფლიოში „საერთაშორისო სამართალი ირღვევა, დასავლეთი არ თაკილობს და სუვერენული სახელმწიფოების საქმეებში ერევა, ხოლო კონკურენტებს შეუძლიათ, რუსეთში მისი მდიდარი ბუნებრივი რესურსების ხელში ჩასაგდებად შემოიჭრან“, — ასე მიაჩნია ვლადიმირ პუტინს, რომელიც ცდილობს, საბჭოთა კავშირის შემდგომი პერიოდის ყველაზე გაძლიერებული სამხედრო შეიარაღების პროგრამა რამენაირად დაასაბუთოს.*

პუტინი პირველად როდი იძლევა რუსეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზების დაპირებას. არადა, თვითონ რუსეთის ექსპერტთა შეფასებითაც კი, პრემიერ-მინისტრი ვერ აცნობიერებს, რომ უწინარესად რუსეთის თავდაცვითი მრეწველობის ყოვლისმომცველი რეფორმების გატარებაა აუცილებელი“. მათივე აზრით, პუტინის ახალ წერილში ბევრი რამ არის საგულისხმო: პრემიერმა პირველად განაცხადა, რომ ქვეყანამ უარი უნდა თქვას სამხედრო ვალდებულებაზე და უნდა შექმნას ნებაყოფლობითობის პრინციპზე დაფუძნებული თანამედროვე არმია.



ექსპერტები სიფრთხილით ეკიდებიან გადაიარაღების პროგრამას და ეჭვს გამოთქვამენ, რომ მისი განხორციელება ამ ეტაპზე შესაძლებელი იქნება: ძლიერი საბჭოთა სამხედრო მრეწველობა მნიშვნელოვნად არის შემცირებული, კვალიფიციური მუშები და სპეციალისტებიც კი აღარ არიან.

საზოგადოებრიობამ უნდა შეაფასოს პუტინის მოწოდება რუსეთის ომისთვის მზადების შესახებ. „ეს არის უკიდურესად გაუწონასწორებელი ადამიანის მოსაზრება, რომელიც დაუფარავად აცხადებს — მთელი მსოფლიო რუსეთის და პირადად ჩემ წინააღმდეგ არის ამხედრებული, ამიტომაც ყველასგან თავდაცვა გვჭირდებაო“, — აცხადებს Í î âî é ãàçåòû -ის მიმომხილველი პაველ ფელგენგაუერი. მისივე აზრით, პუტინის გეგმა განუხორციელებელია და იმავდროულად — პარანოიდულიც.

პუტინი ესწრაფვის, „მოახლოებული არჩევნების წინ, როგორმე გაიუმჯობესოს საკუთარი რენომე სამხედრო მოსამსახურეთა თვალში და ამიტომაც იძლევა დაპირებას, რომ უახლოეს ათ წელიწადში თავდაცვის ბიუჯეტს გააორმაგებს“, — აღნიშნავს **The Financial Times**-ის ჟურნალისტი ჩარლზ კოვერი პუტინის წერილის კომენტირებისას.

გაუგებარია, როგორ მოხერხდება თავდაცვის ბიუჯეტის გაზრდა, ეს ხომ სხვა დანაკარგების — სოციალური სფეროსა და ინფრასტრუქტურის ხარჯზე მოხდება, აღნიშნავს **Deutsche Bank**-ის მოსკოვის განყოფილების მთავარი ეკონომისტი იაროსლავ ლისოვოლიკი. „ჩნდება დილემა: ან შემცირდეს სხვადასხვა ხარჯის დაფინანსება ან მთლიანად ბიუჯეტის ეფექტიანობა გაიზარდოს“, — დასძენს ექსპერტი.

რუსი სამხედროები სკეპტიკურად აფასებენ პრემიერის დანაპირებს. თავდაცვის სამინისტროს ინკოგნიტო წყარო გვირჩევს: პუტინის ეს პროგრამა შეაფასეთ როგორც ნებისმიერი სხვა წინასაარჩევნო დაპირება, ანუ ბევრს ნურაფერს ელოდებითო.

რას უქადის რუსეთის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება თვითონ რუსეთს და სხვა სახელმწიფოებს? ამ შეკითხვებს პასუხობს ვეტერანთა ანტიტერორისტული საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი ალექსეი ფილატოვი.

შეიარაღებული ძალების განვითარებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მოდერნიზაციის პროგრამისთვის ნავარაუდევი 23 ტრილიონი რუბლი — შთამბეჭდავი ციფრია. ახალი საფრთხეებისგან „გონივრული“ თადაცვა, „ჰორიზონტს მიღმა ყურება“ და საფრთხეების ხასიათის შეფასება ძალზედ მნიშვნელოვანია. თუმცა ამის მიღწევა მხოლოდ პროფესიონალთა ძალებით არის შესაძლებელი, თანაც — ყველა რგოლში. როცა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის ძირითად ბირთვს ფინანსისტები წარმოადგენენ, „გონივრული“ თავდაცვისუნარიანობის იმედი ნურავის გაუჩნდება.

რუსეთის არმიამ 90-იან წლებში ძლივს გადაირჩინა თავი: თანაც — ქვეყნის ხელმძღვანელობამ მის გადასარჩენად კი არა, დასაკნინებლად უფრო იზრუნა.

არმიას სჭირდება კარდინალური გადაიარაღება და მართვის სისტემის აღდგენა. ამის აუცილებლობა გამოავლინა საქართველოში მშვიდობის იძულებით დამყარების ოპერაციამ. მაშინ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობის დაცვისას, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ისეთივე დაბნეულობა გამოამჟღავნა, როგორიც სტალინმა — 1942 წელს.

**The Christian Science Monitor**
**The Financial Times**
**vz.ru**

# ruseTis iaraRsa da sakvebze damokidebu l i siria Zve l megob r obas u f r Txi l deba

სამოყვარულო ვიდეორგოლებში შეიძლება შეამჩნიოთ, როგორ გადაადგილდებიან ასადის მომხრე ძალები საბჭოთა ტანკებით, აღნიშნავს **The New York Times**. თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოებზე, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს, აღბეჭდილია საბჭოთაა წარმოების სარაკეტო კომპლექსები, აგრეთვე თვითმავალი ჰაუბიცები „მიხაკი“ და „აკაცია“, რომელთა„ფაქიზი და ნაზი სახელები არ შეესაბამება მათ გამანადგურებელ ცეცხლოვან ძალას“, — წერს სტატიის ავტორი დევიდ ჰერშენხორნი.



საერთაშორისო საზოგადოებრიობის აღშფოთების მიუხედავად, მოსკოვი კვლავ ამარაგებს სირიას იარაღით. მოსკოვმა „პოლიტიკური თავსაფრით“ სცადა მეამბოხე ძალთა დევნის გაძლიერება — ჩინეთთან ერთად ვეტო დაადო გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას, რომელიც ასადის გადადგომას ითხოვს.

„ბევრი ანალიტიკოსის განცხადებით, რუსეთის მხარდაჭერის, მათ შორის იარაღით, სურსათით, წამლებით მუდმივად მომარაგებისა და სხვა დახმარებების გარეშე, ასადის მთავრობა რამდენიმე თვეში დაემხობოდა“, — ვკითხულობთ წერილში. ექსპერტთა შეფასებით, მოსკოვი დამასკოთან ურთიერთობას უპირველეს ყოვლისა იმიტომ ინარჩუნებს, რომ უკვე დიდი ხანია სირიასთან იარაღით ვაჭრობს.

გამოცემის აზრით, რუსეთი სირიის რეჟიმს იმის გამოც უჭერს მხარს, რომ შეინარჩუნოს თავისი გავლენა ახლო აღმოსავლეთში — ეს რეგიონი დაასუსტა „არაბულმა გაზაფხულმა“ და ამერიკის ომმა ერაყსა და ავღანეთში. კრემლი დასავლეთს უცხადებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას არ იწონებს.

2007-2010 წლებში სირიისთვის იარაღის მიწოდების კონტრაქტების საერთო თანხამ 4,7 მილიარდი დოლარი შეადგინა — ანუ 2003-2006 წლებთან შედარებით (2,1 მილიარდი დოლარი) ორჯერ გაიზარდა. იმავდროულად, რუსეთი ირანს ბევრად ნაკლებ იარაღს აწვდის — თანხა 2,1 მილიარდიდან 300 მილიონამდე შემცირდა.

რუსეთის ოფიციალური პირები, რასაკვირველია, კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან სირიაში იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებას: ასეთი აკრძალვა ასადის მთავრობას ხელს შეუშლის, ოპოზიცია კი მაინც შეისყიდის იარაღს.

**The New York Times**

მიხაილ პროხოროვმა თავისი ცხოვრების ყველაზე სარისკო თამაში წამოიწყო — პუტინის მეტოქეა არჩევნებში. რუსეთის ყველა ოლიგარქი, ვინც პოლიტიკოსობა მოიწადინა, ყველა ან ციხეში აღმოჩნდა, ან დევნილია, გვახსენებს თჰე შუნდაყ თიმეს-ის კორესპონდენტი მარკ ფრანკეტი. „მიყვარს რისკი და ყოველთვის მიხარია, როცა რთული ამოცანა მაქვს გადასაჭრელი! — აღნიშნავს პროხოროვი.



ცოტას თუ სჯერა, რომ კრემლის დასტურის გარეშე იგი საპრეზიდენტო მარათონში ჩაებმებოდა. „როგორც ჩანს, მას ხანგრძლივ დროზე გათვლილი პოლიტიკური ამბიციები გააჩნია“, — ასეთ ვარაუდს გამოთქვამს წერილის ავტორი. „ჯერჯერობით, კრემლს არ აშინებს პროხოროვის კანდიდატურა, თუმცა ვითარება შესაძლოა შეიცვალოს, თუკი პუტინის პოპულარობა კვლავ განაგრძობს დაღმასვლას“.

# mi l iar der is r iskiani TamaSi: daamar cxos put ini

პროხოროვი, თავის მხრივ, ინტერვიუში აცხადებს: „მა არ გახლავართ „კრემლის პროექტი“. რუსეთის ელიტის 95 პროცენტს ვიცნობ და ამიტომაც მესმის, რომ კრემლისთვის იდეალურად მისაღები კანდიდატი ვარ. არადა, არავისთვის მითხოვია „ნებართვა“ მონაწილეობა მივიღო არჩევნებში. ეს პირადად ჩემი გადაწყვეტილებაა“

იგი ცდილობს გააქარწყლოს ჭორები იმის შესახებ, თითქოს თანახმაა იმუშაოს პუტინის მთავრობაში თუნდაც პრემიერად: „მივეჩვიე — ყოველთვის პირველი ვარ და არა მოადგილე“.

მისი თქმით, თუ წარმატებას მიაღწევს, შექმნის საკუთარ პარტიას და ოპოზიციაში გადაინაცვლებს. შესაძლოა აკლია ქარიზმა, მაგრამ რუსეთის პრობლემების მიმართ მისი მენეჯერული მიდგომა რუსეთის მოსახლეობაში პოპულარობას მოუტანს“, — ვკითხულობთ გამოცემაში. თუკი მას პრეზიდენტად აირჩევენ, დაპირებას იძლევა, რომ სხვას მაგალითს მისცემს და თავის ქონებას ქველმოქმედებას მოახმარს — „ერთ მილიარდზე მეტს არ დავიტოვებო“.

იგი ბრძოლას უცხადებს კორუფციას და გადასახადების თავის ამრიდებლებს. იგი იძლევა დაპირებას, რომ გაათავისუფლებს ხოდორკოვსკის, აღადგენს გუბერნატორების არჩევას, შეამცირებს საპრეზიდენტო ვადას, გააფართოებს პრესის თავისუფლებას, მოახდენს სასამართლო სისტემის რეფორმირებას, აღკვეთს ბიუროკრატიულ დაბრკოლებებსდა ცხოვრების დონეს გააუმჯობესებს.

**The Sunday Times**

**ინტერნეტმიმოხილვა მოამზადა**
**გ. ჭავჭავაძემ.**




# `yve l ani Tanaswo r ebi va r T, mag r am zogier Tni u f r o Tanaswo r ebi va r T~



**მარინე ჩიტაშვილი:** რაც შეეხება კანონს პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, ასეთი კანონი მართლაც არის სხვა ქვეყნებში, ოღონდ ამ ქვეყნებს არ ჰქვიათ ჰიბრიდული რეჟიმები და ესენი არიან სრულიად გამჭვირვალე და შემდგარი დემოკრატიის მქონე ქვეყნები. პირდაპირ წერია, რომ ჰიბრიდული რეჟმის პირობებში ნებისმიერი ასეთი კანონი ახდენს ძალაუფლების უზურპირებას ერთი ან უმრავლესობით მოსული მმართველი გუნდის ხელში, რაც ჩვენს შემთხვევაში ერთმნიშვნელოვნად სახეზეა. ეს კანონი პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სიტყვის თავისუფლებასთან, რაც არის კონსტიტუციური ნორმა, ხოლო კონსტიტუცია, როგორც უმაღლესი კანონი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დარღვეული ნებისმიერი სხვა კანონით და უფრო მეტიც კონსტიტუაციასთან მიმართებაში არ შეიძლება პარლამენტმა ხელი მოაწეროს ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, რომელიც კონსტიტუციაზე მაღლა დგას.

რაც შეეხება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას,იგი პირდაპირ არის დარღვეული ამ კანონში, რადგან არ არის განსაზღვრული; მაგალითად, ირიბად თუ პირდაპირ დაკავშირებული პოლიტიკური ფიზიკური პირი, რომელიც ხმამაღლა გამოხატავს მოწონებას ან არმოწონებას, არღვევს კანონს, მაშინ როცა, ბატონ კუბლაშვილის ინტერვიუდან გვემცნო, რომ მმართველ პარტიას შეუძლია აღნიშნოს ყველა ის დამსახურება და მიღწევა, რომელიც მათ გაუკეთებიათ. თუმცა კარგი იქნება ბატონმა კუბლაშვილმა და მმართველმა პარტიამ ასევე სრულად წარმოადგინოს და ტრანსფარანტული გახადოს ის ფინანსური უზრუნველყოფა, რაც მათ ამა თუ იმ რეფორმისთვის განუხორციელებიათ. ასევე ტრანსფარატული გახადონ ყველა ის ფინანსური ნაკადი, რომლიც ბიუჯეტიდან წასულა საარჩევნოდ გამზადებული ბანერებისათვის თუ სხვა საქმეიანობისათვის.

და რაც მთავარია, მმართველი გუნდი აცხადებს, რომ აშშ არის საქართველოს და მათი პარტნიორი, მაგრამ რამდენიმე დღის წინ აშშ-ს ელჩმა ჯონ ბასმა განაცხადა, რომ თურმე საქართველოში არ არის შექმნილი პირობები თანაბარი პოლიტიკური ბრძოლისათვის. ან უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ ან თამაშის წესები გვაქვს ყველას საერთო, ან შევთანხმდეთ იმაზე, რომ დიახ, მე ასე მინდა და ასე ვთამაშობ, მე ვარ მმართველი გუნდი და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. ერთი თამაშის წესიც მისაღებია და მეორეც, ოღონდ სხვადასხვა პასუხით. თუ თანაბრად ვთამაშობთ - თანაბარი უფლებები გვაქვს, ხოლო თუ მმართველი გუნდი თვლის, რომ გარკვეული უპირატესობები გააჩნია, მე ეს მახსენებს ჯორჯ ორუელის „ცხოველების ფერმას“, სადაც ჩამოწერილი ლოზუნგები შეიცვალა ერთი მშვენიერი ლოზუნგით: „ყველანი თანასწორები ვართ, მაგრამ ზოგიერთნი უფრო თანასწორები ვართ“.

რაც შეეხება იმას, გაითვალისწინებს თუ არა ნაციონალური მოძრაობა აშშ-ს თუ გაეროს რჩევებს, რა იქნება სამომავლოდ, არ ვიცი, მაგრამ ოქტომბრიდან დღემდე მმართველ გუნდს და მის ელიტას იოტისოდენა მონდომებაც კი არ გამოუჩენია, რომ მათი ძირითადიო საზრუნავი არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარება, ისინი ამ წუთას იბრძვიან ხელისუფლებისათვის და იბრძვიან სრული გაშმაგებით, ყოველგვარი დაწერილი თუ დაუწერელი კანონების დარღვევით. სხვათა შორის, ბატონმა პრეზიდენტმა გულახდილი განცხადება გააკეთა, როდესაც თქვა, რომ „მე ყველას მოვუსმენ, მაგრამ გადაწყვეტილებას მივიღებ თავადო“. ჩემი აზრით, პრეზიდენტ სააკაშვილის მთავარი მიზანი ამ წუთას არის შეინარჩუნოს ხელისუფლება, ოღონდ შეინარჩუნოს ისე, რომ მინიმალურად წააგოს საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში. ანუ შეინარჩუნოს ფასადური დემოკრატიის ყველა ნიშანი, დატოვოს ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში, და რადგანაც ნაცმოძარობაში, მისდა სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არ იძებნება ისეთი პოპულარული ფიგურა, რომელზეც უცებ და მარტივად აეწყობა ყველაფერი, შესაბამისად, ის უნდა დარჩეს ხელისუფლებაში, გნებავთ,როგორც უმრავლესობის ლიდერი, გნებავთ, სერიოზული ძალა და ა.შ. ანუ შემოთავაზებული ორი ვარიანტიდან, რომ მას აქვს ჯორჯ ვაშინგტონის გზა და პუტინის გზა, ვაშინგტონამდე ძალიან შორია.

ჩემი აზრით, რეაქცია აშშ-დან და ევროკავშირის ქვეყნებიდან იქნება ერთმნიშვნელოვნად მწვავე, მიუხედავად იმისა, იქნება სააკაშილი პრემიერი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, რადგან არსებობს იდეალები, რომლის აგებასაც ძალიან ბევრი დრო მოანდომა დასავლეთმა, და იგი არ პატიობს სხვებს, გადაუხვიოს ამ ღირებულებებიდან. განსაკუთრებით არ პატიობს პატარა ქვეყნებს, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მათი ფინანსური მხარდამჭერით არიან წელში გამართულნი. თუკი გავითვალისწინებთ ე.წ. ეპითეტს „დემოკრატიის შუქურის“ შესახებ, მაშინ როდესაც შენ არ გაქვს დემოკრატიის ხარისხი არც მედიაში, არც დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, და მიუხედავად ამისა, შენ შუქურას გიწოდებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ შექმნილი ხარ, როგორც ერთი კონკრეტული შემთხვევა, თუ როგორი უნდა იყოს დემოკრატია. ასეთ შემთხვევაში წარუმატებლობა დემოკრატიის თვალსაზრისით, შენს წისქვილზე არ ასხამს წყალს. რაც ერთმნიშვნელოვნად იყო კიდეც გაცხადებული. აშშ-ში ვიზიტის დროს ნამდვილად იყო წამოსული მესიჯი, რომ თუკი თქვენ უგულებელყოფთ დემოკრატიიული ღირებულებებისა და იდეალების განვითარებას, ასეთ შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან დახმარება იქნება საკმაოდ მინიმალურიო.

ნაციონალურ მოძრაობას ნამდვილად შეუძლია იარსებოს მიხეილ სააკაშვილის გარეშე, რადგან ნაცმოძრაობაში გაერთიანებული არიან ისეთი ადამიანები, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ზეგავლენა სოციალურ ქსელში და დიდი ფინანსური რესურსი და რაც მთავარია, ჰყავთ მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა, ანუ ელექტორატი. კარგია თუ არა, რომ ნაცმოძრაობა დარჩეს ოპოზიციაში, მე ვერავინ დამაბრალებს ნაცმოძრაობის სიყვარულს, მაგრამ მივესალმები მის უმცირესობაში დარჩენას, ოპოზიციაში გადასვლას, რადგამ მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი პარლამენტში მოსულმა უმრავლესობამ ისწავლოს სერიოზულ, ჭკვიან უმცირესობასთან ურთიერთობა. და სწორედ ასეთ შემთხვევაში დადგება უმრავლესობაც და უმცირესობაც საქართველოს ინტერესების დასაცავად და არ გაქაჩევს თოკს ერთმანეთის საპირისპიროდ, რათა ამტკიცოს თავისი უკეთესობა და არ გახლიჩავს ბავშვს შუაზე. აქედან გამომდინარე, ნაცმოძაროების ოპოზიციაში გადასვლა იქნება ყველაზე წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს დემოკრატიულობის განვითარების გზაზე, პარლამენტის, როგორც წარმომადგენლობითი ორგანოსა და მასში კრიტიკული აზრის გაჩენისათვის. მაშინ ნაცმოძრაობის დარჩენა მხოლოდ მისასალმებელი იქნება.

მე ვერ გეტყვით, რომ ამ პარტიის წიაღში არ არიან ლიდერები, რომლებიც ბევრად უფრო ეფექტურ და პრაგმატულ პოლიტიკას გაატარებდნენ, ვიდრე მიხეილ სააკაშვილი, მაგრამ ამ წუთას შეიძლება სააკაშვილის მსგავსი ქარიზმას მატარებელი ფიგურა არ ჩანდეს. თუმცა მას კონკურენციას მეტნაკლებად ბატონი უგულავა გაუწევს ქარიზმის თვალსაზრისით. მაგრამ დანარჩენები, ისინი, ვინც ჩანან ასპარეზზე, ასეთი ქარიზმის მატარებელნი არ არიან. თუმცა ვიმეორებ, წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისათვის სულაც არ არის საჭირო ასეთი ეფექტური იყო ან ფლობდე ასოციაციებზე გამართულ ტექსტს, რომლშიც ხშირ შემთხვევაში, ლოგიკა არ არის, მაგრამ მომგებიანია პარტიული რიტორიკის თვასაზრისით.

რაც შეეხება არასამთავრობოთა მიერ გამოთქმულ ინიციატივას არჩევნების თარიღთან დაკავშირებით, ასეთი მოლოდინი არსებობდა, და არა დღეს, არამედ მაშინ, როცა მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია და იქ შავით თეთრზე ეწერა, რომ რატომღაც ეს პარლამეტი 4 წელი და 6 თვე აგრძელებს მუშაობას და პრეზიდენტი - 5 წელი და 10 თვე. ეს ფაქტი მაშინვე აღნიშნეს არასამთავრობოებმა, ოღონდ არა ამათმა, მაგრამ ცხადია, არანაირი რეზონანსი არ მოჰყოლია. ამიტომ შესაძლებელი იყო ასეთი ინიციატივის გაჩენა. რადგან ერთის მხრივ ივანიშვილი ამტკიცებს, რომ ის აუცილებლად მიიღებს მოქალაქეობას და მისი პოლიტიკური ინიციატივის დამბლოკველი საშუალება უნდა გაჩენილიყო და მეორეს მხრივ, შემოწმდა, რა რეაქცია იქნებოდა. თუმცა „ახალი თაობა—ახალ ინიციატივას“ ისეთი კარგი რეკლამა გაუწია კონტროლის პალატამ, რომ ძნელი დასაჯერებელია მათი ახალი ინიციატივები პირდაპირ არ იყოს დაკავშირებული მმართველ გუნდთან. წინააღმდეგობა შეიძლება ყოფილიყო იქ, რომ არავინ იცის, როგორ დამთავრდება ეს არჩევნები და რაც უფრო გვიან ჩატარდება, შეიძლება უკეთესი იყოს. ამასთან, შეიძლება გაჩნდეს კითხვა, რატომ ჩამოიშორეს კონკურენტი და არ მისცეს მას თანაბრად ბრძოლის საშუალება. ამიტომ დადგა საკითხი, მოვიგოთ დრო და მოვემზადოთ სერიოზულად, შევქმნათ პირობა იმისა, რომ გარედან არავინ მოგვედავოს და პირდაპირ წავიდეთ ავანტურაზე. ივანიშვილის გუნდს კი ნამდვილად ცაიტნოტში მოუწევდათ მუშაობა, თუ არჩევნების ვადა გადმოიწევდა. ამ კოალიციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, რამდენად იქნებიან ისინი ჩართული, როგორ მიიტანენ ისინი თავიანთ თავს თითოეულ მოქალაქესთან და როგორ დაარწმუნებენ, რომ საშიში არაფერია, მაშინ როცა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სრულად მონოპოლიზებულია „რუსთავი-2“-ის, „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებელის მიერ. ასევე დამოკიდებულია, რა ტიპის პარტია ჩამოყალიბდება იმ საინიციატივო ჯგუფიდან, რომელიც ივანიშვილმა სულ რამდენიმე დღის წინ წარმოადგინა. იმიტომ რომ, კოალიციაში შემავალი პარტიები ელექტორატისათვის ნამდვილად არ წამოადგენს სიახლეს. მათ ჰყავთ თავიანთი ფიქსირებული ელექტორატი, რომლებიც არ წარმოადგენენ იმ დიდ მასას, რომელსაც არ გადაუწყვეტია, ვის მისცემს არჩევნებში ხმას. ამჟამად არსებობს ორი პოლუსი, რომელთაგან ერთი აუცილებლად მისცემს ხმას ოპოზიციას, ხოლო მეორე- ნაცმოძრაობას. მაგრამ ელექტორატის იმ დიდი ნაწილის მხარდაჭერის მოპოვება, რომლიც აქტორად უნდა ჩამოყალიბდეს, დამოკიდებული იქნება ამ ახალ პარტიაზე, რომელიც შეიქმნება ივანიშვილის ირგვლივ.

ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება, ეს არჩევნები არ იყოს სამართლიანი. მან უკვე შექმნა ამის წინაპირობა, რადგან არჩევნებში მონაწილეობა ვიღაცისათვის გახადა ადვილი და ვიღაცისათვის - თითქმის შეუძლებელი. აქედან გამომდინარე, თუ არა სამოქალაქო აქტივობა და რიგები საარჩევნო უბნებთან, საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მოქალაქეების მხრიდან, ამის გარეშე არჩევნების მოგება შეუძლებელი ან ძალიან ძნელი იქნება. რაც შეეხება არასამთავრობოთა პრინციპულობას და აქტიურობას ამ არჩევნებში, მთელი იდეოლოგია მათი არსებობისა მათ სახელწოდებაში, ისინი წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციებს, ანუ არ არიან მიბმულნი მთავრობაზე და ემსახურებიან იდეებს, რომლებიც ღირებულად მიაჩნიათ. სამოქალაქო საზოგადოებას სხვა არაფერი არ დარჩენია, გარდა ერთმნიშვნელოვანი პროტესტი იმისა, რომ შენ მეც მიკრძალავ სიტყვის თავისუფლებას.

„მაესტრო“

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# პოეტის, კაცის!



## გენო კალანდია

და ძველისძველი პატარა კიბე
ორივე ხელით ეკიდა ოდას.

ვინ იცის, რამდენ პოეტს რამდენჯერ დაუნახავს ეს „ძველისძველი პატარა კიბე“ (ნალვლიანი თუ ოდაზე მიდგმული), მაგრამ დღემდე ვერავინ დაინახა იგი ამნაირად: ორივე ხელით ჩამოკიდებული.

მექონოთი არავის ეგონოს იგი. არა!

მექონოთი — ტაძართა და ეკლესიათა კართა აღსავალია ხარისხედი (საბა), ეს კიბე კი, — დანდალებგაყრილი ორი ლატანია; გურიაში პწკალას ეძახიან, იტალიურად სკალა ჰქვია, თურქულად, — ნარდივან, სომხურად, — სანდუღ...

დღეის ამას იქით, ამ კიბის დანახვაზე (ვისაც ის ლექსი წაუკითხავს, სადაც ეს გამოთქმაა) არ შეიძლება, არ გაახსენდეს ეს ორი სტრიქონი:

და ძველისძველი პატარა კიბე
ორივე ხელით ეკიდა ოდას.

ასევე არ შეიძლება, როგორც კალოობის ჟამს, შეუძლებელია, კაცმა არ გაიხსენოს (უკეთუ იცის) პაოლო იაშვილის კაშკაშა შედარება:

რომ აჰკრავენ ხორბალს ნიჩაბს
და ხორბალი დაბლა ცვივა, —
შენი თმები ასე მიჩანს
და ამ თმების ქარში მცივა.

არანაკლებ საყურადღებოა გენო კალანდიას კიდევ ერთი (მრავალთაგან) ასეთი მრჩობლედი:

ჩავა, ჩაჰყვება ბარძაყებს ხელი,
ვით არყის ხეებს სინათლის ჩქერი.

აქ ეს ორი სტრიქონი ერთგვარად ცისა და მიწის ურთიერთშერწყმის ილუზიას ქმნის:

პირველში მიწაა („ბარძაყები“), მეორეში, — ზეცა („სინათლის ჩქერი“).

— მამლის ყელიდან ამოსული დილა. ხავსით შემოსილი სოფლის ეკლესია. ეკით გადმოფრენილი ჩიქოვანის მიმინო. გლოვად დამსხდარი სააფაქიო. შერვაშიძის თეთრი ქალი. გუბაზის სისხლი. ფაზისის ვარდი. გერგედავას ცირა. ჩელა. ოდოია. აბა, ულა. ჭყონდიდი. ზუგდიდი. ქალადიდი...

აი, გენო კალანდიას პოეტური აღმაფრენის დვრიტა.

— აფხაზეთში დატრიალებულმა უჟადადუჟმა ჯეროვანი ასახვა ჰპოვა (ასეც იყო მოსალოდნელი) გენო კალანდიას პოეზიაში:

„აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს... დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები გადააყლაპეს“.

ეს ამაზრზენი სიტყვები უძღვის ეპიგრაფად გენო კალანდიას სულის შემძვრელ ლექსს „ანტიგონე“:

ვისი თვალები გადაყლაპე, დაო, ბედკრულო?
ქურდის,
ყაჩაღის,
მამათმავლის,
უკუმსტოვარის?
ვისი თვალებით გეწვის გულ-გვამი?...

ჯოჯოხეთზე უარესი გენო კალანდიას თვალით დანახული ერთ დროს უწყინარი აფხაზეთი:

სახეწაშლილი ჭაბუკები — საკუთარი ფალოსით გულზე,
კვირტივით ღიად დარჩენილი ბავშვის თვალები.
აი, ჭაბუკის თბილი ფილტვი, — გაჭყლეტილი
ყურძნის მტევანი.
აი, ქალწულის თეთრი ბარძაყი, — ცისკრისნაფლეთი.

— ახლა, როცა საქართველოში ასეთი აღზევებაა ლოტოფაგთა! ახლა, როცა გარეწარნი ყოველნაირად ცდილობენ, ქართველებს დაავიწყონ, წარსული! დაავიწყონ სამშობლო! დაავიწყონ დედა! დაავიწყონ მამა! გადაახვნევინონ წინაპართა საფლავნი... განსაკუთრებულ ჟღერადობას იძენს გენო კალანდიას ირონიული ლექსი „ოლიფანტე“:

ნუ გეშინია, ძმაო ოლიფანტე, ნუ გეშინია,
უხვად გვექნება წლეულს ლოტოსი...
მიირთვი, მიირთვი მაისის ლოტოსი...
მორჩილად დახარე ეგ თავი მონის...
თხუნელასავით სარდაფში ჩადი...
წარსული დაივიწყე...

... გენო კალანდია არა მარტო პოეტია ღირსეული, კაცური კაციცაა!

2003 წელს, საპარლამენტო არჩევნების დროს, ერთმა ჩემმა ე.წ. მეგობარმა უკადრებელი იკადრა: ცილი დამწამა.

გენომ და მისმა ძმამ ზაურ კალანდიამ არ აპატიეს ავყიას პოეტის მუნდირის შეურაცხყოფა და საკადრისი პასუხი გასცეს მას (მათი წერილიდან, რომელიც „ლიტერატურულმა საქართველომ“ გამოაქვეყნა, ნათლად ჩანს: პოეტმა იცის პოეტის ყადრი).

... გენო კალანდიას ლექსები (თუ არ ვცდები) პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა (იქ ჩემი მუშაობისას).

მას უკან დიდმა დრომ განვლო.

მოხდა უამრავი რამ:

დაემხო საბჭოთა კავშირი. გაიმარჯვა ეროვნულმა ხელისუფლებამ. გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. დაემხო ეროვნული ხელისუფლება. მოვიდა სამხედრო საბჭო. აირჩა რიგით მეორე პრეზიდენტი (პრველი მოკლეს). დავკარგეთ სამაჩაბლო. დავკარგეთ აფხაზეთი. ახლახან ე.წ. „ვარდების რევოლუციამ“ დაამხო მეორე პრეზიდენტი, აირჩა მესამე!...

დავიბრუნებთ დაკარგულ მიწებს?
გვეშველება?

არის იმედები არის ეჭვები, არის მდუმარება, არის შეძახილი.

ერთი სიტყვით...
არის ყველაფერი, რაც უნდა იყოს!
რაიც შეეხება პოეტს! —

მას ყოველ დროს უნდა ჰქონოდა, გარნა დღეს განსაკუთრებით ხამს ჰქონდეს:

მუხლი მგლისა და თვალი ორბისა, ვინაიდან (ვითარცა ერთმა ბრძანა პოეტმა): წინ გზაა გრძელი, გზა — ღვლარჭნილი, — როგორც ასპიტი.

მუხრან მაჭავარიანი
თბილისი
2005

## მესამე თვალი

*ავტოპორტრეტი თბილისის ფონზე*

ვჩქარობ და ვჩქარობ,
ყოველდღე ვჩქარობ!

სიზმარში, ცხადში მტკივა და ვჩქარობ,
შინ დაბრუნებას ვჩქარობ და ვჩქარობ!

მანქანით, ფეხით, ხომალდით ვჩქარობ,
დღითა და ღამით ვჩქარობ და ვჩქარობ!

ბზიფის, ენგურის ზვირთივით ვჩქარობ,
ქვირითით სავსე თევზივით ვჩქარობ!

წყალსა და ხმელზე, — მთასა და ბარში,
მდედრთან, ვით ცეცხლთან ვჩქარობ და ვჩქარობ!

ცერზე შემდგარი მიმინოს დარად, —
დილას, შუადღეს, საღამოს ვჩქარობ!

ტრამალის რუხი მგელივით ვჩქარობ,
დოღის ცხენივით ვჩქარობ და ვჩქარობ!

ვუახლოვდები აბელის მაღლობს,
სადაც ორმოცი გვარ-ტომი სახლობს.

ჩემი სახელის, ანდერძის პატრონს
დღეიდან მარტო ვტოვებ და... ვჩქარობ!

ძე შეცთომილის, შვილმკვდარის დარად,
ჩემებრ ობოლი მკვდრებისკენ ვჩქარობ!

თქვენ გქონდეთ თქვენი ვარდი და დაფნა,
მე აფხაზეთში ვჩქარობ და ვჩქარობ!

ვჩქარობ და ვჩქარობ,
ყოველდღე ვჩქარობ!

## ბალადა საკუთარ გულზე

გულო, გეკითხები, როდის?
გულო, ახლოვდება მარტი,
გულო, სიყვარული მოდის
ცრემლით, სალამურით, ვარდით.

გულო, დარჩენილა ღია
შენი უსურვაზის კარი,
მინდვრად გამოსულა ია, —
ოცი გაზაფხულით მთვრალი.

გულო, შემოდგომის კოცონს
ჯობდა ნაპერწკალი წინა?!
ალბათ, სამოთხეში მოგცეს,
გულო, სამუდამო ბინა.

გულო, განიძარცვა შინდი,
გულო, არ მოგედოს ხავსი,
გულო, სიჭაბუკე მიდის —
ღვინით, ყვავილებით, ვალსით...

გულო, სასწაულებს ელი,
გულო, ამიჯანყდე ლამის,
გულო, მეგობართა ხელით
ასგზის მოწამლულო შხამით.

გულო, გაჩენილო ბავშვად,
ვარდებს ფიანდაზად შლიდი,
გულო, ჩატეხილა შარშან
შენი გადებული ხიდი.

გულო, მოგონებას უხმე,
თოვლი გარეული თმაში,
გულო, აჩეხილო წუხელ
სამი მუშკეტერის დაშნით.

გულო, აყვირებენ ბუკებს,
გულო, შებინდება მოდის...
გულო, გელოდება უკვე
შავი მარმარილოს ლოდი.

* * *

არა, ო, არა! სულ აღარ მიკვირს,
ასეთი რიტმი ახალი ყოფის,
როგორც აპრილში დასაკლავ თიკანს,
მე ერთი ბლუჯა ბალახიც მყოფნის.

მზეზე ვიქნები თუ ბუხრის ახლოს,
მეც ვუდარაჯებ ამ ცას და მინდორს,
რომ სიკვდილამდე კარგიც და გლახაც, —
სულ კურტანივით ვზიდო და ვზიდო.

დოქით, ხელადით დავიდგამ ღვინოს
და ვადღეგრძელებ ძვირფასი ჯამით
მიწას, რომელიც ძველია ისე,
როგორც სახელი დღისა და ღამის.

***ზუსტად 20 წლის წინ 1992 წელს გაზეთ „ALTER EGO-ში“ დაიბეჭდა ფსიქომიმღებთა და ექსტრასენსთა სკანდალური ინფორმაცია მსოფლიოს მომავალზე, რომელსაც ხელს დამოუკიდებელ მეცნიერთა საერთაშორისო საბჭო აწერდა. „ამ სტატიას ნუ წააკითხებთ არამყარი ფსიქიკისა და სუსტი ნერვების მქონეთ, ვისაც მძიმე ავადმყოფობა აქვს გადატანილი, აგრეთვე, ბავშვებსა და მოხუცებს. სპეციალური ფსიქოსტატისტიკური მონაცემებით, ამ ნაშრომს ათასიდან მხოლოდ ორი ადამიანი აღიქვამს ისე, როგორც საჭიროა“, — ერთვოდა ინფორმაციას.***

## წინასწარმეტყველება

ანტიქრისტეს წინამორბედი — ბავშვი მონსტრი დაიბადება 1997 წლის 13 თებერვალს, გრინვიჩის დროით 14 საათსა და 17 წუთზე.

ფუნქციონალური თვისებების მიხედვით, ანტიქრისტეს მნიშვნელობა განუზომლად დიდია. იგი უკვე აკეთებს თავის საქმეს, თუმცა, დღეს მხოლოდ მის გარეგან არსს აღვიქვამთ. საიდუმლო ნათელი გახდება მაშინ, როცა სამყაროში არსებული ბოროტება დარწმუნებული იქნება საკუთარ გამარჯვებაში. მანამდე კი...

1997 წლის 13 თებერვალს, გრინვიჩის დროით 14 საათსა და 17 წუთზე, ერთ-ერთი სახელმწიფოს (ყოფილი სსრკ, აშშ. გერმანია, ისრაელი, ტანზანია, ბოლივია) მმართველის ვაჟიშვილის მეუღლეს, დავითის თაობის უშუალო გამგრძელებელს, რომელიც ნამყოფია ჩერნობილის ატომური აფეთქების ზონაში, გაუჩნდება ბავშვი-მონსტრი, რომლის 17 კილოგრამიანი სხეული დაფარული იქნება ხშირი ბეწვით და ექნება ორი თავი. მშობიარე საშინელი წამებით მოკვდება, ხოლო მამა ბავშვის დანახვისას ჭკუიდან შეიშლება და დარჩენილ სიცოცხლეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გაატარებს. მშობიარობა საიდუმლოდ მოხდება, — ბებია-ქალს და ექიმს სხვა ქვეყნიდან მოიწვევენ და უკან გამგზავრებისას უბედურ შემთხვევას მოუწყობენ, მშობლის ნეშტს დაწვავენ და ფერფლს გაანადგურებენ.

ახალდაბადებული მონსტრი დედამიწაზე უკვე მცხოვრები ანტიქრისტეს წინამორბედია. დაბადებისთანავე მისი მარცხენა თავი მოკვდება და მხარზე გადმოეკიდება. იგი მაშინვე დადგება ფეხზე და დაიღრიალებს: — „მე გამოგზავნილი ვარ ამ სამყაროში, რათა მისი მოსვლა გაცნობოთ!“ იქ მყოფი ორი მცველი ტყვიებს დაახლის, მაგრამ ამაოდ, ისინი თვითონ დაეცემიან უსულოდ. ანტიქრისტეს წინამორბედი იტყვის: — **„ეს მხოლოდ დასაწყისია!“**

ბავშვი-მონსტრის დაბადების მომენტში დედამიწის მეორე მხარეს მოხდება მიწისძვრა. იგი იმეფებს ერთ წელიწადსა და სამ თვეს.

1997 წლის 13 თებერვალს დაიწყება ახალი, ანტიქრისტეს ერა, რომლის კოდური სახელწოდებაა „წინანულოვანი წერტილი“.

მექსიკის მიწისძვრის შემდეგ დედამიწის ქერქზე გაჩნდება ნაპრალები, ძლიერი ქარიშხალი სამჯერ შემოუვლის სამყაროს. გაქრება ფიჯის, სან-კრუსის, ტრისტან დე კუნის, ტუბაის, ნამპოს კუნძულები, კერგელენის კუნძულები, ახალი ზელანდიის სამხრეთი.

მონსტრის დაბადების დღეს ინგლისის, რუსეთის, კანადისა და იაპონიის რადიოასტრონავტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ცაზე შეამჩნევენ კიბორჩხალის მსგავს ბურუსს, რომელსაც „სისხლიან ფატას“ უწოდებენ. (საუბარია, ალბათ, „მორგანის ფატის“ მსგავს სამგანზომილებიან მირაჟზე — მ.ჭ) ასტრონავტები იმავე დღესვე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპებიან.

ადამიანთა უმეტესობა სამყაროს ცვლილებებს ვერ აღიქვამს, იმ ღამეს მათ მხოლოდ წნევა აუწევთ და შინაგან რყევას იგრძნობენ. ამ დროს მოხდება დედამიწის სფეროს მიახლოება სამყაროს საკვანძთაშორისო იარუსთან და დედამიწის ამოვარდნა სამყაროს წყობის ერთიანი რიტმიდან. სამი წყალზედა ვულკანების ყელის მეშვეობით. არქტიკული და ანტარქტიდული ყინულების გადნობა სითხეს დაკარგულ მოცულობას აღუდგენს.

წინასწარი კატაკლიზმების დამთავრების შემდეგ მდგომარეობა მთლიანად სტაბილური გახდება.. მოვლენათა ნარჩენები „მინიმალურ“ დანაკარგებს გამოიწვევს: განადგურდება წყნარი ოკეანის ყველა კუნძული, ორ არათანაბარ ნაწილად გაიხლიჩება ავსტრალია, კატასტროფული წყალდიდობა იქნება მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, დაიღუპება მილიონამდე ადამიანი. ბაზალტირებული სარკოფაგების რომლებიც ელოდნენ თავიანთ დროს, პსი-გამოსროლის შემდეგ ენერგიულ ლოკალურ რეტრანსლატორებად გადაიქცევიან, რის გამოც, ვერცერთი ტელემაყურებელი ვერ შენიშნავს, რომ თავმჯდომარე მახინჯი თავ-ტანით, ძალზე დაბალია, ბალნიანი და ა.შ არაადამიანურია. იგი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას იტყვის: „მე მოსული ვარ თქვენს გადასარჩენად, მაგრამ ჩემი ამოცანაა, ნამდვილი გადამრჩენის მოსვლა გაუწყოთ“. ამ სიტყვებს დედამიწის ყველა მცხოვრები გაიგებს თარჯიმნის გარეშე.

ამ განცხადების შემდეგ შეწყდება ყოველგვარი კატასტროფა




განზომილება გადაყლაპავს დედამიწას, რომელიც თან ატარებს მესამე ცივილიზაციას. ნებისმიერი ადამიანი, მისთვის შეუმჩნევლად შეიძენს სამ ცხოვრებას სამ დროებით კონტინიუმში, რათა სამი გზით იაროს და სამჯერ მოკვდეს. წინანულოვანი დროის წერტილიდან სამ სიბრტყეში ერთდროულად წარმოიქმნება სამი გრავიტაციულ-სივრცობრივი რიგი ჩვიდმეტ გალაქტიკაში, რომელიც გარს ახვევია „ირმის ნახტომს“. მესამედი ცივილიზაციის დამამთავრებელი სხივური მონაკვეთები მეტად აღარ გადაკვეთენ ერთმანეთს.

მექსიკის მიწისძვრის შედეგად წარმოშობილი არნახული ამოხეთქვა ლავებისა, დედამიწის შინაგან შრეებში წნევის დაცემას გამოიწვევს, რის გამოც წარმოიშობა ნაპრალები და ღრმულები, სადაც ჩავა ორ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი წყალი. ოკეანეებისა და ზღვების დონე დაიწევა. წყლის დედამიწის ბირთვთან შეხებისთანავე წარმოიშობა ორთქლი, რომელიც შინაგანი პოლარულ-ზედაპირული არხებით დედამიწის გეომაგნიტურ პოლუსებს მიაღწევს და ნაწილობრივ გარეთ გამოვა წყალქვეშა და

რღვევის შედეგად, რომლებშიც ინახებოდა რადიოაქტიური ნარჩენები, ურალისა და ციმბირის 46 მილიონამდე ადამიანი დაავადდება.

ამის შემდეგ გრინვიჩის დროით დღის 3 საათზე, მსოფლიოს წამყვანი რადიოკომპანიები გამოაცხადებენ მსოფლიო მთავრობის შექმნის აუცილებლობის შესახებ. ამასვე მოითხოვს გაეროს უშიშროების კომიტეტი. ამ კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეული იქნება... — ვინ? ამაზე არავინ არაფერს ამბობს. მთელი მსოფლიო დადგება ფაქტის წინაშე, — ჟურნალისტები გამოაცხადებენ, რომ არჩევანის დრო არ იყო, არც იქნება და მსოფლიო უშიშროების თავმჯდომარეს მიენიჭება განსაკუთრებული უფლებები.

მისი გამოჩენა ტელეეკრანებზე მასიურ ჰიპნოზს გამოიწვევს. შავი ენერგიის პსი-ველი გაძლიერდება და გავრცელდება ასობით ბიორეტრანსლატორთა მეშვეობით, რომლებიც 80-იან წლებში გააქტიურდნენ (მასიურად ატარებენ ჰიპნოიმფერალურ წინასწარ ცდა-სეანსებს და ხალხი ტრანსზომბიალურ მდგომარეობამდე მიჰყავთ). წინასწარ მომზადებული ჰიპოზომბები, ატმოსფეროში, ჰიდროსფეროსა და ლითოსფეროში. დაზარალებულ რაიონებს სასწრაფოდ აღმოუჩენენ ჰუმანიტარულ დახმარებას, სრულად იქნება ლიკვიდირებული ქოლერისა და ტიფის კერები ბალტიისპირეთში, ლათინურ ამერიკასა და შუა აზიაში. ამავდროულად, ასობით ცნობილი რუსი, სერბი, ბულგარელი და „ი-უ-არელი“ ლიტერატორი, პუბლიცისტი და რეპორტიორი გაქრება უკვალოდ. ნახევარი წლის შემდეგ ამერიკელი მრჩეველი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ ყველა დაკარგული, თავის დროზე გამოთქვამდა მსოფლიო მმართველის საწინააღმდეგო მოსაზრებებს და მათ იპოვნიან ფლორიდაში, ერთ-ერთ ვილაში ჩამომღრჩვლებს. მათ გამოაცხადებენ ნარკომანებად და ალკოჰოლიკებად.

30 აპრილის ღამესა და 1 მაისს, იერუსალიმში, დახურულ რეზიდენციაში, რომელიც ერთ-ერთ უძველეს გორაზე მდებარეობს, შეიკრიბებიან მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს (გადარჩენილების) მმართველები და ჩაატარებენ ყრილობას მსოფლიო კონფედერაციის შექმნის შესახებ. დედამიწელებს პირველად ეცნობებათ, რომ მის სახელმწიფოთა მმართველებსა და უცხოპლანეტელებს შორის უკვე 30 წელია რაც არსებობს საიდუმლო თანამშრომლობა. მსოფლიოს დიდ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში დაეშვება ათობით მფრინავი მართვადი კოორდინატორი, რომელთაც დღეს „ამო-ს“ ვუწოდებთ. ამავდროულად არსებობას შეწყვეტს ყველა ორბიტალური საპლანეტათაშორისო სადგური. 1-7 მაისი გამოცხადდება საპლანეთათაშორისო ზეიმის კვირეულად, — ალკოჰოლის უფასოდ დარიგების შემდეგ დაიღუპება დედამიწელი ნახევარი მილიარდი ადამიანი.

განადგურდებიან მერკური, მარსი, იუპიტერი და რიგი პლანეტა-თანამგზავრებისა და გრავიტაციული ბალანსის სისტემის გამო, ტრანსპლუტონი, პლუტონი, ურანი და ნეპტუნი სამუდამოდ დატოვებენ მზის სისტემას.

სატურნი, ვენერა, მთვარე, ფობოსი, დეიმოსი, განიმედი, იო, დემეტრა და იუნონა რიგრიგობით დაეცემიან მზეზე, რაც გამოიწვევს უძლიერეს თერმობირთვულ აფეთქებას. მეტეორიტების ნამსხვრევების სეტყვა გაანადგურებს გრენლანდიას და კანადის ჩრდილოეთ ნაწილს, მაგრამ „კომიტეტი“ ვერაფერს შეცვლის. მზეზე აფეთქებიდან ოთხი თვის შემდეგ, მხოლოდ დედამიწა დარჩება იმ ციურ სხეულად, რომლის დიამეტრი იქნება 8,2 სინათლის წელი. ღამის ცაზე ვარსკვლავების ციმციმი მიინავლება და ბოლოს მთლიანად გაქრება. ერთადერთ ხილულ ობიექტად დარჩება მეწამული წითელი კიბორჩხალისებრი მზარდი ბურუსი.

ზეგიგანტურ ქიმიურ კომბინატებზე ბლოკის მოხსნა გამოიწვევს მასშტაბურ ჯაჭვურ ხანძრებს ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში, ვოლგისპირეთსა და უკრაინაში. უბედურების ზონებში 43 მილიონზე მეტი ადამიანი დაიღუპება...

მონსტრი-ბავშვის დაბადებისას ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ 1997 წლის 14 თებერვალს დაიბადა დოლი, პირველი კლონირებული ცხვარი, რომელიც, ოფიციალურად, 2003 წელს 6 წლისა ფილტვების ინფექციის შედეგად მოკვდა. ამ ფაქტის მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი სიკვდილით, არამედ, დაბადებით, რადგან იგი იყო 6 წლის ზრდასრული ცხვრის სარძევე ჯირკვლიდან აღებული გენეტიკური მასალიდან, ბირთვიდან. გენეტიკოსები ამბობდნენ, რომ დოლის დნმ, მისი ბირთვის ასაკის გათვალისწინებით, 12 წლის იყო და მისი სიკვდილი „ნაადრევი დაბერებით“ იყო გამოწვეული.

როდესაც აშშ-ი მიწისძვრა მოხდა, რომლის დროსაც რყევები იგრძნობოდა ქვეყნის უზარმაზარ ტერიტორიაზე, (პრეზიდენტი ობამა შვებულებაში იმყოფებოდა) და ჯორჯ ვაშინგტონის 169 მეტრიანი მონუმენტი გაიბზარა, აშშ-ის გეოლოგიური სამსახურების მონაცემებით, ეს იყო ყველაზე ძლიერი მიწისძვრა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში 1997 წლის, ანუ მას შემდეგ, რაც მსგავსი დაკვირვები დაიწყეს.

წინასწარმეტყველება პირდაპირ არ იკითხება, თუმცა, როგორც ითქვა, ათასიდან ორი, მას სწორად წაიკითხავს. მინიშნებები უკვე სრულდება, თუმცა, მე უფლება არ მაქვს, თავს მოგახვიოთ ჩემი კომენტარები, იქნებ ვცდებოდე...

**მაია ჭელიძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.net
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**— ისჯება თუ არა სისხლისსამართლებრივი წესით იურიდიული პირი და რა სახის სასჯელებით?**

— დიახ, ისჯება.

იურიდიული პირის სასჯელის სახეებია:

ა) ლიკვიდაცია;

ბ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

გ) ჯარიმა;

დ) ქონების ჩამორთმევა.

ლიკვიდაცია და საქმიანობის უფლების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

ჯარიმა შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებით სასჯელად.

* * *

**— როდის ინიშნება უვადო თავისუფლების აღკვეთა?**

— უვადო თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

უვადო თავისუფლების აღკვეთა არ დაენიშნება იმას, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია 18 წელი ან ვისაც განაჩენის გამოტანის მომენტისათვის შეუსრულდა 60 წელი.

* * *

**— ბიძაჩემი შემპირდა ნაკვეთის ჩუქებას, მაგრამ უკანასკნელ მომენტში ჩუქება გადაიფიქრა, მე კი ამ ნაკვეთთან დაკავშირებით უკვე გარკვეული გეგმები მქონდა. ჰქონდა თუ არა ბიძაჩემის ჩუქებაზე უარის თქმის უფლება?**

— თქვენს შემთხვევაში ადგილი აქვს საჩუქრის დაპირებას. სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ბიძათქვენი საჩუქარს დაგპირდათ ჩუქების ხელშეკრულების წერილობითი ფორმით. გაქვთ უფლება, მოითხოვოთ მისგან დაპირების შესრულება. სხვა შემთხვევაში — არა.

* * *

**— გთხოვთ, გაგვაცნოთ ხანდაზმულობის ვადები სამოქალაქო სამართალში.**

— სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა.

ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება.

ა) პირად არაქონებრივ უფლებებზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მეანაბრეთა მოთხოვნაზე ბანკსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში შეტანილი ანაბრების გამო.

— ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს 10 წელს.

— სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა — ექვს წელს.

— ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებიდან, სამი წელი.

— ცალკეულ შემთხვევებში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხანდაზმულობის სხვა ვადებიც.

ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან სურდა, შეეტყო უფლება დარღვევის შესახებ.



* * *

**— რა ჩაითვლება იურიდიული პირის ადგილსამყოფელად?**

— იურიდიული პირის ადგილსამყოფლად ჩაითვლება მისი ადმინისტრაციის მდებარეობის ადგილი, იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი (იურიდიული მისამართი).

იურიდიული პირის სხვა ადგილსამყოფელი ჩაითვლება მისი ფილიალის ადგილსამყოფელად.

* * *

**— დაქირავებული მაქვს საცხოვრებელი სადგომი. შვილის ავადმყოფობის გამო მსურს ამ ბინის გაქირავება მე თვითონ, რა თქმა უნდა, გამქირავებელთან შეთანხმებით. რა შემთხვევაში შეუძლია მას უარის თქმა?**

— საინტერესო შემთხვევაა და, შესაბამისად, კითხვაც საინტერესო. გიპასუხებთ:

დამქირავებელს არა აქვს უფლება, გაქირავებული ნივთი გამქირავებლის თანხმობის გარეშე გადასცეს მესამე პირს. (ქვექირავნობა). მესამე პირებად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები.

გამქირავებელს არ შეუძლია, უარი თქვას საცხოვრებელი სადგომის ქვექირავნობაზე, თუ საპატიო მიზეზის არსებობისას დამქირავებელს სურს, მიაქირაოს მესამე პირს დაქირავებული საცხოვრებელი სადგომი მთლიანად, ან მისი ნაწილი. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, თუ გამქირავებლისათვის ქველმოქირავნე წარმოადგენს მისთვის არასასურველ პიროვნებას, ან საცხოვრებელი სადგომი ზედმეტად გადაიტვირთა, ან თუ სხვა მიზეზების გამო გამქირავებლისათვის მიუღებელია ქვექირავნობა.

თუ ქვექირავნობა მიზნად ისახავს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის გარანტიებისათვის გვერდის ავლას, მაშინ ქირავნობის ურთიერთობის დასრულებისას გამქირავებელი თავის თავზე იღებს იმ უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც არსებობდა დამქირავებელსა და ქვემოქირავნეს შორის.

* * *

**— შესაბამის ფირმასთან დავდე გადაზიდვის ხელშეკრულება. გადამზიდველი იღებდა ვალდებულებას, ტვირთი შეთანხმებული საზღაურის გადახდით გადაეტანა დანიშნულების ადგილზე, მაგრამ ტვირთი დაზიანებული სახით იქნა მიტანილი, რითაც შემცირდა მისი ღირებულება. რა ოდენობით შემიძლია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა?**

— ტვირთის დაზიანებისას გადამზიდველმა უნდა გადაიხადოს ის საზღაური, რომლითაც შემცირდა ტვირთის ღირებულება.

ზიანის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რომელიც:

ა) უნდა გადახდილიყო ტვირთის მთლიანად დაკარგვისას, თუკი მთელი ტვირთი დაზიანების შედეგად მთლიანად გაუფასურდა;

ბ) უნდა გადახდილიყო ტვირთის გაუფასურებული ნაწილის დაკარგვისას, თუკი დაზიანების შედეგად მთლიანად გაუფასურდა ტვირთის მხოლოდ ერთი ნაწილი.

* * *

**— მამაჩემს პაპაჩემმა, მათ შორის არსებული უთანხმოების გამო ჩამოართვა მემკვიდრეობის უფლება. მამაჩემი გარდაიცვალა. 4 თვის წინ პაპაჩემიც გარდაიცვალა. მე, როგორც შვილიშვილს, მაქვს თუ არა პაპაჩემის მემკვიდრეობის მიღების უფლება?**

— სამოქალაქო კანონი „სჯის“ მხოლოდ უღირს მემკვიდრეს. როგორც ჩანს, მამათქვენი ცნობილი იქნა უღირს მემკვიდრედ. მაგრამ იგივე სამოქალაქო კანონი არ სჯის უღირსი მემკვიდრის შვილს.

სამოქალაქო კოდექსის 1314-ე მუხლის მიხედვით, მემკვიდრეობის უფლების დაკარგვა ხელს არ უშლის ნათესავების მემკვიდრეობას წარმომადგენლობის უფლებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენ, როგორც პაპათქვენის შვილიშვილი, წარმომადგენლობის უფლებით მიიღებთ თქვენს წილ მემკვიდრეობას.

* * *

**— დეტალების დაკონკრეტებაზე თავს შევიკავებ. სასამართლომ დედობის უფლება ჩამომართვა. გარდაიცვალა ჩემი შვილი. მას აქვს ბინა. შემიძლია თუ არა ამ ბინის მიღება?**

— თქვენ რომ არ გქონოდათ ჩამორთმეული მშობლის უფლება, იქნებოდით შვილის I რიგის მემკვიდრე, მაგრამ გარემოება, რომ ჩამორთმეული გაქვთ მშობლის უფლება და, როგორც ჩანს, არც აღდგენილი ხართ ამ უფლებაში, ცვლის საქმის ვითარებას. კერძოდ:

სამოქალაქო კოდექსის 1311-ე მუხლის მიხედვით, შვილების კანონით მემკვიდრეებად ვერ იქნებიან მშობლები, რომლებსაც ჩამოერთმევათ მშობლის უფლება და სამკვიდროს გახსნის დღისათვის არ არიან აღდგენილნი ამ უფლებებში.

# facebook

# xalxis azriT

ივანიშვილის საზოგადოებრივ მოძრაობაში გაწევრიანებული არ გახლავართ, მაგრამ ყველანაირად დავეხმარები ამ ადამიანს ნორმალური არჩევნების ჩატარებაში. მე მას შევხვდი, რათა გამეგო, რა აწუხებს, რა გეგმები აქვს სამომავლოდ. ბევრი ვისაუბრეთ კულტურასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რომლებიც, სამწუხაროდ, თითქმის აღარავის აწუხებს ქვეყანაში. ბატონი ბიძინა კი, მოგეხსენებათ, წლების მანძილზე ეხმარებოდა კულტურის მოღვაწეებს. სასაცილოა, რომ ხელისუფლებამ ისიც კი იკადრა და რუსული ფულით მოსყიდვა უწოდა ამ უანგარო ქველმოქმედებას. მე არ ვიცი, სად შოულობს იგი ფულს, ან რა წარმომავლობა აქვს მის ქონებას, რუსული თუ ამერიკული, მაგრამ მე ვიცი, რომ ის ამ ფულს თხუთმეტი წლის მანძილზე ხარჯავდა თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის. ქართველ ხალხს კი არასოდეს აკლდა სიბრძნე, ერთმანეთისგან გაერჩია კარგი და ცუდი. აღარ უნდა დავხუჭოთ თვალი იმ უსამართლობაზე, რაც დღეს ხდება. ჩვენი უფლებებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. უნდა დავძლიოთ შიში, არაორგანიზებულობა და, რაც მთავარია, სანამ ხელისუფალს ავირჩევთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ!

თბილისში, დედა ენის ძეგლთან შენდება იუსტიციის სახლი. აშენებენ ჩინელები! ეხლა იქ მუშაობს 150 –მდე ჩინელი მუშა,კიდე 150 მალე ჩამოვა! ესე იგი საქართველოში იქმნება ჩინელებისათვის სამუშაო ადგილები და ჩვენი საქართველოს მოქალაქეები უმუშევრად არიან! ეს უმსავსოება უნდა დამთავრდეს!!!!!!!!

ერთი კითხვა მაქვს, თურქეთიდან ჩვენებს აგდებენ და ავიწროებენ, საქართველოში ყველგან მათი სამსახურები არის და ვერ ვიგებ, ის ძველი ბიჭი აკაკი, აკო მინაშვილი ტრიბუნიდან ნაპერწკლებს, რომ ყრიდა დიდი მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ თურქეთთან, ეს მას ასეთი მეგობრობა ესმის ცალ კარში თამაშის? და კიდევ ერთი, მაინტერესებს, ეხლა ჩვენ რომ მოვინდომოთ თურქეთის ერთ–ერთ დიდ ქალაქში მართლმადიდებლური ტაძრის აგება, მოგვცემენ ამის უფლებას, რომ ავაგოთ? ხომ დემოკრატიული ქვეყანაა და ჩვენი მეგობრულიი? მაინტერესებს. რააა.

ღმერთო, რატო ვართ ასეთი ლენჩების ხელში? ნუთუ მართლა გჯერათ, რომ მიშა და ვანო მართლა არის იმ ინტელექტის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ იმდენი ჩათლახობების გაკეთება, რასაც ჩვენ გვიკეთებენ. გამკეთებლები კი ბატონო, მარა მოფიქრების კი ძალიან მეეჭვება. ძალიან მაინტერსებს ხოლმე, ნეტა, ვინ არის რეალურად ის არქიფო, ვინც სადღაც იმალება(სპეცსამსახურების ჯურღმულებში) და სინამდვილეში მართავს ქვეყანას? თქვენ არ გიჩნდებათ ასეთი გრძონობა ამ ორი ლენჩის შემხედვარე?

გიორგი სიბაშვილი, პოლიციელი სექს-მანიაკი ყოფილა (პირდაპირი მნიშვნელობით) რატომ დადის თავისუფლად?! ეს ის სიბაშვილია, სოფო ნიკოლაშვილი რომ ჩასვა ციხეში!

ახლა, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ქართველობას ერთად დგომა - ერთ მუჭად შეკვრა.დიდი იმედი მაქვს,რომ ჩვენი,ახალგაზრდობის შეტანილი წვლილი დიდი იქნება, "ქართული ოცნების" ახდენაში

სტალინმა აგრარული ჩამორჩენილი ქვეყნისგან, რომელიც მან ფაქტიურად, 1921 წელს ჩაიბარა, კოსმოსური სამხედრო სტრატეგიის ინდუსტრიული ქვეყანა შექმნა. ჰიტლერმა 33 წელს მიღწეული "წარმატება" სწორედ მისი არაშორსმჭვრეტელობით დაასამარა. სტალინმა კიდევ ცოტა ხნით გაუძლო მატიანეს.)) აქ საუბარი იყო ეთიკურ კატეგორიაზე - სინდისზე, რომელსაც მაგ ნაბიჭვარმა ავსტრიელმა -ნეხვიჭამია, ადოლფ შიკლგრუბერმა კაცობრიობის სირცხვილი უწოდა. ჩვენ, ძმაო, მოდი, რა, ანგლოსაქსები და ველური გალების შთამომავლები ჭკუას ნუ გვასწავლიან. ჩვენგან ისწავლონ ეგების.




Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook Facebook

## ეგვიპტის მუმიებს კიბოს დაავადება აღმოუჩინეს



ამერიკელი სპეციალისტები ეგვიპტის მუმიებს ამ კუთხით უკვე ორი წელიწადია სწავლობენ. 2200 წლის წინანდელ სხეულებში მეცნიერებმა კიბოს უჯრედები და მეტასტაზებიც კი აღმოაჩინეს.

ერთ-ერთი ფარაონი, რომელიც 40 წლის ასაკში გარდაიცვალა, მეცნიერების აზრით, პროსტატის კიბოს მსხვერპლი შეიქმნა. ამ აღმოჩენამ დაადასტურა, რომ კიბოს გამომწვევი ფაქტორი გენეტიკურია და არ არის დამოკიდებული გარემო პირობებზე.

„მათი ცხოვრების პირობები მკვეთრად განსხვავდებოდა დღევანდელობისგან, იმ პერიოდში არ იყო დაბინძურებული ჰაერი, გარემომცველი სამყარო, არც გენმოდიფიცირებული საკვები. ეს კი აქარწყლებს იმ მოსაზრებას, თითქოს კიბოს ინდუსტრიალიზაცია იწვევდეს,“ — აღნიშნავს პროფესორი სალიმა იკრამი.

## აღმოაჩინეს მეცნიერებისთვის უცნობი სხეული?!



3 თებერვალს ვაშინგტონში, სან-დიეგოს პლაჟზე მეცნიერებისთვის უცნობი ცხოველის გვამი აღმოაჩინეს. ის შეიძლება ჩუპაკაბრა იყოს, რომელზეც აქამდე ლეგენდები დადის.

19 წლის სერფინგისტმა მკვდარი სხეული შემთხვევით აღმოაჩინა. მას წითელი ფერის კანი აქვს, თეთრი ბეწვი და წვრილი პირი. სიგრძით 60 სანტიმეტრია.

თვითმხილველი ახალგაზრდა ამბობს, რომ ის ძალიან წააგავს ღორს, აქვს ქონიანი ღიპი და დიდი წვრილი პირი.

მას შემდეგ, რაც ამ ცხოველის სურათი ინტერნეტით გავრცელდა, ზოგიერთმა მიიჩნია, რომ ეს ფოტომონტაჟი იყო, ზოგიერთმა კი დაასკვნა რომ ეს იყო სწორედ ის საშინელი ჩუპაკაბრა, რომელსაც ვამპირ-ცხოველს ეძახიან.

საუტჰემპტონის უნივერსიეტის პროფესორებმა კვლევა ჩაატარეს და უცნობი ცხოველი ენოტი აღმოჩნდა. ისინი აღნიშნავენ, რომ ეს არის ვირჯინიული ოპოსუმი, რომელიც გადაშენების პირასაა.

თუმცა მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თუმცა ჯერ არავის დაუჭერია, ლეგენდარული ჩუპაკაბრა სინამდვილეში არსებობს.

## ძველი ეგვიპტის ფარაონები უცხოპლანეტელები იყვნენ?

დიდი ხანი არ არის, რაც მსოფლიო მედია ფარაონების კავკასიურ, კერძოდ, ქართულ წარმოშობაზე ალაპარაკდა, მაგრამ ახლახან ფარაონების წარმოშობის ახალი ვერსიაც გაჩნდა, კერძოდ, უფოლოგები ამტკიცებენ, რომ ძველი ეგვიპტის ფარაონები უცხოპლანეტელები იყვნენ. წინ წამოწეული სახე გველის გამოსახულებით, კვერცხისებრი თავის ქალა, მკვეთრად დაქანებული კეფა, თვით თავის ქალის ზომა ერთნახევარჯერ დიდი, ვიდრე ჩვეულებრივ ადამიანს. თითები, როგორც ობობას საცეცები, უზარმაზარი საკვერცხეები და ქალის მკერდი. საიდან წარმოიშვა ასეთი სიმახინჯე?



იელის უნივერსიტეტის პროფესორი ირვინ ბრევერმანი აღნიშნავს, რომ ფარაონის სხეულილს ნაწილებს გენეტიკური კვლევა ჩაუტარდა და საოცარი რამ აღმოჩნდა: ფარაონს მრავალი სახის მუტაცია დაუდგინდა.

უფოლოგები მიიჩნევენ, რომ დაავადება, როემლიც ეხნატონს სტანჯავდა, ექსპერიმენტის შედეგი იყო, რომელიც, ცხადია, უცხოპლანეტელებმა ჩაატარეს.

ამბობდნენ კიდევაც, რომ სირიუსიდან ხვლიკისსახიანი არსებები ჩამოვიდნენ დედამიწაზე. ისინი მხოლოდ ეგვიპტელებს არ უნახავთ, მათზე ცნობებს შუმერებიც გვაწვდიან.

## ექვსკილოგრამიანი ახალშობილი ბუნებრივი მშობიარობით დაიბადა

მისი დაბადება გამოცდა იყო არა მხოლოდ დედისთვის, არამედ ექიმებისთვისაც. ასეთი ზომის ახალშობილი პირველად დაიბადა საკეისრო კვეთის გარეშე.



ექიმები სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რადგან მშობიარე 40 წლის გახლდათ და 240 კგ-ს იწონიდა. ქალბატონი, რომელსაც ორსულობის პერიოდში დიაბეტი განუვითარდა, უარს აცხადებდა არა მხოლოდ საკეისრო კვეთაზე, არამედ თავის ყველზე მავნე ჩვევას, შოკოლადის ჭამასაც არ ანებებდა თავს. იგი დღეში 1 კგ ტკბილეულს მიირთმევდა.

„პატარა“ ყოველგვარი გართულებების გარეშე დაიბადა. თუმცა რა გასაკვირია, დედისთვის ის მე-14 ახალშობილია.



## აღმოაჩინეს მე-12 საუკუნის ასტრონავტის გამოსახულება

იერონიმუსის ეკლესიაში, რომელიც 1102 წელს არის აგებული ესპანეთში ეპისკოპოს დე სალამანკას დროს უამრავ მითიურ ცხოველსა და წმინდანებს შორის გამოსახულია ჩვეულებრივი ასტრონავტი. არქეოლეოგებისა და არქიტექტორებისთვის ეს გამოსახულება აქამდე უცნობი იყო. მიმდინარეობს კვლევა.

**მოამზადა ანა ვადაჭკორიამ**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!

## ასტროლოგიური პროგნოზი



**ვერძი** — თქვენს ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებებია მოსალოდნელი. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. შეგიძლიათ თავს დასვენების უფლებაც მისცეთ.



**კურო** — ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ, რადგან კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა იზრდება. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში.



**ტყუპები** — პირად ცხოვრებაში საინტერესო ცვლილებები გელით. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. შესაძლოა, წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანს, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.



**კირჩხიბი** — ეს პერიოდი დასვენებას დაუთმეთ. წარმატება გელით პირად ცხოვრებაში. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი მეგობრებთან გაატარეთ.



**ლომი** — ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.



**ქალწული** — გელით რომანტიკული თავგადასავლები. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახურ გარემოში გაატარეთ. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობას ერიდეთ.



**სასწორი** — თქვენს ცხოვრებაში საუკეთესო პერიოდი დადგა — იღბალი თქვენს მხარესაა, გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.



**მორიელი** — ამ პერიოდში აქცენტი პირად ცხოვრებაზე გააკეთეთ. შეგიძლიათ თამამი გადაწყვეტილებებიც მიიღოთ. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.



**მშვილდოსანი** — წარმატებული დღეები გრძელდება. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება. დაგეგმილი მოგზაურობა წარმატებული იქნება.



**თხის რქა** — ფინანსურ ოპერაციებში წარმატებები გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. ერიდეთ იმ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებსაც თქვენზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ.



**მერწყული** — წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა დაგეგმილი საქმეები განახორციელოთ.



**თევზები** — ამ პერიოდში მნიშვნელოვანი არაფერი გელით. იყავით მშვიდი და გაწონასწორებული. დროის მნიშვნელოვანი ნაწილი დასვენებას დაუთმეთ.